

585 / 2  
1993



1993

№ 8

საქართველოს პარლამენტის

უ ნ ე მ ბ ე ბ ბ 0

---

თ ბ ი ლ ი ს ი



# საქართველოს პარლამენტის

# უწყებები

№ 8 (625)

ივნისი

1998 წელი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

124. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნოდარ გიორგაძისა და პანტელეიმონ გიორგაძისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
125. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ.
126. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და კუპონების მიმოქცევის შესახებ.
127. საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
128. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
129. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საკონსულო ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე.
130. ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ.

131. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს დროებით რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე.
132. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
133. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საბაეო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან შრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასის“ გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის № 412 დადგენილების გაუქმების თაობაზე.
134. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
135. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 ნოემბრის № 1045 და 1993 წლის 29 მარტის № 255 დადგენილებათა გაუქმების თაობაზე.
136. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე.
137. ვენის კონვენცია სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ.
138. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში კუპონების მიმოქცევის შესახებ.
139. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შემსწავლელი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შესახებ.
140. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში დამატების შეტანის თაობაზე.
141. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე.
142. საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.
143. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე.



2031X

144. საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება.
145. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
146. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გიორგი ზუმბაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
147. საქართველოს პარლამენტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
148. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის დავით ჭელიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
149. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იელგიაში საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის შედეგების თაობაზე.
150. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის კამო ჭართველიშვილის უფლებამოსილების შესახებ.
151. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ავარული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.
152. ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ.

### ბანსოფილება მმორბ

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს გალის, რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 29 ივნისის სხდომაზე ნატოში, ბელგიის სამეფოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტების შესახებ.

**124** ნოდარ გიორგაძისა და პანტელეიმონ გიორგაძის  
თვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლება-  
მოცილების შემწვების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ნოდარ გიორგაძესა და პანტელეიმონ გიორგაძეს შეუწყდეთ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შესაბამისად ქვენაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელად და სასაზღვრო ჯარების სარდლად — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**125** საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერა-  
ციის უშიშარადღებულ ქალების უმოკლეს ვადაში გა-  
ყვანის შესახებ

(ერთვის დედანს)

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**126** სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და  
კუპონების გიმოცხვეის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის რ. გოცირიძისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დ. დვალიშვილის ინფორმაციები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა /და ეროვნულმა ბანკმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ პარლამენტის განსახილველად კუპონის განმტკიცების ღონისძიებათა პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედება საქართველოს ტერიტორიაზე კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ათი დღის ვადაში დაამთავროს საქართველოს 1993 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შედგენა და წარმოადგინოს იგი პარლამენტის განსახილველად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტთან ერთად პარლამენტის განსახილველად წარმოადგინოს მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებული ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 1993 წლისათვის.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, 10 დღის ვადაში (ბიუჯეტის პროექტთან ერთად) წარმოადგინოს პარლამენტში რესპუბლიკის წარმოების სფეროს ამოქმედების პროგრამა.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ზოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 127 უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

### თავი 1. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. უცხოელი მოქალაქეები

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელებად ითვლებიან:

ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი);

ბ) პირები, რომლებიც არც საქართველოს მოქალაქეები არიან და არც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ (მოქალაქეობის არმქონე პირები).

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელებს გარანტირებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

### მუხლი 2. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის კანონმდებლობა

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კონსტიტუციით, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით.

### მუხლი 3. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები საქართველოს რესპუბლიკაში

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ და ისეთივე მოვალეობები აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოელები საქართველოს რესპუბლიკაში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

საქართველოს რესპუბლიკა იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოს რესპუბლიკა თავის მოქალაქეთა თანაბრად იცავს თავის ფარგლებს გარეთ დროებით მყოფ იმ მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკაში.

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა უფლება-მოვალეობების აღსრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებს და უგულებელყოფდეს მათს კანონიერ ინტერესებს.

იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განზრახ შეიზღუდება, საქართველოს რესპუბლიკა აწესებს ადეკვატურ შეზღუდვებს.

**მუხლი 4.** უცხოელთა მოვალეობა დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და საქართველოს რესპუბლიკის კანონები

საქართველოს რესპუბლიკაში მყოფი უცხოელები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და საქართველოს რესპუბლიკის კანონები, პატივი სცენ ქართულ ენას, ქართველი ერის კულტურას, ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები და დროებით მყოფი უცხოელები

უცხოელებს შეუძლიათ მუდმივად იცხოვრონ საქართველოს რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით გაცემული მუდმივად ცხოვრების ნებართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების ნებართვა შეიძლება გაიცეს, თუ უცხოელი:

ა) წარმოშობით ქართველია;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მშობელი, მეუღლე, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვანი არაქმედუნარიანი შვილია;

გ) საქართველოში მცხოვრები იმიგრანტის მშობელი, მეუღლე, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვანი არაქმედუნარიანი შვილია;

დ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირია;



ე) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია;

აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ:

ვ) ეს გამოდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან, რის შესახებაც უნდა არსებობდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება;

ზ) აკმაყოფილებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უარი განაცხადეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად. ეს პირები ჩაითვლებიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებად.

უცხოელები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკაში სხვა კანონიერ საფუძველზე, ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფებად, ვალდებული არიან დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი მოქმედი უცხოური პასპორტები ან შათი შემცვლელი დოკუმენტები და გაემგზავრონ საქართველოს რესპუბლიკიდან მათთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვისას.

### მუხლი 6. თავშესაფრის მიცემა

საქართველოს რესპუბლიკა თავშესაფრის უფლებას აძლევს იმ უცხოელებს, რომლებიც თავის ქვეყანაში იღვენებიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

არ შეიძლება თავშესაფრის მიცემა იმ უცხოელებისათვის, რომელთა შეხედულებები და საქმიანობა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს და პრინციპებს და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

უცხოელებისათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური

**თავა II. საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ უცხოელთა ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები**

**მუხლი 7. შრომითი საქმიანობის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, გარდა იმ თანამდებობებისა და საქმიანობისა, რომლისთვისაც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა.

საქართველოს რესპუბლიკაში ღროებით მყოფ უცხოელებს ასევე შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, თუ ეს შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკაში მათი ყოფნის მიზნებს, ან თუ ასეთი რამ უშუალოდ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

**მუხლი 8. დასვენების უფლება**

საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ უცხოელებს აქვთ დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება საქართველოს მოქალაქეებთან თანაბარ საფუძველზე.

**მუხლი 9. ჯანმრთელობის დაცვის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ უცხოელებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

**მუხლი 10. სოციალური უზრუნველყოფის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს აქვთ დახმარების, პენსიის და სხვაგვარი სოციალური უზ-

რუნველყოფის უფლება თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა  
საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელებისა  
მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სოციალური  
უზრუნველყოფის საკითხი წყდება საქართველოს რესპუბლიკის  
მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების  
შესაბამისად.

**მუხლი 11.** ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში შეუძლიათ ქონება  
პქონდეთ პირად საკუთრებაში, მემკვიდრეობით მიიღონ ან ანდერ-  
ძით დატოონ ქონება, პქონდეთ სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერა-  
ტურისა და ხელოვნების ნაწარმოების, აღმოჩენის, გამოგონების,  
სამრეწველო ნიმუშების ავტორობის უფლება, აგრეთვე სხვა ქო-  
ნებრივი და არაქონებრივი უფლებანი, თუ საქართველოს რესპუბ-  
ლიკის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 12.** განათლების მიღების უფლება

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში აქვთ განათლების  
მიღების უფლება თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა, საქარ-  
თველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესა-  
ბამისად.

**მუხლი 13.** კულტურული ღირებულებებით სარგებლობის  
უფლება

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში აქვთ კულტურული  
ღირებულებებით სარგებლობის უფლება თანაბრად საქართველოს  
მოქალაქეებისა.

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში გარანტირებული  
აქვთ მშობლიური ენით სარგებლობის, ეროვნული კულტურისა და  
ტრადიციების დაცვისა და განვითარების უფლება, თუ ეს ზიანს  
არ მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ და  
მასში მცხოვრებ პირთა კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს.

უცხოელები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს და სხვა  
კულტურულ ღირებულებებს.

**მუხლი 14. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებში  
მონაწილეობის უფლება**



უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში ეკრძალებათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება, მათ საქმიანობაში მონაწილეობა, პოლიტიკური გაერთიანებების დაფუძნება.

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბრად დააფუძნონ საზოგადოებრივი გაერთიანებები, გახდნენ პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საზოგადოებების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციების წესდებებს და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

**მუხლი 15. სარწმუნოების თავისუფლება**

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში, თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა, გარანტირებული აქვთ აზროვნების, შეხედულებების და სარწმუნოების თავისუფლება.

აკრძალულია მტრობისა და შუღლის გაღვივება სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შორის, ასევე პიროვნების დევნა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისათვის.

**მუხლი 16. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობანი**

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში შეუძლიათ დაქორწინდნენ და განქორწინდნენ საქართველოს მოქალაქეებთან და სხვა პირებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში მყოფი უცხოელები საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში სარგებლობენ უფლებებით და აკისრიათ მოვალეობანი თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა.

მუხლი 17. უცხოელთა პიროვნების დაცვის და მათ ცხოვრებაში ჩაურევლობის გარანტია



უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გარანტირებული აქვთ პიროვნების და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა, ღირსებისა და რეპუტაციის პატივისცემა, კორესპონდენციის საიდუმლოების, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და სხვა უფლებები.

არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკაში მყოფი უცხოელის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) ცდილობდა უკანონოდ გადაეღაწა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი;

ბ) უკანონოდ იმყოფება საქართველოს რესპუბლიკაში;

გ) ჩაიდინა დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად შეიძლება პიროვნების დაკავება ან დაპატიმრება;

დ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ან როდესაც იგი გაქცეულია თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან და თავს არიდებს სასჯელის მოხდას;

ე) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

უცხოელის დაკავების შემთხვევაში მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები და წარდგენილი ბრალდება, ამავ დროს განემარტოს საპროცესო უფლება-მოვალეობანი.

უცხოელი მოქალაქის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში პროკურატურის ორგანოებმა 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობონ ეს საქართველოს რესპუბლიკაში იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის დაკავებული ან დაპატიმრებული პირი. საქართველოს



რესპუბლიკაში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში კი საქართველოს რესპუბლიკაში იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, სადაც მუდმივად ცხოვრობს დაკავებული ან დაპატიმრებული პირი.

**მუხლი 18.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელთა მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება

უცხოელები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით. უცხოელთა მიმოსვლა და მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება შეიზღუდოს, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 19.** უცხოელთა დაბეგვრა

უცხოელები საქართველოს რესპუბლიკაში იბეგრებიან ბეგარით და მოსაკრებლებით თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა, აუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 20.** უცხოელთა უფლებების დაცვა

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ქონებრივი, პირადი არაქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად.

უცხოელები საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ საბროცესო უფლებებით.

ყოველ უცხოელ მოქალაქეს და საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს ნების-

მიერ დროს მიმართოს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულარო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეობაც მას აქვს ან რომელშიც მუდმივად ცხოვრობს, ხოლო თუ ასეთი რამ არ არსებობს -- იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულარო წარმომადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესები, რომლის მოქალაქეც არის უცხოელი ან რომელშიც მუდმივად ცხოვრობს მოქალაქეობის არმქონე პირი.

**მუხლი 21. დამოკიდებულება საარჩევნო უფლებისადმი**

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში არა აქვთ უფლება აირჩიონ ან იყენენ არჩეულნი საქართველოს პარლამენტში და სხვა არჩევით სახელმწიფო ორგანოებში. ასევე მათ არ შეუძლიათ საერთო-სახალხო კენჭისყრაში (რეფერენდუმში) მონაწილეობა.

**მუხლი 22. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი**

უცხოელი მოქალაქეები და საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებული არ არიან იმსახურონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირნი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევიან სამხედრო ვალდებულად.

**თავი III. საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა შემოსვლა და გასვლა**

**მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა**

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის უცხოელებმა საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზის, ნებართვის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართონ საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულარო წარმომადგენლობას ან საამისოდ კომპე-

ტენტურ სხვა ორგანოს, წარმოადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა დოკუმენტი.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემოსვლა საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება უფიზოდაც.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შეიძლება აეკრძალოს:

ა) თუ ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;

ბ) თუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული;

გ) სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით;

დ) თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

ე) მზილებულია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიზართულ მოქმედებაში;

ვ) მოსაზღვრობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით;

ზ) თუ საქართველოს რესპუბლიკაში წინანდელი ყოფნის დროს დაარღვია ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონთა მოთხოვნები;

თ) თუ საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლაზე შუამდგომლობის აღძვრისას წარადგინა ყალბი ცნობები;

ი) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლა

უცხოელებმა საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლისას უნდა წარადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან მისი შესაბამისი სხვა დოკუმენტი.





20317

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებმა უცხოელებმა საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლისას შესაბამისი კომპეტენტურ ორგანოში უნდა წარადგინონ სახელმწიფო მოქმედი პასპორტი ან მისი შესაბამისი სხვა დოკუმენტი და მიიღონ საქართველოს რესპუბლიკიდან გასასვლელი ვიზა ან ნებართვა.

უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლა ეკრძალება:

ა) თუ მისი გასვლა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს — ამ გარემოებათა მოქმედების შეწყვეტამდე;

ბ) თუ იგი ექვემდებარება, ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, — მის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტამდე;

გ) თუ გასამართლებულია დანაშაულისათვის — სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისგან განთავისუფლებამდე;

დ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

შეიძლება უცხოელი მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის გადავადება, სანამ მოიხდის სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

**მუხლი 25. სასაზღვრო კონტროლის ორგანოს მიერ საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმა**

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო კონტროლის ორგანომ შეიძლება უცხოელებს უარი უთხრას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთაზე, თუ ისინი არ წარადგენენ სათანადო წესით გაფორმებულ მოქმედ უცხოეთის პასპორტებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს.

ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო კონტროლის ორგანოს შეუძლია საზღვრის გადაკვეთისას დააკავოს უცხოელი და გადასცეს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს.

საქართველოს  
ეროვნული

მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლაზე უფრო  
გასაჩივრება



უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლაზე უარი  
შეუძლიათ გაასაჩივრონ 10 დღის ვადაში სასამართლო წესით.

მუხლი 27. სატრანზიტო გავლა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებე-  
ბით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხოელებს უფლება აქვთ  
გაიარონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ტრანზიტად და  
გაჩერდნენ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოე-  
ბის მიერ გაცემული სატრანზიტო ვიზის ან ნებართვის არსებობის  
შემთხვევაში. საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზონის ტრან-  
ზიტად გავლის წესებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტ-  
რთა კაბინეტი.

#### თავი IV. უცხოელთა პასუხისმგებლობა

მუხლი 28. სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის სა-  
ფუძვლები

უცხოელებს, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიაზე ჩაი-  
დინეს დანაშაული, ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალ-  
დარღვევა, პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს რესპუბ-  
ლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ საქართველოს რესპუბ-  
ლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გა-  
თვალისწინებული.

მუხლი 29. საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევება

უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე საქართველოში დროებით  
მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლი-  
კიდან შეიძლება გაძევდნენ:

ა) თუ აღარ არსებობს საქართველოს რესპუბლიკაში მათი შემ-  
დგომი ყოფნის საფუძველი;

ბ) თუ ისინი უკანონოდ შემოვიდნენ ან იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

გ) თუ მათი ყოფნა საქართველოს რესპუბლიკაში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

დ) თუ ეს აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების და საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის;

ე) თუ ისინი განზრახ სისტემატურად არღვევენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრი შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოების, სასამართლოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

უცხოელი მოქალაქეები და საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებული არიან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მათთვის გასაგებ ენაზე წარდგენის შემდეგ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში დატოვონ საქართველოს რესპუბლიკა. თუ აღნიშნული პირები უარს იტყვიან საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლაზე ან გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გავლენ საქართველოს რესპუბლიკიდან, ისინი იძულებით გაძევდებიან.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკიდან უცხოელთა გაძევების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

**მუხლი 30.** პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლის წესების დარღვევისათვის

უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლის წესების დარღვევისათვის ეკისრებათ საქართვე-



ლოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

**მუხლი 31.** საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა პასუხისმგებლობა

არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკიდან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირთა გაქცევა. ამ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ღონისძიებანი.

**თავი V. დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 32.** უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლობების მეთაურთა და თანამშრომელთა, აგრეთვე სხვა პირთა პრივილეგიები და იმუნიტეტი

ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურებსა და თანამშრომლებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით.

**მუხლი 33.** საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენება თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ამ კანონში გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —  
სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

პახტანა გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 3 ივნისი.

**128** „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ძალაშია მიღებისთანავე.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ კანონის დებულებებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ზოგვაძე.

თბილისი, 1993 წლის 3 ივნისი.

**129** საკონსულო ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ვენის 1963 წლის კონვენციას საკონსულო ურთიერთობის შესახებ.
2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ზოგვაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.



**I. ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ  
დადებულია 1963 წლის 24 აპრილს\***

სახელმწიფოები — ამ კონვენციის მხარეები, — რომლებიც აღნიშნავენ, რომ საკონსულო ურთიერთობა ხალხთა შორის ძველთაგანვე მყარდებოდა,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და მისი წესდების პრინციპებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიმართ,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციამ დიპლომატიური ურთიერთობისა და იმუნიტეტების თაობაზე მძილო ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1961 წლის 18 აპრილს,

დარწმუნებული არიან, რომ საკონსულო ურთიერთობის, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადება ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებათა მიუხედავად,

შეგნებული აქვთ, რომ ასეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა გამორჩენის გულისთვის, არამედ იმისთვის, რომ საკონსულო დაწესებულებანი ეფექტიანად ასრულებდნენ ფუნქციებს თავიანთი სახელმწიფოების სახელით,

ადასტურებენ, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმები კვლავაც არეგულირებენ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არ არის გათვალისწინებული ამ კონვენციის დებულებებით,

\*. ძალაში შევიდა 1967 წლის 19 მარტს.

მუხლი 1. განსაზღვრებანი

1. ამ კონვენციაში ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს ასეთი მნიშვნელობა აქვს:

a) „საკონსულო დაწესებულებანი“ ნიშნავს ნებისმიერ გენერალურ საკონსულოს, საკონსულოს, ვიცე-საკონსულოს ან საკონსულო სააგენტოს;

b) „საკონსულო ოლქი“ ნიშნავს რაიონს, რომელიც საკონსულო დაწესებულებას გამოეყოფა საკონსულოს ფუნქციების შესრულებლად;

c) „საკონსულო დაწესებულების მეთაური“ ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც დავალებული აქვს იმოქმედოს, როგორც ასეთმა;

d) „საკონსულოს თანამდებობის პირი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, მათ შორის საკონსულო დაწესებულების მეთაურს, რომელსაც დავალებული აქვს, როგორც ასეთმა, შეასრულოს საკონსულო ფუნქციები;

e) „საკონსულოს მოსამსახურე“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ადმინისტრაციულ ან ტექნიკურ მოვალეობებს ასრულებს საკონსულო დაწესებულებებში;

f) „მოსამსახურე პერსონალის მუშაკი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც საკონსულო დაწესებულების მომსახურების მოვალეობას ასრულებს;

g) „საკონსულო დაწესებულების მუშაკები“ ნიშნავს საკონსულოს თანამდებობის პირებს, საკონსულოს მოსამსახურეებს და მომსახურე პერსონალის მუშაკებს;

h) „საკონსულო პერსონალის მუშაკები“ ნიშნავს საკონსულოს თანამდებობის პირებს (საკონსულო დაწესებულების მეთაურების გარდა), აგრეთვე საკონსულოს მოსამსახურეებს და მომსახურე პერსონალის მუშაკებს;

i) „კერძო შინამუშაკი“ ნიშნავს პირს, რომელიც მხოლოდ კერძო სამსახურშია საკონსულო დაწესებულების მუშაკთან;

j) „საკონსულო კარ-მიდამო“ ნიშნავს მხოლოდ საკონსულო დაწესებულების მიზნებისათვის გამოყენებულ შენობებს ან შენო-

ბათა ნაწილებს და ამ შენობებისა თუ შენობის ნაწილებს, განსაკუთრებით მიწის ნაკვეთს, ვის საკუთრებასაც უნდა შეადგენდეს იგი;

კ) „საკონსულო არქივები“ გულისხმობს მთელ ქალაქებს, დოკუმენტებს, კორესპონდენციებს, წიგნებს, ფილმებს, მაგნიტოფონის ჩანაწერ ფირებს და საკონსულო დაწესებულების რეესტრებს შიფრებთან და კოდებთან, კარტოთეკებთან და შესაბამის საავეჯო საგნებთან ერთად, რომლებიც გათვალისწინებულია მათ შესანახად.

2. არსებობს საკონსულოს თანამდებობის პირთა ორი კატეგორია, სახელდობრ, შტატის საკონსულო თანამდებობის პირები და საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები. ამ კონვენციის II თავის დებულებანი ვრცელდება საკონსულო დაწესებულებებზე, რომლებსაც სათავეში უდგანან შტატის საკონსულო თანამდებობის პირები, III თავის დებულებანი ვრცელდება საკონსულო დაწესებულებებზე, რომლებსაც სათავეში უდგანან საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები.

3. საკონსულო დაწესებულებათა იმ მუშაკების სტატუსი, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან ან მუდმივად ცხოვრობენ იქ, ამ კონვენციის 71-ე მუხლით რეგულირდება.

## თავი I

### საკონსულო ურთიერთობის ზოგადი დებულებანი

#### კარი I

#### საკონსულო ურთიერთობის დამყარება და განხორციელება

##### მუხლი 2. საკონსულო ურთიერთობის დამყარება

1. სახელმწიფოთა შორის საკონსულო ურთიერთობა მათ შორის შეთანხმებით მყარდება.

2. ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობა, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ნიშნავს საკონსულო ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობას;

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ipso facto-დ (გარდაუვალად) არ იწვევს საკონსულო ურთიერთობის გაწყვეტას.



### მუხლი 3. საკონსულო ფუნქციების შესრულება

საკონსულო ფუნქციებს საკონსულო დაწესებულებანი ასრულებენ. მათ დიპლომატიური წარმომადგენლობანიც ასრულებენ ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

### მუხლი 4. საკონსულო დაწესებულების გახსნა

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკონსულო დაწესებულების გახსნა შეიძლება მხოლოდ ამ სახელმწიფოს თანხმობით.

2. საკონსულო დაწესებულების ადგილსამყოფელს, მის კლასსა და საკონსულო ოლქს განსაზღვრავს წარმდგენი სახელმწიფო და უნდა მოიწონოს ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ.

3. საკონსულო დაწესებულების ადგილსამყოფელის, მისი კლასისა და საკონსულო ოლქის შეცვლა წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით.

4. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობა საჭიროა მაშინაც, თუ რომელიმე გენერალური საკონსულო ან საკონსულო მოიხურეებს გახსნას ვიცე-საკონსულო ან საკონსულო სააგენტო არა იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც თვითონ არის დაბინავებული.

5. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წინასწარ გარკვეულად გამოთქმული თანხმობა საჭიროა აგრეთვე კანცელარიის გასახსნელად, რომელიც არსებული საკონსულო დაწესებულების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისი ბინადრობის ადგილას არ არის.

### მუხლი 5. საკონსულოს ფუნქციები

საკონსულოს ფუნქციებია:

a) დაიცვას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ინტერესები იმ ფარგლებში, რომლებიც დაშვებულია საერთაშორისო სამართლით;

b) ხელი შეუწყოს წარმდგენ სახელმწიფოს და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობას, აგრეთვე მათი მეგობრობის გაშვითარებას სხვა გზებით, ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად;

საქართველოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგაქრო, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სფეროებში და ამბებში, ვააცნოს ისინი წარმდგენი სახელმწიფოს მთავრობას და მიაწოდოს ცნობები დაინტერესებულ პირებს;

დ) მისცეს პასპორტები და სამგზავრო დოკუმენტები წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებს, და ვიზები თუ შესაბამისი დოკუმენტები პირებს, რომლებსაც სურთ გაემგზავრონ წარმდგენ სახელმწიფოში;

ე) დახმარება და ხელშეწყობა არ მოაკლოს წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს);

ფ) შეასრულოს ნოტარიუსის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრატორისა და სხვა ამგვარი მოვალეობანი, აგრეთვე ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი ფუნქცია იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში არაფერი არ ეწინააღმდეგება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს;

გ) დაიცვას წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ინტერესები ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე „მორტის კაუზა“ (გარდაცვალების გამო) მემკვიდრეობითობის შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებისა და წესების შესაბამისად;

დ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებისა და წესების ფარგლებში დაიცვას არასრულწლოვანი და სხვა პირების ინტერესები, რომლებიც სრულად ქმედუნარიანი არ არიან და წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროა ასეთი პირებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება;

ე) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დამკვიდრებული პრაქტიკისა და წესის შესაბამისად, წარმომადგენლობა გაუწიოს ან შესაბამისი წარმომადგენლობით უზრუნველყოს წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქენი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო და სხვა დაწესებულებებში იმ მიზნით, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებისა და წესების, ამ მოქალაქეთა უფლებებისა



და ინტერესების დამცავ წინასწარ ღონისძიებათა თაობაზე განკარგული გულებების შესაბამისად, თუ ადგილზე არყოფნის ან სხვა მიზეზების გამო ასევე მოქალაქეებს არ შეუძლიათ დროულად დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები;

j) გადასცეს სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტები ან სასამართლო დავალებანი თუ წარმდგენი სახელმწიფოს სასამართლოებისათვის ჩვენებათა მიცემის დავალება მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, ან, თუ ასეთი შეთანხმებანი არ არსებობს, ნებისმიერი სხვა წესით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს;

k) განაზოცილოს წარმდგენი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით გათვალისწინებული ზედამხედველობის და ინსპექციის უფლებები, წარმდგენი სახელმწიფოს ეროვნული გემების და ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული თვითმფრინავების, აგრეთვე მათი ეკიპაჟის მიმართ;

l) დაეხმაროს ამ მუხლის „k“ პუნქტში აღნიშნულ გემებსა და თვითმფრინავებს და მათს ეკიპაჟებს, მიიღოს განცხადებანი გემების ნაოსნობის თაობაზე, შეამოწმოს და გააფორმოს გემების დოკუმენტები და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთა უფლებებს შეულახავად გამოიკვლიოს ყოველივე გზაში მომხდარი და გადაწყვიტოს კაპიტანს, მეთაურთა შემადგენლობასა და მატროსებს შორის დავა, რამდენადაც ამას ითვალისწინებს წარმდგენი სახელმწიფოს კანონები და წესები;

m) შეასრულოს სხვა ფუნქციები, რომლებიც წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებებს ეკისრებათ და აკრძალული არ არის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით, ან რომელთა აღსრულების საწინააღმდეგო არაფერი აქვს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ან რომლებიც გათვალისწინებულია წარმდგენი სახელმწიფოს და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

**მუხლი 6.** საკონსულო ფუნქციების შესრულება საკონსულო ოლქის ფარგლებს გარეთ



საკონსულოს თანამდებობის პირს განსაკუთრებულ ვითარებაში, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით, შეუძლია თავისი ფუნქციები შეასრულოს საკონსულო ოლქის ფარგლებს გარეთ.

**მუხლი 7.** საკონსულო ფუნქციების შესრულება მესამე სახელმწიფოში

წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია, შესაბამისი სახელმწიფოსათვის შეტყობინების შემდეგ, დაავალოს ერთ სახელმწიფოში გაზსნილ საკონსულო დაწესებულებას მეორე სახელმწიფოში საკონსულო ფუნქციების შესრულება, თუ რომელიმე ეს სახელმწიფო გარკვეულად არ გამოთქვამს თავის წინააღმდეგობას.

**მუხლი 8.** საკონსულო ფუნქციების შესრულება მესამე სახელმწიფოს სახელით

ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის შესაბამისი შეტყობინების შემდეგ, წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებას, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო წინააღმდეგი არ არის, შეუძლია საკონსულო ფუნქციები შეასრულოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მესამე სახელმწიფოს სახელით.

**მუხლი 9.** საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების კლასი

1. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურები იყოფიან ოთხ კლასად. სახელდობრ:

- a) გენერალურ კონსულებად,
- b) კონსულებად,
- c) ვიცე-კონსულებად,
- d) საკონსულოს აგენტებად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი სრულიად არ ზღუდავს ხელშემკვრელ მხარეთაგან არც ერთს განსაზღვრონ საკონსულოს თანამდებობის პირთა დასახელება, რომლებიც არ არიან საკონსულო დაწესებულების მეთაურები.



**მუხლი 10. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების ნიშვნა და სამუშაოდ დაშვება**

1. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურებს ნიშნავენ წარმდგენი სახელმწიფოები და ფუნქციების შესრულების ნებართვას აძლევს ადგილსამყოფელი სახელმწიფო.

2. ამ კონვენციის დებულებათა შესრულების პირობებში საკონსულო დაწესებულების მეთაურის დანიშვნისა და სამუშაოზე დაშვების ფორმალობანი წარმდგენი სახელმწიფოს და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონების, წესებისა და ჩვეულებების შესაბამისად განისაზღვრება.

**მუხლი 11. საკონსულო პატენტი ანუ დანიშვნის შეტყობინება**

1. წარმდგენი სახელმწიფო საკონსულო დაწესებულების მეთაურს აძლევს დოკუმენტს, რომელსაც პატენტის ან მისი მსგავსი აქტის ფორმა აქვს და ყოველი დანიშვნისას ადასტურებს მის თანამდებობას და, როგორც საერთო წესი, მიუთითებს მის სრულ სახელსა და გვარს, კატეგორიას თუ კლასის კუთვნილებას, საკონსულო ოლქს და საკონსულო დაწესებულების ადგილმდებარეობას.

2. წარმდგენი სახელმწიფო ამ პატენტს თუ მის მსგავს აქტს დიპლომატიური ან სხვა შესაბამისი გზით უგზავნის იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომლის ტერიტორიაზეც საკონსულო დაწესებულების მეთაურმა უნდა შეასრულოს თავისი ფუნქციები.

3. თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო თანახმაა, წარმდგენი სახელმწიფოს შეუძლია პატენტისა თუ მისი მსგავსი აქტის ნაცვლად ადგილსამყოფელ სახელმწიფოს გაუგზავნოს იმ მონაცემების შემცველი შეტყობინება, რომლებზეც ლაპარაკია ამ მუხლის პირველ პუნქტში.

**მუხლი 12. ეგზეკვატურა**

1. საკონსულო დაწესებულების მეთაურს შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგეს ადგილსამყოფელი სახელმწიფო



ფოს მხრიდან ნებართვის მიღების შემდეგ, რომელსაც ეგზეკუტურა ეწოდება, რა ფორმაც უნდა ჰქონდეს ამ ნებართვას.

2. სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს ეგზეკუტურის გაცემაზე, მოვალე არ არის განუმარტოს წარმდგენ სახელმწიფოს ასეთი უარის მიზეზი.

3. მე-13 და მე-15 ნუხლებში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საკონსულო დაწესებულების მეთაური თავისი მოვალეობის შესრულებას ვერ დაიწყებს ეგზეკუტურის მიღებამდე.

**მუხლი 13.** საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების დროებითი დაშვება

ეგზეკუტურის გაცემამდე საკონსულო დაწესებულების მეთაური შეიძლება დროებით დაუშვან თავისი ფუნქციების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში იყენებენ ამ კონვენციის დებულებებს.

**მუხლი 14.** საკონსულო ოლქის ხელისუფალთათვის შეტყობინება

როგორც კი საკონსულო დაწესებულების მეთაურს, თუნდაც დროებით დაუშვებენ თავისი ფუნქციების შესასრულებლად, ადგილსამყოფელი სახელმწიფო დაუყოვნებლივ ატყობინებს ამას საკონსულო ოლქის კომპეტენტურ ხელისუფალთ. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საკონსულო დაწესებულების მეთაურს შეეძლოს თავისი თანამდებობით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება და ისარგებლოს ამ კონვენციიდან გამომდინარე უპირატესობით.

**მუხლი 15.** საკონსულო დაწესებულების მეთაურის ფუნქციების დროებითი შესრულება

1. თუ საკონსულო დაწესებულების მეთაურს არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თუ საკონსულო დაწესებულების მეთაურის თანამდებობა ვაკანტურია, საკონსულო დაწესებულების მეთაურის ფუნქციები დროებით შეიძლება შეასრულოს საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა.

2. საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის სრულ სახელსა და გვარს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან ამ სამინისტროს მიერ აღნიშნულ ორგანოს ატყობინებს წარმდგენი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან, თუ ამ სახელმწიფოს არა აქვს ასეთი წარმომადგენლობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, — საკონსულო დაწესებულების მეთაური, ან, თუ მას ამის გაკეთება არ შეუძლია, — წარმდგენი სახელმწიფოს ნებისმიერი სხვა კომპეტენტური ორგანო. როგორც წესი, ეს შეტყობინება წინასწარ ხდება, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი თანხმობით განაპირობოს საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის დამუშავება, თუ ეს პირი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოს არც დიპლომატიური აგენტი, არც საკონსულოს თანამდებობის პირი;

3. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ეხმარებიან და იცავენ საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს. სანამ იგი დაწესებულებას მეთაურობს, მასზე ამ კონვენციის დებულებანი ისევე ვრცელდება, როგორც შესაბამისი საკონსულო დაწესებულების მეთაურზე. მიუხედავად ამისა, ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალე არ არის დაწესებულების მეთაურის მოვალეობის დროებით შემსრულებელ პირს მიანიჭოს უპირატესობანი, პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებითაც საკონსულო დაწესებულების მეთაური სარგებლობს, მხოლოდ იმ პირობების გამო, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი.

4. თუ წარმდგენი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფო ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად საკონსულო დაწესებულების მეთაურის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ნიშნავს, იგი კვლავ სარგებლობს დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ არის.

**მუხლი 16. უფროს-უმცროსობა საკონსულო დაწესებულება-  
თა მეთაურებს შორის**



1. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურებს უფროს-უმცროსობის რიგით ყოველ კლასში ენიჭებათ სხვადასხვა ადგილი, რომელსაც განსაზღვრავს ეგზეკვატურის გაცემის თარიღი.

2. თუ საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი ეგზეკვატურის მიღებამდე დროებით დაშვებულია ამ თანამდებობაზე თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მისი ადგილი უფროს-უმცროსობის რიგით განისაზღვრება დროებითი დაშვების თარიღით; ეს ადგილი უნარჩუნდება მისთვის ეგზეკვატურის გადაცემის შემდეგაც.

3. ორ ან რამდენიმე საკონსულო დაწესებულების მეთაურებს შორის, რომლებსაც ერთსა და იმავე დღეს აქვთ მიღებული ეგზეკვატურა ან დროებით არიან დაშვებული ამ თანამდებობაზე თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის მათი პატენტების ან პატენტისმაგვარი აქტების წარდგენის თარიღებით ან მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული შეტყობინების თარიღით.

4. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების მოვალეობათა შემსრულებლებს უფროს-უმცროსობის წესით ადგილები უკავიათ ყველა საკონსულო დაწესებულების მეთაურთა შემდეგ, ხოლო მათ შორის უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მათ მიერ დაწესებულების უფროსის მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი, რომელიც მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ შეტყობინებაში არის მითითებული.

5. საკონსულოს საპატიო თანამდებობის პირებს, რომლებიც საკონსულო დაწესებულებათა მეთაურები არიან, ყოველ კლასში ადგილები უკავიათ საკონსულო დაწესებულებათა შტატის მეთაურების შემდეგ იმ რიგით და იმ წესების შესაბამისად, რომლებიც წინა პუნქტებშია გადმოცემული.

6. საკონსულო დაწესებულებათა მეთაურებს უფროს-უმცროსობის რიგით ეკუთვნით საკონსულოს იმ თანამდებობის პირებზე მაღალი ადგილები, რომლებსაც ეს სტატუსი არა აქვთ.





**მუხლი 17.** საკონსულოს თანამდებობის პირთა მიერ დიპლომატიური აქტების შესრულება

1. სახელმწიფოში, სადაც წარმდგენ სახელმწიფოს არა აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა და სადაც იგი წარმოდგენილი არ არის მესამე სახელმწიფოს წარმომადგენლობის მიერ, საკონსულოს თანამდებობის პირს შეუძლია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით და მისი საკონსულო სტატუსის შეუცვლელად, ჰქონდეს იმის რწმუნება, რომ შეასრულოს დიპლომატიური აქტები. ასეთი აქტების შესრულება საკონსულოს თანამდებობის პირს არ აძლევს პრეტენზიების უფლებას დიპლომატიურ პრივილეგიებზე ან იმუნიტეტებზე.

2. საკონსულოს თანამდებობის პირს შეუძლია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შეტყობინების შემდეგ იმოქმედოს, როგორც წარმდგენი სახელმწიფოს წარმომადგენელმა ნებისმიერ მთავრობათშორის ორგანიზაციასთან. ამ მოვალეობის შესრულებისას მას უფლება აქვს ისარგებლოს ყველა პრივილეგიითა და იმუნიტეტით, რომელსაც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი ან საერთაშორისო ხელშეკრულება ანიჭებს ასეთ წარმომადგენელს, მაგრამ რაც შეეხება მის მიერ ნებისმიერი საკონსულო ფუნქციის შესრულებას, მას იურისდიქციით არა აქვს იმაზე მეტი იმუნიტეტის უფლება, ვიდრე უნიჭება საკონსულოს თანამდებობის პირს ამ კონვენციის თანახმად.

**მუხლი 18.** ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებართვით ერთი და იგივე პიროვნების დანიშვნა საკონსულოს თანამდებობის პირად

ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებართვით შეუძლია ერთი და იგივე პიროვნება დანიშნოს საკონსულოს თანამდებობის პირად ამ სახელმწიფოში.

**მუხლი 19.** საკონსულოს პერსონალის დანიშვნა

1. წარმდგენ სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია დანიშნოს საკონსულოს პერსონალი მე-20, 22-ე და 23-ე მუხლებში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.



2. წარმდგენი სახელმწიფო წინასწარ აცნობებს სახელმწიფო სამყოფელ სახელმწიფოს საკონსულოს ყველა თანამდებობის პირის სრულ სახელსა და გვარს, კატეგორიასა და კლასს, გარდა საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელისა, რათა ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეეძლოს, თუ ამის სურვილი ექნება, განახორციელოს თავისი უფლებები, რომლებიც 23-ე მუხლის მე-3 პუნქტშია გათვალისწინებული.

3. წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია, თუ ამას მოითხოვს მისი კანონები და წესები, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სთხოვოს მისცეს ეგზეკვატურა საკონსულოს თანამდებობის პირს, რომელიც საკონსულო დაწესებულების მეთაური არ არის.

4. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია, თუ ამას მოითხოვს მისი კანონები და წესები, მისცეს ეგზეკვატურა საკონსულოს თანამდებობის პირს, რომელიც საკონსულო დაწესებულების მეთაური არ არის.

**მუხლი 20.** საკონსულოს პერსონალის რაოდენობა

იმ შემთხვევაში, თუ არ არის შეთანხმება საკონსულოს პერსონალის რაოდენობაზე, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს წარმდგენ სახელმწიფოს, რომ პერსონალის რაოდენობა არ აჭარბებდეს ზღვარს, რომელიც მას გონივრულად და ნორმალურად მიაჩნია, ითვალისწინებს რა საკონსულო ოლქში არსებულ ვითარებას და პირობებს და ამ საკონსულო დაწესებულების მოთხოვნილებებს.

**მუხლი 21.** უფროს-უმცროსობის რიგი საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა შორის

წარმდგენი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან, თუ ამ სახელმწიფოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არა აქვს ასეთი წარმომადგენლობა, საკონსულო დაწესებულების მეთაური აცნობებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან ამ სამინისტროს მიერ მითითებულ ორგანოს, საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირებს შორის უფროს-უმცროსობის რიგს, აგრეთვე ამ რიგის ნებისმიერ ცვლილებას.



**მუხლი 22.** საკონსულო თანამდებობის პირთა მოქალაქეობა

1. როგორც წესი, საკონსულოს თანამდებობის პირები წარმდგენენ სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.

2. საკონსულოს თანამდებობის პირები არ შეიძლება დაინიშნონ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, თუ არ იქნა ამ სახელმწიფოს მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, თანაც ეს თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

3. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია შეინარჩუნოს ასეთივე უფლება მესამე სახელმწიფოს იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც იმავდროულად წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან.

**მუხლი 23.** non grata-დ გამოცხადებული პირები

1. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს წარმდგენ სახელმწიფოს, რომ საკონსულოს ესა თუ ის თანამდებობის პირი არის *persona non grata* ან საკონსულო პერსონალის ნებისმიერი თანამშრომელი მიუღებელია ასეთ შემთხვევაში წარმდგენმა სახელმწიფომ შესაბამისად უნდა გადააყენოს ეს პირი ან შეწყვიტოს მისი ფუნქციები საკონსულო დაწესებულებაში.

2. თუ წარმდგენი სახელმწიფო უარს იტყვის შეასრულოს ან არ შეასრულოს გონივრულობის ფარგლებით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული თავისი ვალდებულებანი, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისად გააუქმოს ამ პირის ეგზეკვატურა ან აღარ ჩათვალოს იგი საკონსულო პერსონალის თანამშრომლად.

3. საკონსულო დაწესებულების თანამშრომლად დანიშნული პირი შეიძლება მიუღებლად გამოცხადდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლამდე ან, თუ იგი უკვე იმყოფება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მანამდე, სანამ შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას საკონსულო დაწესებულებაში. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში წარმდგენი სახელმწიფო აუქმებს მის დანიშნას.

4. ამ მუხლის 1 და 3 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებული არ არის დაწყვეტილების მიზეზი აცნობოს წარმდგენ სახელმწიფოს.

**მუხლი 24.** ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის დანიშნის, ჩამოსვლის და წასვლის შეტყობინება

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან ამ სამინისტროს მიერ მითითებულ ორგანოს ატყობინებენ:

a) საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა დანიშნას, დანიშნის შემდეგ მათ ჩასვლას, მათ საბოლოო გამგზავრებას ან ფუნქციების შეწყვეტას და ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც მოქმედებს მათ სტატუსზე და შეიძლება მოხდეს საკონსულო დაწესებულებაში მათი მუშაობის დროს;

b) იმ პირის ჩასვლას ან საბოლოო გამგზავრებას, რომელიც საკონსულო დაწესებულების თანამშრომლის ოჯახის წევრია და მუდმივად ცხოვრობს მასთან ერთად, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში, რომ ესა თუ ის პირი ხდება ან აღარ არის ოჯახის ასეთი წევრი;

c) კერძო შინამუშააკების ჩასვლას და შესაბამის შემთხვევებში მათი ამ მუშაობის შეწყვეტას;

d) იმ პირთა დაქირავებასა და გათავისუფლებას, რომლებიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ცხოვრობენ და, როგორც საკონსულო დაწესებულების მუშააკებს ან კერძო შინამუშააკებს, აქვთ პრივილეგიებისა და იმუნიტეტის უფლება.

2. ჩასვლის ან საბოლოო გამგზავრების შეტყობინება უნდა გაკეთდეს შეძლებისდაგვარად დროულად.

## კარი II. საკონსულო ფუნქციათა შეწყვეტა

**მუხლი 25.** საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთა ფუნქციების შეწყვეტა

საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთა ფუნქციები წყდება:

a) მას შემდეგ, რაც წარმდგენი სახელმწიფო ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეატყობინებს, რომ მისი ფუნქციები წყდება;

b) ეგზეკუტურის გაუქმებისას;

c) მას შემდეგ, რაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო წარმდგენ სახელმწიფოს შეატყობინებს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო აღარ თვლის ამ პიროვნებას საკონსულო პერსონალის თანამშრომლად.

**მუხლი 26.** ადგილსამყოფელი სახელმწიფოდან გამგზავრება

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც კი, საკონსულო დაწესებულების თანამშრომლებს და კერძო შინაშუშაკებს, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, მათი მოქალაქეობის მიუხედავად უნდა მისცეს დრო და შეუქმნას საამისო პირობები, რომ შეძლონ გასამგზავრებლად მომზადება და გაემგზავრონ რაც შეიძლება მალე შესაბამისი თანამშრომლების ფუნქციათა შეწყვეტის შემდეგ. კერძოდ, საპირობების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ისინი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც საპირობა მათთვის და მათი ქონების გადასაზიდად, გარდა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში შეძენილი იმ ქონებისა, რომლის გატანაც გამგზავრების დროისათვის აკრძალულია.

**მუხლი 27.** საკონსულოს კარ-მიდამოს და არქივების, აგრეთვე წარმდგენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა განსაკუთრებულ ვითარებაში

1. ორ სახელმწიფოს შორის საკონსულო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში:

a) ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი პატივი უნდა სცეს და დაიცვას საკონსულოს კარ-მიდამო, აგრეთვე საკონსულო დაწესებულების ქონება და არქივი;

b) წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია საკონსულო შენობათა დაცვა, აგრეთვე მათში არსებული ქონებისა და საკონსულოს არქივის დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს;

c) წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ინტერესებისა და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის.

2. საკონსულო დაწესებულების დროებით და საბოლოო დახურვის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის I პუნქტის a ქვეპუნქტის დებულებები. გარდა ამისა:

a) თუ წარმდგენ სახელმწიფოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არა აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა, მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს სხვა საკონსულო დაწესებულება, ამ საკონსულო დაწესებულებას შეიძლება დაეკისროს დახურული საკონსულო დაწესებულების შენობის, მასში დაცული ქონების და საკონსულოს არქივის დაცვა და, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით, საკონსულოს ფუნქციათა შესრულება ამ საკონსულო დაწესებულების ოლქში;

b) თუ წარმდგენ სახელმწიფოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არა აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა და სხვა საკონსულო დაწესებულება, გამოიყენება ამ მუხლის 1 პუნქტის b და c ქვეპუნქტების დებულებები.

**თავი II. საკონსულო დაწესებულებების, საკონსულოს შტატიან თანამდებობის პირთა და სხვა თანამშრომელთა უპირატესობანი, პრივილეგიები და იმუნიტეტები**

**კარი I. საკონსულო დაწესებულებათა უპირატესობანი, პრივილეგიები და იმუნიტეტები**

**მუხლი 25. საკონსულო დაწესებულებათა მუშაობის შემსუბუქება**

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შეუქმნას საკონსულო დაწესებულებას თავისი ფუნქციების შესასრულებლად.



**მუხლი 29.** სახელმწიფო დროშისა და გერბის გამოყენება

1. წარმდგენ სახელმწიფოს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი სახელმწიფო გერბი და დროშა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად.

2. წარმდგენი სახელმწიფოს დროშა შეიძლება გამოიკიდოს და მისი სახელმწიფო გერბი დამაგრდეს შენობაზე, რომელიც უკავია საკონსულო დაწესებულებას, მეთაურის რეზიდენციაზე და მისი მიმოსვლის საშუალებებზე, როდესაც ეს დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალებების შესრულებასთან.

3. ამ მუხლში გათვალისწინებულ უფლებათა განხორციელებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და წეს-ჩვეულებები.

**მუხლი 30.** კარ-მიდამოთი უზრუნველყოფა

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია თავის ტერიტორიაზე თავის კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად წარმდგენ სახელმწიფოს ან შეაძენინოს საკონსულო დაწესებულებისათვის საჭირო კარ-მიდამო, ან დაეხმაროს სხვა გზით მის მიღებაში.

2. იგი, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაეხმაროს საკონსულო დაწესებულებას შესაბამის ნაგებობათა მიღებაში.

**მუხლი 31.** საკონსულოს კარ-მიდამოს ხელშეუხებლობა

1. საკონსულოს კარ-მიდამო ხელშეუხებელია იმდენად, რამდენადაც ეს მუხლი ითვალისწინებს.

2. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ შევიდნენ საკონსულოს შენობის იმ ნაწილში, რომელიც მხოლოდ საკონსულო დაწესებულების სამუშაოდ გამოიყენება, თუ მათ არა აქვთ საკონსულო დაწესებულების, მის მიერ დანიშნული პირის ან წარმდგენი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობა. თუმცა შეიძლება იყოს საკონსულო დაწესებულების მეთაურის წინასწარი თანხმობა ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების დროს შესასვლელად, შენობის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა გასატარებლად.

✓ 3. ამ მუხლის მეორე პუნქტის დებულების შესასრულებლად ადგილსამყოფელ სახელმწიფოს აკისრია სპეციალური ვალდებუ-

ლება ყველაფერი იღონოს საკონსულოს კარ-მიდამოს დასაცავად  
ყოველგვარი შეჭრის და ზარალის მიყენებისაგან, ასევე საკონსულოს  
საკონსულო დაწესებულებას სიმშვიდის დარღვევისა და ღირსე-  
ბის შელახვის ცდები.

4. საკონსულოს კარ-მიდამო, მისი ავეჯი, საკონსულო დაწესებულებების ქონება და მიმოსვლის საშუალებები სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით და საზოგადოებრივი საქიროებისათვის ყველა სახის რეკვიზიციისაგან დაცულია იმუნიტეტით. ზემოაღნიშნული მიზნით შენობის გასხვისების აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი შესაძლებელი ღონისძიებანი ხორციელდება იმისათვის, რომ არ შეეუბნოს საკონსულო ფუნქციების შესრულება და წარმდგენ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უზღიან შესაბამის და ეფექტიან კომპენსაციას ამისათვის.

**მუხლი 32.** საკონსულოს კარ-მიდამოს განთავისუფლება გადასახადისაგან

1. საკონსულოს კარ-მიდამო და საკონსულო დაწესებულების შტატიანი მეთაურის რეზიდენცია, რომელთა მფლობელი ან დამკირავებელია წარმდგენი სახელმწიფო ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი, თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა კონკრეტული სახის მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საგადასახადო შეუვალობანი არ ვრცელდება იმ მოსაკრებლებზე, ბაჟსა და გადასახადზე, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა გადაიხადონ იმ პირებმა, რომლებმაც ხელშეკრულება დადეს წარმდგენ სახელმწიფოსთან, ან მისი სახელით მოქმედ პირთან.

**მუხლი 33.** საკონსულოს არქივისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა

საკონსულოს არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია სებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას.



### მუხლი 34. მიმოსვლის თავისუფლება

რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონებსა და წესებს ზონებზე, სადაც შესვლა აკრძალულია ან რეგულირდება სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით, ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე საკონსულო დაწესებულების ყველა მუშაკის მიმოსვლის და მოგზაურობის თავისუფლება.

### მუხლი 35. ურთიერთობის თავისუფლება

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ნება დართოს და დაიცვას საკონსულო დაწესებულების თავისუფალი ურთიერთობა ყველანაირი ოფიციალური მიზნით. წარმდგენი სახელმწიფოს მთავრობასთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და სხვა საკონსულო დაწესებულებებთან ურთიერთობისას, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, საკონსულო დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს ყველა შესაფერისი საშუალება, დიპლომატიური და საკონსულო კურიერების, დიპლომატიური და საკონსულო ვალიზების და კოდირებული ან დაშიფრული დეპეშების ჩათვლით. თუმცა საკონსულო დაწესებულებაში რადიოგადამცემის დადგმა და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით.

2. საკონსულო დაწესებულების ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. ოფიციალურ კორესპონდენციაში იგულისხმება მთელი კორესპონდენცია, რომელიც ეხება საკონსულო დაწესებულებას და მის ფუნქციებს.

3. საკონსულო ვალიზა არ ექვემდებარება არც გახსნას და არც დაკავებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ სერიოზული საფუძველი დაეკვიდნენ, რომ ვალიზა ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი კორესპონდენციების, დოკუმენტების ან ნივთების გარდა შეიცავს სხვა რამესაც, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ვალიზის გახსნა წარმდგენი სახელმწიფოს რწმუნებულის თანდასწრებით. თუ



წარმდგენი სახელმწიფოს ხელისუფლება უარს იტყვის ამ მოთხოვნის შესრულებაზე, ვალიზა ბრუნდება იქ, საიდანაც გაიგზავნა.

4. საკონსულო ვალიზის შემადგენელ ყველა შეკვრას გარედან შესამჩნევად უნდა ეწეროს, რა არის შიგნით, და უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას და დოკუმენტებს, ან მხოლოდ ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ ნივთებს.

5. საკონსულოს კურიერს ეძლევა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია მისი სტატუსი და საკონსულო ვალიზის შემადგენელი შეკვრების რიცხვი. იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა არის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობა, საკონსულოს კურიერი არ შეიძლება იყოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე და არც პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყანაში. თავისი ფუნქციების შესრულებისას მას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო, სარგებლობს პირადი ხელშეუხებლობით და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით.

6. წარმდგენ სახელმწიფოს, მის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საკონსულო დაწესებულებებს შეუძლიათ დანიშნონ სპეციალური საკონსულო კურიერები ad hoc. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებანი, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ მასში მოხსენიებული იმუნიტეტები მაშინვე წყვეტს მოქმედებას, როგორც კი კურიერი მისთვის მინდობილ საკონსულო ვალიზას დანიშნულების ადგილას ჩააბარებს.

7. საკონსულო ვალიზა შეიძლება ჩააბარდეს გემის ან სამოქალაქო თვითმფრინავის მეთაურს, რომლებიც მიდიან იმ პორტში ან აეროპორტში, სადაც ჩასვლა ნებადართულია. ამ შემთხვევაში მას ეძლევა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რამდენი შეკვრისაგან შედგება ვალიზა, მაგრამ ის არ ითვლება საკონსულო კურიერად. ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით, საკონსულო დაწესებულებას შეუძლია გაგზავნოს ერთ-ერთი მუშაკი, რომელიც გემის ან თვითმფრინავის მეთაურისაგან უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩააბარებს ვალიზას.

## მუხლი 36. წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებთან ურთიერთობა და კონტაქტები

1. წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებთან ურთიერთობაში საკონსულო ფუნქციების შესრულების გასაადვილებლად:

ა) საკონსულოს თანამდებობის პირებს შეუძლიათ თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდეთ წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებთან და შეხვდნენ მათ. წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც ასეთივე თავისუფლება აქვთ იმაში, რაც ეხება წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულოს თანამდებობის პირებთან მათ ურთიერთობას და მათთან შეხვედრას;

ბ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ეკლდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებას, რომ მისი საკონსულო ოლქის ფარგლებში დააპატიმრეს, სატუსალოში მოათავსეს ან დააკავეს სასამართლო გარჩევის მოლოდინში ამ ქვეყნის მოქალაქე, თუ იგი ამას თხოულობს. ყველა შეტყობინება, რომელსაც ამ საკონსულო დაწესებულებას უთვლის დაპატიმრებული, სატუსალოში მოთავსებული ან დაკავებული პირი, ამ ორგანოებმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ საკონსულო დაწესებულებას. აღნიშნულმა ორგანოებმა მაშინვე უნდა გააცნონ ამ პირს უფლებები, რომლებიც მას აქვს ამ ქვეპუქტის მიხედვით;

გ) საკონსულოს თანამდებობის პირებს აქვთ უფლება მოინახულონ სატუსალოში მყოფი და დაკავებული თავიანთი ქვეყნის მოქალაქე, ესაუბრონ მას, ასევე მიმოწერა იქონიონ მასთან და ყველაფერი იღონონ, რათა ის პირი უზრუნველყონ იურიდიული წარმომადგენლობით. მათ ასევე აქვთ უფლება მოინახულონ წარმდგენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც იმყოფება სატუსალოში, დაპატიმრებული ან დაკავებულია მათს ოლქში სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად. და მაინც საკონსულოს თანამდებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ და არ გამოვიდნენ სატუსალოში მყოფი, დაპატიმრებული ან დაკავებული მოქალაქის სახელით, თუ იგი ამას ამკარად წინააღმდეგია.



2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებები ხორციელდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად; იმ პირობით, რომ ეს კანონები და წესები ხელს შეუწყობს სრულ განხორციელებას იმ მიზნებისა, რისთვისაც განკუთვნილია ამ მუხლით მინიჭებული უფლებები.

**მუხლი 37.** გარდაცვალების, მეურვეობის ან მზრუნველობის და გემის და თვითმფრინავების ავარიების შეტყობინება

თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია, ისინი ვალდებული არიან:

a) წარმდგენი ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ ეს იმ საკონსულო დაწესებულებას, რომლის ოლქშიც გარდაიცვალა პიროვნება;

b) დაუყოვნებლივ აცნობონ კომპეტენტურ საკონსულო დაწესებულებას ყოველი შემთხვევა, როცა მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა შეესაბამება არასრულწლოვანი ან სხვა, სრულ ქმედუნარიანობას მოკლებული პირის ინტერესებს და ეს პირი წარმდგენი ქვეყნის მოქალაქეა. ამასთან ამ ინფორმაციამ არ უნდა შეაფერხოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონები და წესები მსგავს დანიშვნებთან დაკავშირებით;

c) თუ წარმდგენი სახელმწიფოს ვემმა განიცადა კატასტროფა ან დაჯდა მეჩჩხზე ამ სახელმწიფოს ტერიტორიულ ან შიდა წყლებში, ან წარმდგენ სახელმწიფოში რეგისტრირებულ თვითმფრინავს მოუხდა ავარია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემთხვევის ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე საკონსულო დაწესებულებას.

**მუხლი 38.** ურთიერთობა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოებთან

თავისი ფუნქციების შესრულებისას საკონსულოს თანამდებობის პირებს შეუძლიათ მიმართონ:

a) კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს თავის საკონსულო ოლქში;



b) ადგილსამყოფელი ქვეყნის ცენტრალურ კომპეტენტურ განოებს, იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონებითა და წეს-ჩვეულებებით ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

**მუხლი 39. საკონსულო მოსაკრებლები**

1. საკონსულო დაწესებულებას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესრულებული საკონსულო აქტებისათვის შეუძლია გადააბდევის მოსაკრებლები ან ბაჟი თავისი ქვეყნის კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. მოსაკრებლებისა და ბაჟის სახით შეგროვილი თანხა, რომელიც მოხსენიებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში და ასეთი მოსაკრებლებისა და ბაჟის მიღების ქვეითრები თავისუფლდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ყველა გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან.

**კარი II. შტატთან საკონსულო თანამდებობის პირთა და საკონსულო დაწესებულების სხვა მუშაკთა უპირატესობები, პრივილეგიები და იმუნიტეტები**

**მუხლი 40. საკონსულოს თანამდებობის პირთა დაცვა**

ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია შესაფერი პატივით მოეპყრას საკონსულოს თანამდებობის პირებს და ყველა დონე იმპაროს მათი პიროვნების, თავისუფლების ან ღირსების რაიმე სახით ხელყოფის თავიდან ასაცილებლად.

**მუხლი 41. საკონსულოს თანამდებობის პირთა პირადი ხელშეუხებლობა**

1. საკონსულოს თანამდებობის პირთა დაპატიმრება ან წინასწარ პატიმრობაში აყვანა არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, არ შეიძლება საკონსულოს თანამდებობის პირთა სატუსა-

ლოში ჩასმა, არც არანაირი სხვა ფორმით მათი პირადი ინტერესების შეზღუდვა, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება.

3. თუ საკონსულოს თანამდებობის პირის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, იგი ვალდებულია გამოცხადდეს კომპეტენტურ ორგანოებში; და მიანც, საქმის წარმოებისას პატივისცემით უნდა მოეპყრან მისი ოფიციალური მდგომარეობის გამო, და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა შეუშალონ ხელი საკონსულო ფუნქციების შესრულებაში. როცა აუცილებელი ხდება საკონსულოს თანამდებობის პირის დაკავება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მის წინააღმდეგ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დაიწყოს სასამართლო დევნა.

**მუხლი 42.** დაპატიმრების, წინასწარი დაკავების ან სასამართლო დევნის შეტყობინება

საკონსულოს პერსონალის მუშაის დაპატიმრების, წინასწარი დაკავების ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში ადგილსამყოფელი ქვეყანა დაუყოვნებლივ ატყობინებს ამას საკონსულო დაწესებულების მეთაურს. თუ ასეთი ღონისძიებანი თვითონ მის მიმართ ხორციელდება, ადგილსამყოფელი სახელმწიფო დიპლომატიური არხებით აცნობებს ამას წარმდგენ სახელმწიფოს.

**მუხლი 43.** იმუნიტეტი იურისდიქციისაგან

1. საკონსულოს თანამდებობის პირები და საკონსულოს მოსამსახურენი არ ექვემდებარებიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო თუ ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქციას, იმისათვის; რასაც თავიანთი საკონსულო ფუნქციების შესასრულებლად მოიმოქმედებენ.

2. მაგრამ ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებანი არ გამოიყენება სამოქალაქო სარჩელის მიმართ, თუ:



a) იგი გამომდინარეობს საკონსულოს თანამდებობის პირის ან საკონსულოს მოსამსახურის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან, რომლის თანახმად მათ პირდაპირ ან ირიბად არ აკისრიათ ვალდებულება, როგორც წარმდგენი სახელმწიფოს აგენტებს; ან

b) იგი აღძრა მესამე მხარემ, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საგზაო-სატრანსპორტო საშუალების, გემის ან თვითმფრინავის უბედური შემთხვევით გამოწვეული ზიანისათვის.

**მუხლი 44. მოწმის ჩვენების მიცემის მოვალეობა**

1. საკონსულო დაწესებულების მუშაკები შეიძლება გამოიძახონ მოწმედ სასამართლო ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას. საკონსულოს მოსამსახურეს თუ მომსახურე პერსონალის მუშაკს, ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ შემთხვევათა გარდა, უფლება არა აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. თუ საკონსულოს თანამდებობის პირი უარს ამბობს მისცეს ჩვენება, მის წინააღმდეგ არ შეიძლება გამოიყენონ იძულების ან დასჯის არავითარი ღონისძიება.

2. ორგანო, რომელსაც სჭირდება საკონსულოს თანამდებობის პირის ჩვენება, ვალდებულია თავიდან ააცილოს ამ პირს დაბრკოლება თავისი ფუნქციების შესრულებაში. მას შეუძლია, როცა ეს შესაძლებელია, მოისმინოს ჩვენება ამ პირის ბინაში ან საკონსულო დაწესებულებაში, ან მიიღოს მისგან წერილობითი ჩვენება.

3. საკონსულო დაწესებულების მუშაკები არ არიან ვალდებული მისცენ ჩვენება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მათი ფუნქციების შესრულებას, ან წარუდგინონ ამ ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ოფიციალური კორესპონდენცია და დოკუმენტები. მათ ასევე არ ევალებათ მისცენ ჩვენება, რომელიც ეხება წარმდგენი ქვეყნის კანონმდებლობის განმარტებას.

**მუხლი 45. პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე უარის თქმა**

1. წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა ნებისმიერ პრივილეგიებსა და იმუნი-

ტეტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია 41-ე, 43-ე და 44-ე მუხლებით.



2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, ასეთი უარი ყოველთვის უნდა იყოს გარკვევით გამოთქმული და წერილობით ეცნობოს იგი ადგილსამყოფელ სახელმწიფოს.

3. საკონსულოს თანამდებობის პირის ან საკონსულოს მოსამსახურის მიერ საქმის აღძვრა იმ შემთხვევაში, როცა მას შეეძლო ესარგებლა იურისდიქციისადმი იმუნიტეტით, 43-ე მუხლის თანახმად, ართმევს მას უფლებას დაიმოწმოს ასეთი იმუნიტეტი ნებისმიერი შემხვედრი სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ძირითად სარჩელთან.

4. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მიმართ იურისდიქციისადმი იმუნიტეტზე უარის თქმა არ ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად აღმასრულებელი მოქმედებისადმი იმუნიტეტზე უარის თქმას, ასეთ მოქმედებათა მიმართ აუცილებელია ცალკე უარი.

**მუხლი 46. უცხოელთა რეგისტრაციისაგან და ცხოვრების ნებართვის მიღებისაგან გათავისუფლება**

1. საკონსულოს თანამდებობის პირნი, საკონსულოს მოსამსახურენი და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები თავისუფლდებიან ყოველგვარი ვალდებულებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით უცხოელთა რეგისტრაციის მიმართ, და ცხოვრების ნებართვის მიღებისაგან.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება საკონსულოს ყოველი მოსამსახურის მიმართ, რომელიც არ არის წარმდგენი სახელმწიფოს მუდმივი მოსამსახურე ან ეწევა კერძო საქმიანობას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ასეთი მოსამსახურის ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ.





**მუხლი 47. მუშაობის ნებართვის მიღებისაგან განთავისუფლება**

1. საკონსულო დაწესებულების მუშაკები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს წარმდგენი სახელმწიფოსათვის, თავისუფლდებიან მუშაობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ვალდებულებებისაგან, რომლებიც დადგენილია უცხოელთა სამუშაოდ დაქირავების შესახებ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით.

2. საკონსულოს თანამდებობის პირთა და საკონსულოს მოსამსახურეთა კერძო შინამუშაკები, თუ ისინი ადგილსამყოფელ ქვეყანაში სხვა არავითარ სამუშაოს არ ეწევიან შემოსავლის მიღების მიზნით, თავისუფლდებიან ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ვალდებულებებისაგან.

**მუხლი 48. შეუვალობა, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფას განეკუთვნება**

1. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებები სოციალური უზრუნველყოფის შესახებ არ ვრცელდება საკონსულო დაწესებულების მუშაკებსა და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებზე, რომლებიც სამუშაოს წარმდგენი სახელმწიფოსათვის ასრულებენ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული შეუვალობა ვრცელდება აგრეთვე კერძო შინამუშაკებზე, რომლებიც მხოლოდ საკონსულო დაწესებულების მუშაკებს ემსახურებიან, იმ პირობით თუ:

- a) არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი და არ ცხოვრობენ იქ მუდმივად; და
- b) მათზე ვრცელდება წარმდგენ ან მესამე სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებები სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

3. საკონსულო დაწესებულების მუშაკები, რომლებიც ქირაობენ პირთ, რომლებზეც არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით



გათვალისწინებული შეუვალობა, უნდა ასრულებდნენ ადგილსამყოფელ-  
 ლეებს, რომლებიც ეკისრებათ დამჭირავებლებს ადგილსამყოფელ  
 სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებებით სოციალური უზრუნ-  
 ველყოფის შესახებ.

4. ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შე-  
 უვალობა ხელს არ უშლის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სო-  
 ციალური უზრუნველყოფის სისტემაში ნებაყოფლობით მონაწი-  
 ლეობას იმ პირობით, თუ ასეთი მონაწილეობა ნებადართულია ამ  
 სახელმწიფოს მიერ.

**მუხლი 49. საგადასახადო შეუვალობა**

1. საკონსულოს თანამდებობის პირნი და საკონსულოს მოსამ-  
 სახურენი, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები  
 თავისუფლდებიან ყოველგვარი პირადი და ქონებრივი, სახელმწი-  
 ფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადის, მოსაკრებ-  
 ლისა და ბაჟისაგან. გამონაკლისია:

a) არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც ჩვეულებრივ სა-  
 ქონლის ან მომსახურების ღირებულებაში შედის;

b) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული  
 კერძო უძრავი ქონების მოსაკრებლები და გადასახადები, 32-ე მუხ-  
 ლის დებულებით გათვალისწინებული შეუვალობით;

c) სამემკვიდრეო ქონების გადასახადი ან სამემკვიდრეო ბაჟი,  
 ან ქონების გადასვლის გადასახადი, რომლებსაც ადგილსამყოფელი  
 სახელმწიფო ახდენინებს, 51-ე მუხლის b პუნქტის დებულებებით  
 გათვალისწინებული შეუვალობით;

d) კერძო შემოსავლის, აგრეთვე იმ კაპიტალიდან მიღებული  
 შემოსავლის გადასახადები და მოსაკრებლები, რომლის წყარო  
 ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია და ადგილსამყოფელი სახელ-  
 მწიფოს კომერციულ ან საფინანსო დაწესებულებაში კაპიტალდა-  
 ბანდების გადასახადები;

e) კონკრეტული სახის მომსახურების მოსაკრებლები;

f) სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟი, იპო-  
 თეკური მოსაკრებლები, საგერბო მოსაკრებლები, 32-ე მუხლის დე-  
 ბულებებით გათვალისწინებული შეუვალობით.

2. მომსახურე პერსონალის მუშაკები თავისუფლდებიან თანამშრომლობის საფუძვალზე ხელფასის გადასახადისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

3. საკონსულო დაწესებულების მუშაკები, რომლებიც ქიროზენ პირთ, რომელთა ხელფასი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იხეგრება საშემოსავლო გადასახადით, ასრულებენ ვალდებულებებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს კანონებითა და წესებით ეკისრებათ დამქირავებლებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხში.

**მუხლი 50.** ბაჟისა და საბაჟო შემოწმებისაგან განთავისუფლება

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო, იქ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, ნებას რთავს შემოვიდონ და ათავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახადებისა და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურების მოსაკრებლების გარდა:

a) საგნებს, რომლებიც საკონსულო დაწესებულებას ოფიციალური გამოყენებისათვის სჭირდება;

b) საგნებს, რომლებიც საკონსულოს თანამდებობის პირს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს პირადი გამოყენებისათვის სჭირდებათ, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნებს ოჯახის მოსაწყობად. სამომხმარებლო საქონლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირების მიერ უშუალო მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობას.

2. საკონსულოს მოსამსახურენი სარგებლობენ ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და იმ საგნების ბაჟისაგან განთავისუფლებით, რომლებიც შემოვიდულია თავდაპირველი საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის.

3. საკონსულოს თანამდებობის პირთა და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი ბარგი, რომელიც მათ თან ბიჟეტო, თავისუფლდება შემოწმებისაგან. იგი შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის სერიოზული ეჭვი, რომ მასში არის სხვა საგნები, რომლებიც მოხსენიებული არ არის ამ მუხლის 1 პუნქტის b ქვეპუნქტში, ან საგნები, რომელთა შემოტანა და გა-

ტანა აკრძალულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით ან ექვემდებარებიან ამ სახელმწიფოს საკანონმდებლო-წესსა და წესებს. ასეთი შემოწმება უნდა ხდებოდეს შესაბამისი საკონსულოს თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის თანდასწრებით.

**მუხლი 51.** საკონსულო დაწესებულების მუშაკთა და მათი ოჯახის წევრების სამემკვიდრეო ქონება

საკონსულო დაწესებულების მუშაკის ან მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი სახელმწიფო:

a) აძლევს გარდაცვლილის მოძრავი ქონების გატანის ნებას, იმ ქონების გარდა, რომელიც შექმნილია ადგილსამყოფელ ქვეყანაში და მისი გატანა აკრძალული იყო მისი გარდაცვალების მომენტისათვის;

b) არ ახდევინებს არავითარ სახელმწიფო, რაიონულ ან მუნიციპალურ სამემკვიდრეო გადასახადს ან იმ მოძრავი ქონების სამემკვიდრეო ბაჟს, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში აქვს გარდაცვლილ პირს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ სახელმწიფოში იმყოფებოდა როგორც საკონსულოს დაწესებულების მუშაკი ან მისი ოჯახის წევრი.

**მუხლი 52.** პირადი ბეგარისა და დაბეგვრისაგან განთავისუფლება

ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია საკონსულო დაწესებულების მუშაკები და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები გაათავისუფლოს ყოველგვარი შრომითი და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათის მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სამხედრო ბეგარისაგან, როგორც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ბინის გადაცემა ჯარის სადგომად.

**მუხლი 53.** საკონსულო პრივილეგიებისა და იმუნიტეტების დაწყება და დამთავრება

1. საკონსულო დაწესებულების თითოეული მუშაკი ამ კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით



სარგებლობს იმ მომენტიდან, როცა იგი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ჩამოდის დანიშნულების ადგილზე მისასვლელად ან, თუ უკვე იმყოფება ამ ტერიტორიაზე და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას საკონსულო დაწესებულებაში.

2. საკონსულო დაწესებულების მუშაკის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, და მისი კერძო შინამუშაკები ამ კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ იმ მომენტიდან, როცა მას მიენიჭა პრივილეგიები და იმუნიტეტები ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი ჩამოსვლის მომენტიდან, ან იმ მომენტიდან, როცა ისინი მისი ოჯახის წევრები ან კერძო შინამუშაკები გახდნენ, იმის მიხედვით, თუ რა მოხდა მოგვიანებით.

3. როცა წყდება საკონსულო დაწესებულების მუშაკის ფუნქციები, გრძელდება, ომის შემთხვევაშიც კი, მისი პრივილეგიები და იმუნიტეტები, აგრეთვე მისი ოჯახის წევრის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომელიც ცხოვრობს იმ მომენტში, როცა მოცემული პირი ტოვებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, ან ამის გასაკეთებლად საჭირო გონივრული ვადის გასვლამდე, იმის მიხედვით, თუ ამ მომენტიდან რომელი დადგება უფრო ადრე. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენებ პირთ, მათი პრივილეგიები და იმუნიტეტები წყდება, როცა ისინი აღარ არიან საკონსულო დაწესებულების მუშაკის ოჯახის წევრები ან ტოვებენ მასთან სამსახურს, ოღონდ იმ პირობით, თუ ასეთი პირნი აპირებენ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დატოვებას გონივრული ვადის განმავლობაში, მაშინ მათ პრივილეგიები და იმუნიტეტები უნარჩუნდებათ გამგზავრების მომენტამდე.

4. მაგრამ საკონსულოს თანამდებობის პირის ან საკონსულოს მომსახურე პირის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისას ჩადენილი მოქმედების მიმართ იურისდიქციისადმი იმუნიტეტი გრძელდება ვადის შეუზღუდავად.

5. საკონსულო დაწესებულების მუშაკის გარდაცვალების შემთხვევაში მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრები განაგრძობენ მათთვის მინიჭებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტ-

ბით სარგებლობას ადგილსამყოფელი სახელმწიფოდან წასვლის მომენტამდე ან ადგილსამყოფელი ქვეყნიდან წასასვლელად საჭირო გონივრული ვადის გასვლამდე, იმის მიხედვით, თუ ამ მომენტიდან რომელი დადგება უფრო ადრე.

#### მუხლი 54. მესამე სახელმწიფოთა მოვალეობანი

1. თუ საკონსულოს თანამდებობის პირი დანიშნულების ადგილზე გამგზავრებისას ან თავის პოსტზე დაბრუნებისას, ან წარმდგენ სახელმწიფოში დაბრუნებისას, გაივლის ან იმყოფება მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც ვიზა მისცა, თუ ასეთი საჭიროა, მესამე სახელმწიფო მას ანიჭებს ამ კონვენციის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ ყველა იმუნიტეტს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი ჩამოსვლის ან დაბრუნებისათვის. ეს ვრცელდება მისი ოჯახის წევრებზეც, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და სარგებლობენ ასეთივე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როცა საკონსულოს თანამდებობის პირს თან ახლავან ან განცალკევებით, რათა შეუერთდეს მას ან დაბრუნდეს წარმდგენ სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში მითითებულ გარემოებებში სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მათს ტერიტორიაზე სხვა საკონსულო დაწესებულების მუშაკთა ან მათთან ერთად მცხოვრები ოჯახების წევრების გავლას.

3. მესამე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ტრანზიტად გამავალი ოფიციალური კორესპონდენციების და სხვა ოფიციალური ცნობების, მათ შორის კოდირებული ან დაშიფრული დეპეშების, ისეთივე თავისუფლება და დაცვა, რომლებსაც უნდა ანიჭებდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ კონვენციის შესაბამისად. მათ საკონსულოს კურიერებს, რომლებსაც მიცემული აქვთ ვიზები, თუ ასეთი საჭიროა, აგრეთვე ტრანზიტად მიმავალ საკონსულოს ვალიზებს, უნდა მიანიჭონ ისეთივე ხელშეუხებლობა და დაცვა, რომლებიც ვალდებულთა მიანიჭოს ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ამ კონვენციის შესაბამისად.

4. ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებით გათვალისწინებული მესამე სახელმწიფოთა მოვალეობანი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, და

იმ ოფიციალურ ცნობებსა და საკონსულოს ვალიზაზე, რომელთა არსებობა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით.



**მუხლი 55.** ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებისა და წესების პატივისცემა

1. ყველა პირი, ვინც პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია, თავისი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუღალავად, პატივი სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს. ისინი აგრეთვე ვალდებული არიან არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

2. საკონსულოს კარ-მიდამოს არ უნდა იყენებდნენ საკონსულოს ფუნქციების შესრულებასთან შეუთავსებელი მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კანცელარიები და სხვა ორგანოები ან დაწესებულებები განლაგდეს შენობის ნაწილში, სადაც არის საკონსულოს სათავსები, იმ პირობით, რომ ასეთი კანცელარიისათვის გამოყოფილი სათავსები განცალკევებული იქნება სათავსებისაგან, რომლებითაც საკონსულო დაწესებულება სარგებლობს. ამ შემთხვევაში აღნიშნული კანცელარიები, ამ კონვენციის თანახმად, არ წარმოადგენენ საკონსულოს სათავსებს.

**მუხლი 56.** მესამე პირთათვის მიყენებული ზიანისაგან დაზღვევა

საკონსულო დაწესებულების მუშაკებმა უნდა დაიცვან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა იმ ზიანისაგან დაზღვევის მხრივ, რომელიც შეიძლება მიადგეს მესამე პირს ყოველგვარი საგზაო-სატრანსპორტო საშუალების, გემის ან თვითმფრინავის გამოყენების გამო.

მუხლი 57. შემოსავლის მიღების მიზნით კერძო საქმიანობის  
სპეციალური დებულებანი

საქონლური  
შეზღუდვა

1. საკონსულოს შტატის თანამდებობის პირნი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არ უნდა ეწეოდნენ რაიმე პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობას პირადი შემოსავლის მიღების მიზნით.

2. ამ თავით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები არ ენიჭებათ:

a) საკონსულოს მოსამსახურეებს ან მომსახურე პერსონალის მუშაკებს, რომლებიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ეწევიან კერძო საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით;

b) იმ პირის ოჯახის წევრებს, რომელზეც ლაპარაკია ამ პუნქტის a ქვეპუნქტში, ან მის კერძო შინამუშაკებს;

c) საკონსულო დაწესებულების მუშაკის ოჯახის წევრებს, რომლებიც თვითონ ეწევიან ადგილსამყოფელ სახელმწიფოში კერძო საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით.

### თავი III

რეჟიმი, რომელიც გამოიყენება საპატიო საკონსულო თანამდებობის პირებისადმი და იმ საკონსულო დაწესებულებებისადმი, რომლებსაც ეს თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ

მუხლი 58. ზოგადი დებულებები, რომლებიც ეხება უპირატესობებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს

1. მუხლები 28, 29, 30, 34, 35, 36, 37, 38 და 39, 54-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 55-ე მუხლის მე-3 პუნქტები ვრცელდება საკონსულო დაწესებულებებზე, რომელთაც ხელმძღვანელობენ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები. გარდა ამისა, ამგვარი საკონსულო დაწესებულებების უპირატესობები, პრივილეგიები და იმუნიტეტები რეგულირდება 59-ე, მე-60, 61-ე და 62-ე მუხლებით.

2. მუხლები 42 და 43, 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მუხლები 45 და 53 და 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ვრცელდება საპატიო საკონსულო თანამდებობის პირებზე. გარდა ამისა, ამგვარი საკონსულო





თანამდებობის პირების უპირატესობები, პრივილეგიები და იმუნიტეტები რეგულირდება 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე და 67-ე მუხლებით.

3. ამ კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები არ ეძლევათ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირის ოჯახის წევრებს და საკონსულოს მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ იმ საკონსულო დაწესებულებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი.

3. საკონსულო ვალიზების გაცვლა იმ ორ საკონსულო დაწესებულებას შორის, რომელთაც ხელმძღვანელობენ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები და იმყოფებიან სხვადასხვა სახელმწიფოში, ნებადართული არ იქნება შესაბამისი ორი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.

**მუხლი 59.** საკონსულოს კარმიდამოს დაცვა

ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი იღონოს იმ საკონსულო დაწესებულების, რომელსაც ხელმძღვანელობს საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი, საკონსულოს შენობის ყოველგვარი შეჭრისაგან ან ზარალის მიყენებისაგან დასაცავად და საკონსულო დაწესებულებების მყუდროების ყოველგვარი დარღვევის ან მისი ღირსების შელახვის აღსაკვეთად.

**მუხლი 60.** გადასახადისაგან საკონსულოს კარ-მიდამოს განთავისუფლება

1. იმ საკონსულო დაწესებულების საკონსულოს კარ-მიდამო, რომელსაც ხელმძღვანელობს საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი და რომლის მფლობელი ან დამჭირავებელია წარმდგენი სახელმწიფო, განთავისუფლებულია ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა ისეთისა, როგორიც კონკრეტულ სახეობათა მომსახურების ანაზღაურებაა.

2. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული გადასახადებისაგან განთავისუფლება არ ვრცელდება იმ მოსაკრებელზე, ბაჟსა და გადასახადზე, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონ-

ბისა და წესების თანახმად უნდა გადაიხადოს პირმა, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული წარმდგენ სახელმწიფოსთან

**მუხლი 61.** საკონსულოს არქივისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა

იმ საკონსულოს არქივი და საკონსულო დაწესებულების დოკუმენტები, რომელსაც ხელმძღვანელობს საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი, ხელშეუხებელია ყოველთვის დროისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად, იმ პირობით, რომ ის ინახება სხვა ქალაქებისა და დოკუმენტების, მათ შორის საკონსულო დაწესებულების მეთაურის და ყველა სხვა მასთან მომუშავე პირის პირადი კორესპონდენციის, აგრეთვე მათი პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო მასალების, წიგნებისა და დოკუმენტებისაგან განცალკევებით.

**მუხლი 61.** ბაჟისაგან განთავისუფლება

ადგილსამყოფელი სახელმწიფო, თავისი კანონების და წესების შესაბამისად, საკონსულო დაწესებულებას, რომელსაც ხელმძღვანელობს საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი, ნებას რთავს შემოიტანოს შემდეგი საგნები და ათავისუფლებს მათ ყოველგვარი ბაჟის, გადასახადის და მათთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა შენახვის, გადაზიდვის და სხვა ამგვარი მომსახურების ხარჯებისა, იმ პირობით, რომ ისინი განკუთვნილია ამ დაწესებულების ოფიციალური მოხმარებისათვის: სახელმწიფო გერბები, დროშები, აბრები, ბეჭდები და შტამპები, წიგნები, ოფიციალური ნაბეჭდი მასალები, საკანცელარიო ავეჯი, საკანცელარიო მოწყობილობა და სხვა მსგავსი საგნები, რომლებსაც საკონსულო დაწესებულება ღებულობს სახელმწიფოსაგან, რომლის წარმომადგენელიცაა ის ან ამ უკანასკნელის მოთხოვნით.

**მუხლი 63.** სისხლის სამართლის საქმეები

თუ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ეს პირი უნდა გამოცხადდეს კომპეტენტურ ორგანოებში. ამის მიუხედავად საქმის წარმოების დროს



მას პატივისცემით უნდა მოეპყრან მისი ოფიციალური მდგომარეობის გამო და, იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც ის დაპატიმრებული ან დაკავებულია, რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლებები უნდა შეუქმნან საკონსულო ფუნქციების შესრულებაში. როდესაც იქმნება აუცილებლობა დააკავონ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი, სასამართლო დევნა მის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

**მუხლი 64.** საპატიო საკონსულო თანამდებობის პირთა დაცვა

ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია საპატიო საკონსულო თანამდებობის პირს გამოუყოს ისეთი დაცვა, როგორც შეიძლება დასჭირდეს მას თავის ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებით.

**მუხლი 65.** უცხოელთა რეგისტრაციისაგან და საცხოვრებელი ნებართვის მიღებისაგან განთავისუფლება

საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები, იმათ გარდა, რომლებიც პირადი შემოსავლის მიღების მიზნით ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მისდევენ რაიმე პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას, თავისუფლდებიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით უცხოელთა რეგისტრაციისა და საცხოვრებელი ნებართვის მიღების შესახებ დადგენილი ყოველგვარი მოვალეობისაგან.

**მუხლი 66.** საგადასახადო შეუვალობა

საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი თავისუფლდება საკონსულო ფუნქციების შესრულებისათვის წარმდგენი სახელმწიფოსაგან მიღებული გასამრჩელოსა და ხელფასიდან ყოველგვარი გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟის გადახდისაგან.

**მუხლი 67.** პირადი ბეგარისა და დაბეგვრისაგან განთავისუფლება

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ საპატიო საკონსულო თანამდებობის პირი უნდა გაათავისუფლოს ყოველგვარი შრომითი



და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათის მიუხედავად, ისეთი სამხედრო ბეგარისაგან, როგორცაა რეკვიზიცია, სამხედრო კონტრიბუცია და ჯარისათვის ბინის დათმობა.

**მუხლი 68.** საპატიო საკონსულო თანამდებობის პირთა ინსტიტუტის ფაქულტატური ხასიათი

ყოველი სახელმწიფო თავისუფალია გადაწყვიტოს, დანიშნოს ან მიიღოს თუ არა საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები.

#### თავი IV

#### ზოგადი დებულებები

**მუხლი 69.** საკონსულოს აგენტები, რომლებიც არ არიან საკონსულო დაწესებულებების უფროსები

1. ყოველი სახელმწიფო თავისუფალია გადაწყვიტოს, დააარსებს თუ დაუშვებს საკონსულო სააგენტოს დაარსებას, რომლებსაც უხელმძღვანელებენ საკონსულო აგენტები, რომლებიც წარმდგენი სახელმწიფოს მიერ არ არიან დანიშნული საკონსულო დაწესებულებების უფროსებად.

2. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული საკონსულო სააგენტოების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულების პირობები, აგრეთვე მათი ხელმძღვანელი საკონსულო აგენტების პრივილეგიები და იმუნიტეტები დადგინდება წარმდგენ სახელმწიფოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების თანახმად.

**მუხლი 70.** დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საკონსულოს ფუნქციების შესრულება

1. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულოს ფუნქციების შესრულების შემთხვევაში ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს გამოძინარეობს კონტექსტიდან.

2. დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონსულო ფუნქციების შესრულება ეცნობება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს



საგარეო საქმეთა სამინისტროს ან იმ ორგანოს, რომელსაც მითითებს ეს სამინისტრო.

3. საკონსულოს ფუნქციების შესრულებისას დიპლომატიურ წარმომადგენლობას შეუძლია მიმართოს:

- a) საკონსულო ოლქის ადგილობრივ ხელმძღვანელობას;
- b) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, თუ ამის უფლებას იძლევა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და წესჩვეულებები ან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები.

4. დიპლომატიური წარმომადგენლობის იმ თანამშრომელთა ბრივილეგიები და იმუნიტეტები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია ამ მუხლის მე-2 პუნქტში, რეგულირდება საერთაშორისო სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც დიპლომატიურ ურთიერთობებს შეეხება.

**მუხლი 71.** ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები და იქ მუდმივად მცხოვრები პირები

1. თუ საკონსულო თანამდებობის პირებს, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან ან იქ მუდმივად ცხოვრობენ, ადგილსამყოფელი სახელმწიფო რაიმე დამატებით უბირატესობებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს არ ანიჭებს, ისინი სარგებლობენ მხოლოდ იურისდიქციისაგან იმუნიტეტით და პირადი ხელშეუხებლობით თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ჩადენილი რაფიციალური მოქმედებისათვის და 44-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პრივილეგიით. ამ თანამდებობის პირთა მიმართ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ასევე ვალდებულია დაიცვას 42-ე მუხლში გადმოცემული პირობები. თუ საკონსულო თანამდებობის პირის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, სასამართლო გარჩევა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს პირი დაპატიმრებული ან დაკავებულია, უნდა მიმდინარეობდეს იმგვარად, რომ რაც შეიძლება ნაკლებად უშლიდეს ხელს საკონსულო ფუნქციების შესრულებას.

2. საკონსულო დაწესებულების სხვა მუშაკები, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან ან იქ მუდ-



მივად ცხოვრობენ, მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე საკონსულტაციო იმ თანამდებობის პირთა ოჯახის წევრები, რომელთა შესახებაც ლაშქარაპარაკია ამ მუხლის 1-ელ პუნქტში, სარგებლობენ უპირატესობებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით იმდენად, რამდენადაც ამას ანიჭებს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთა ოჯახის წევრები და კერძო შინამოსამსახურენი, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან ან იქ მუდმივად ცხოვრობენ, ასევე სარგებლობენ უპირატესობებით, პრივილეგიებით და იმუნიტეტებით იმდენად, რამდენადაც ამას ანიჭებს მათ ადგილსამყოფელი სახელმწიფო. ოღონდ, ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ თავისი იურისდიქცია უნდა განახორციელოს ამ პირთა მიმართ იმგვარად, რომ საკონსულო დაწესებულების ფუნქციების შესრულებას არასასურველი დაბრკოლებები არ შეუქმნას.

**მუხლი 72. დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

1. ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებისას ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ არ უნდა მიმართოს სახელმწიფოთა შორის დისკრიმინაციას.

2. ოღონდ, არ ითვლება, რომ დისკრიმინაცია ხდება:

a) თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ კონვენციის რომელიმე დებულებას შეზღუდულად გამოიყენებს იმ წარმდგენი სახელმწიფოს დაწესებულებების მიმართ, რომელიც ასევე შეზღუდულად იყენებს მას მისი საკონსულო დაწესებულების მიმართ.

b) თუ სახელმწიფოები წეს-ჩვეულების ან შეთანხმების თანახმად ერთმანეთს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს ანიჭებენ, ვიდრე ამ კონვენციის დებულებებითაა გათვალისწინებული.

**მუხლი 73. ამ კონვენციის დამოკიდებულება სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან**

1. ამ კონვენციის დებულებები გავლენას არ ახდენენ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებიც მოქმედებენ მათში ჩართულ სახელმწიფოთა შორის.

2. ამ კონვენციის არც ერთი დებულება ხელს არ უშლის სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას,

რომლებიც განამტკიცებენ, ავსებენ, ავრცობენ ან აფართოებენ მის დებულებებს.



## თავი V

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 74. ხელმოწერა

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის, — რომელნიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრები არიან, ან სახელმწიფოთათვის, რომელთაც საერთაშორისო სასამართლოს წევრის სტატუსი აქვთ, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს კონვენციის მონაწილეობას 1963 წლის 31 ოქტომბრამდე — ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, შემდეგ კი, 1964 წლის 31 მარტამდე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის ცენტრალურ დაწესებულებებში.

#### მუხლი 75. რატიფიკაცია

ეს კონვენცია რატიფიკაციას ექვემდებარება. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 76. შეერთება

ეს კონვენცია ღიაა შესაერთებლად ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მიეკუთვნება 74-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს. შეერთების აქტები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 77. ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ აქტის გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების  
ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს კონვენციის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთებას აქტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

### **მუხლი 78. გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების ვაგზავნა**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლებიც 74-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება:

a) 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების თანახმად, ამ კონვენციის ხელმოწერის და სარატიფიკაციო სიგელების ან შეერთების აქტების შესანახად ჩაბარების შესახებ;

b) 77-ე მუხლის თანახმად, ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

### **მუხლი 79. ტექსტის ავთენტიკურობა**

ამ კონვენციის დედანი, რომლის ტექსტებიც რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც დამოწმებულ ასლებს დაუგზავნის ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც ეკუთვნიან 74-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს.

რის დახმარადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა, ჩვენი მთავრობისაგან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილებმა, ხელი მოვაწერეთ ამ კონვენციას.

დადებულია ვენაში ათას ცხრაას სამოცდასამი წლის ოცდამეათე აპრილს.



# 131 საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკმშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს იმართება პლენარული სხდომები: ორშაბათს და პარასკევს — მუდმივი და დროებითი კომისიების სხდომები. ოთხშაბათი, როგორც წესი, პარლამენტის წევრების შეკრებებისა და ზოგადპოლიტიკური და სხვადასხვა საკითხების განხილვის დღეა.“

**მუხლი 12.** პარლამენტის სამუშაო დღე სამშაბათს და ხუთშაბათს იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება 18 საათზე, ოთხშაბათს იწყება 14 საათზე და მთავრდება 18 საათზე. შესვენება ცხადდება მუშაობის ყოველი საათნახევრის შემდეგ, დიდი შესვენება — 13-დან 15 საათამდე. საპარლამენტო ფრაქციის მოთხოვნით კენჭისყრის წინ ცხადდება ხანმოკლე შესვენება. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს ცვლილება შეაქვს თავისი მუშაობის განრიგში“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.



**132** „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე საქართველოს

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სუფლამ „საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლავებისაგან მრავალჯერადი ვალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასი“ გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის № 412 დადგენილების გაუქმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 31 მაისის № 412 დადგენილებით გაათავისუფლა მრავალჯერადი ვალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასი“ საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან 15-500 ტონა დიზელის საწვავის გატანასა და მის სანაცვლოდ რესპუბლიკისათვის აუცილებელი პროდუქტების შემოტანასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეს დადგენილება ეწინააღმდეგება „საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის I კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლს, რომლის თანახმადაც აკრძალულია საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა გათავისუფლება და შეღავათების მიცემა ბიუჯეტში გადასახადებისაგან აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი ადგენს:



1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის № 412 დადგენილება „საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასის“ გათავისუფლების შესახებ“.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა არ დაუშვას მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგო დადგენილებებისა და განკარგულებების მიღება.

3. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომაუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**134** „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომაუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**135** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 ნოემბრის № 1045 და 1993 წლის 29 მარტის № 255 დადგენილებათა გაუქმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 16 ნოემბრის № 1045 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს

რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგეობის დროებითი დებულება, ხოლო 1993 წლის 29 მარტის № 255 დადგენილებით ცვლილებები შეიტანა შემოღებული დებულებაში.

ეს დებულება ეხება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი უფლებამოსილების შეწყვეტას, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესს.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტიდან, ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-5 პუნქტიდან, „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილებები სცილდება მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაუქმდეს, როგორც კანონშეუსაბამო, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 ნოემბრის № 1045 და 1993 წლის 29 მარტის № 255 დადგენილებები.
2. სახელმწიფოს მეთაურმა არჩევნებამდე სამოქმედოდ დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების — რაიონის (ქალაქის) გამგეობის — დროებითი დებულება.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებისას ზუსტად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.
4. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**136** სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა ვენის 1983 წლის კონვენციას სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ.

აღნიშნულ კონვენციასთან შეერთების დოკუმენტები საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 9 ივნისი.

**137** ვენის კონვენცია სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ დეკოლონიზაციის პროცესით განპირობებულ ღრმა ცვლილებებს საერთაშორისო გაერთიანებაში,

ითვალისწინებენ აგრეთვე, რომ სხვა ფაქტორებს მომავალში აუქლიათ გამოიწვიონ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შემთხვევები,

დარწმუნებულნი არიან, რომ ამ პირობებში აუცილებელი იქნება იმ ნორმების კოდიფიკაცია და პროგრესული განვითარება, რომლებიც ეხება სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობას, როგორც საშუალებას, რათა უზრუნველყოფილი

იქნეს რაც შეიძლება საიმედო სამართლებრივ საფუძვლებზე და-  
ფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობანი,



აღნიშნავენ, რომ თავისუფალი შეთანხმების, კეთილსინდი-  
სიერების და pacta sunt servanda-ს პრინციპებმა საერთაშორისო  
ალიარება ჰპოვა,

ხაზგასმით აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლის კოდიფი-  
კაციასა და პროგრესულ განვითარებას, რითაც დაინტერესებულია  
საერთაშორისო გაერთიანება მთლიანად და რომელსაც განსაკუთ-  
რებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისა და საერ-  
თაშორისო თანამშრომლობისათვის,

ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფო საკუთრებასთან, სახელ-  
მწიფო არქივებთან და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებულ  
სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის საკითხებს განსაკუთრებუ-  
ლი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსათვის,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
წესდებამში ხორცშესხმულ საერთაშორისო სამართლის პრინცი-  
პებს ისევე, როგორც ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვე-  
ვის, სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობის, ძალის  
მუქარის ან მისი გამოყენების აკრძალვის, ადამიანის უფლებებისა  
და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემის პრინ-  
ციპებს,

შეგვახსენებენ, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიუ-  
ლი მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა  
წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების  
მოთხოვნას,

მხედველობაში იღებენ 1969 წლის ვენის კონვენციითა დე-  
ბულებებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უფლებათა შესა-  
ხებ და სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1978  
წლის ხელშეკრულებათა მიმართ,

ადასტურებენ, რომ საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება  
ამ კონვენციით, უწინდებურად რეგულირდება ზოგადი საერთაშო-  
რისო სამართლის პრინციპებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.** ამ კონვენციის გამოყენების სფერო

ეს კონვენცია გამოიყენება სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის შედეგების მიმართ სახელმწიფო საკუთრებასთან, სახელმწიფო არქივებთან და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებით.

**მუხლი 2.** ტერმინების გამოყენება

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის:

a) „სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა“ ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეცვლას რაიმე ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობასთან დაკავშირებით;

b) „წინამორბედი სახელმწიფო“ ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც შეცვალა მეორე სახელმწიფომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შემთხვევაში;

c) „მემკვიდრე სახელმწიფო“ ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც შეცვალა მეორე სახელმწიფო სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შემთხვევაში;

d) „სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც მემკვიდრე სახელმწიფომ შეცვალა წინამორბედი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობაზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტს;

e) „ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო“ ნიშნავს მემკვიდრე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაც უშუალოდ სამართალმემკვიდრეობის მომენტამდე წარმოადგენდა დამოუკიდებულ ტერიტორიას და რომლის საერთაშორისო ურთიერთობაზე პასუხისმგებელი იყო წინამორბედი სახელმწიფო;

f) „მესამე სახელმწიფო“ ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს არც წინამორბედ სახელმწიფოს, არც მემკვიდრე სახელმწიფოს.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები, რომლებიც ეხება ამ კონვენციის ტერმინების გამოყენებას, არ ვრცელდება ამ ტერმინების მათი მნიშვნელობის გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ნებისმიერ სახელმწიფოს საშინაო სამართალში.

**მუხლი 3.** სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შემთხვევები, რომლებზეც ვრცელდება ამ კონვენციის მოქმედება

ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მიმართ, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, განსაკუთრებით კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განხორციელებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.

**მუხლი 4.** ამ მუხლების დროებრივი გამოყენება

1. ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მიმართ, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მასში გადმოცემული ნორმების დაურღვევლად, რომელთა მოქმედებაც გავრცელდებოდა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგებზე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ამ კონვენციისაგან დამოუკიდებლად, თუ სხვა შეთანხმება არ არის მიღწეული.

2. მემკვიდრე სახელმწიფოს ამ კონვენციასთან დაკავშირებით თავისი თანხმობის გამოხატვის მომენტში ან ნებისმიერ სხვა შემდგომ მომენტში შეუძლია განაცხადოს, რომ გამოიყენებს მის დებულებებს თავისი საკუთარი სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის მიმართ, რომელიც მოქმედებდა ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე, თავის ურთიერთობაში სხვა ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან ან კონვენციის მონაწილე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც განაცხადებს, რომ ეთანხმება მემკვიდრე სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ განცხადებას. განმცხადებელ სახელმწიფოთა შორის კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან, ან თანხმობის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტიდან — იმის მიხედვით, თუ რომელი განაცხადება უფრო გვიან გაკეთდა, — ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება სახელმწიფოთა სამართალ-





მემკვიდრეობის შედეგების მიმართ სახელმწიფოთა ამ სამართალმემკვიდრეობის მომენტიდან.

3. მემკვიდრე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციაზე ხელის მოწერის მომენტიდან ან მასთან დაკავშირებით თავისი თანხმობის გამოხატვის მომენტიდან გააკეთოს განცხადება, რომ იგი დროებით გამოიყენებს მის დებულებებს თავისი საკუთარი სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის მიმართ, რომელიც მოქმედებდა ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე, თავის ურთიერთობაში ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან ან კონვენციის ხელისმომწერ სახელმწიფოსთან, რომელიც განაცხადებს, რომ ეთანხმება ამ მემკვიდრე სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ განცხადებას; თანხმობის შესახებ ასეთი განცხადების თარიღიდან ამ კონვენციის დებულებები ამ სახელმწიფოთა მიერ დროებით გამოიყენება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგების მიმართ ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში ამ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტიდან.

4. მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული განცხადებები უნდა შეიცავდნენ წერილობით შეტყობინებას, რომელიც გაეგზავნება დეპოზიტარს. ეს უკანასკნელი აცნობებს აღნიშნულ შეტყობინებას და მის შინაარსს ამ კონვენციის მონაწილეებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უფლება აქვთ მისი მონაწილეები გახდნენ.

**მუხლი 5. სამართალმემკვიდრეობა სხვა სფეროებში**

ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა განიხილებოდეს როგორც ნებისმიერი საკითხის რალაც წინასწარი გადაწყვეტა, რომელიც ეხება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგებს სხვა სფეროებში, ვარდა ამ კონვენციაში გათვალისწინებული საკითხებისა.

**მუხლი 6. ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობანი**

ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ნებისმიერი საკითხის რალაც წინასწარი გადაწყვეტა.

## ნაწილი II



### სახელმწიფო საკუთრება

#### კარი 1

#### შესავალი

##### მუხლი 7. ამ ნაწილის გამოყენების სფერო

ამ ნაწილის მუხლები გამოიყენება სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის შედეგების მიმართ მემკვიდრე სახელმწიფოს საკუთრებასთან დაკავშირებით.

##### მუხლი 8. სახელმწიფო საკუთრება

ამ ნაწილის მუხლების მიზნისათვის „წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრება“ ნიშნავს ქონებას, ინტერესების უფლებას, რომლებიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტისათვის წინამორბედი სახელმწიფოს საშინაო სამართლის მიხედვით ამ სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

##### მუხლი 9. სახელმწიფო საკუთრების გადაცემის შედეგები

წინამორბედი სახელმწიფოს ქონების გადაცემას მოსდევს ამ სახელმწიფოს უფლებათა შეწყვეტა და მემკვიდრე სახელმწიფოს უფლებათა წარმოშობა სახელმწიფო საკუთრებაზე, რომელიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს ამ ნაწილის მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

##### მუხლი 10. სახელმწიფო საკუთრების გადაცემის თარიღი

თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ან გადაწყვეტილი არ არის შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების მიერ, წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრების გადაცემის თარიღი არის სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტი.



**მუხლი 11.** სახელმწიფო საკუთრების უკომპენსაციო გადაცემა

ამ ნაწილის მუხლების დებულებათა დაცვით, თუ სხვაგვარი ხელშეკრულება არ არის დადებული დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ან გადაწყვეტილი არ არის შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების მიერ, წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრების გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის ხდება უკომპენსაციოდ.

**მუხლი 12.** სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგების არსებობა მესამე სახელმწიფოს საკუთრების მიმართ

სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, როგორც ასეთი, არ ეხება ქონებას, უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტში წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებშია, და რომლებიც აღნიშნულ მომენტში წინამორბედი სახელმწიფოს საშინაო სამართლის თანახმად ეკუთვნის მესამე სახელმწიფოს.

**მუხლი 13.** სახელმწიფო ქონების შენახვა და უვნებლობა

ამ ნაწილის მუხლების დებულებათა გამოყენების მიზნისათვის წინამორბედი სახელმწიფო იღებს ყველა ზომას, რათა თავიდან აიცილოს იმ სახელმწიფო ქონების დაზიანება ან განადგურება, რომელიც წინამორბედი სახელმწიფოს საშინაო სამართლის თანახმად გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

**კარი 2**

**დებულებები სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის გარკვეული კატეგორიების შესახებ**

**მუხლი 14.** სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემა

1. როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი ამ სახელმწიფოს მიერ გადაეცემა მეორე სახელმწიფოს, წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრების გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის რეგულირდება მათ შორის შეთანხმებით.



2. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში:

a) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება, მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

b) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, დაკავშირებული წინამორბედი სახელმწიფოს მოღვაწეობასთან იმ ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

**მუხლი 15.** ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო

1. როდესაც მემკვიდრე სახელმწიფო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოა:

a) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება, მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

b) იმ ტერიტორიის უძრავი ქონება, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, მის საზღვრებს გარეთ მდებარეობს და დამოუკიდებლობის პერიოდში წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრებად არის გადაქცეული, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

c) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება, „ხ“ ქვეპუნქტში მითითებულისაგან განსხვავებული, იმ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია და რომლის შუქმნაში მონაწილეობას იღებდა დამოკიდებული ტერიტორია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს იმ წილით, რომელიც შეესაბამება დამოკიდებული ტერიტორიის წვლილს;

d) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, რომელიც დაკავშირებულია წინამორბედი სახელმწიფოს მოღვაწეობასთან სამართალმემკვიდრეობის ობიექტი ტერიტორიის მიმართ, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

e) იმ ტერიტორიის მოძრავი ქონება, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია და დამოკიდებულების პე-

რიოდში გადაქცეულია წინამორბედი სახელმწიფოს ქონებად, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.



1) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, „d“ და „e“ კვებუნქტებში მითითებული საკუთრებისაგან განსხვავებული, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებდა დამოკიდებული ტერიტორია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს იმ წილით, რომელიც შეესაბამება ამ დამოკიდებული ტერიტორიის წვლილს.

2. როდესაც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნილია ორი ან რამდენიმე დამოკიდებული ტერიტორიისაგან, წინამორბედი სახელმწიფოს ან წინამორბედი სახელმწიფოების ქონების გადაცემა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის რეგულირდება 1-ლი პუნქტის დებულებათა შესაბამისად.

3. როდესაც დამოკიდებული ტერიტორია ხდება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, განსხვავებით იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მის საერთაშორისო ურთიერთობებზე, წინამორბედი სახელმწიფოს ქონების გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის რეგულირდება 1-ლი პუნქტის დებულებათა შესაბამისად.

4. შეთანხმებები წინამორბედ სახელმწიფოსა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრებასთან დაკავშირებით სამართალმემკვიდრეობის სხვაგვარი რეგულირების მიზნით, ვიდრე ეს 1-3 პუნქტებს შეესაბამება, არ უნდა ლახავდნენ ყოველი ხალხის ხელშეუვალ უფლებას თავის სიმდიდრეზე და ბუნებრივ რესურსებზე.

#### **მუხლი 16.** გაერთიანებული სახელმწიფოები

როდესაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთიანდება და ამრიგად ქმნის ერთ მემკვიდრე სახელმწიფოს, წინამორბედ სახელმწიფოთა ქონება გადადის მემკვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში.

#### **მუხლი 17.** სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის ან ნაწილების გამოყოფა

1. როდესაც სახელმწიფოს გამოეყოფა ტერიტორიის ნაწილი ან ნაწილები, და თუ წინამორბედი სახელმწიფო და მემკვიდრე სახელმწიფო სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ:



a) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება, მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

b) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, დაკავშირებული წინამორბედი სახელმწიფოს მოღვაწეობასთან იმ ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

c) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, განსხვავებული „b“ ქვეპუნქტში მითითებულისაგან, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს სამართლიანი წილით;

2. 1-ლი პუნქტი გამოიყენება, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი გამოეყოფა და შეუერთდება სხვა სახელმწიფოს.

3. 1-ლი და 2 პუნქტების დებულებები ზიანს არ აყენებენ სამართლიანი კომპენსაციის რომელიმე საკითხს წინამორბედ სახელმწიფოსა და მემკვიდრე სახელმწიფოს შორის, რომელიც შეიძლება წამოიჭრას სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგად.

#### **მუხლი 18. სახელმწიფოს გაყოფა**

1. როდესაც სახელმწიფო იყოფა და წყვეტს არსებობას და წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილები ქმნიან ორ ან რამდენიმე მემკვიდრე სახელმწიფოს, თუ შესაბამისი მემკვიდრე სახელმწიფოები სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ:

a) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება გადაეცემა იმ მემკვიდრე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს;

b) წინამორბედი სახელმწიფოს უძრავი ქონება, რომელიც მისი ტერიტორიის გარეთ მდებარეობს, სამართლიანი წილის სახით გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოებს;

c) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, რომელიც დაკავშირებულია წინამორბედი სახელმწიფოს მოღვაწეობასთან იმ ტერიტორიის მიმართ, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

დ) წინამორბედი სახელმწიფოს მოძრავი ქონება, განსხვავებული „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ქონებისაგან, სამართლიანად წილის სახით გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოებს.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები ზიანს არ აყენებენ მემკვიდრე სახელმწიფოთა შორის სამართლიანი კომპენსაციის რომელიმე საკითხს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის შედეგად.

### ნაწილი III

#### სახელმწიფო არქივები

##### კარი 1

##### შ ე ს ა ვ ა ლ ი

**მუხლი 19.** ამ ნაწილის გამოყენების სფერო

ამ ნაწილის მუხლები გამოიყენება სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის შედეგების მიმართ წინამორბედი სახელმწიფოს არქივებთან დაკავშირებით.

**მუხლი 20.** სახელმწიფო არქივები

ამ ნაწილის მუხლების მიზნისათვის „წინამორბედი სახელმწიფოს არქივები“ ნიშნავს ნებისმიერი სიძველისა და სახის დოკუმენტების ერთობლიობას, რომლებიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტში ეკუთვნოდა წინამორბედ სახელმწიფოს მისი საშინაო სამართლის თანახმად და ინახებოდა სხვადასხვა მიზნისათვის როგორც არქივი, უშუალოდ მასთან ან მისი კონტროლის ქვეშ.

**მუხლი 21.** სახელმწიფო არქივების გადაცემის თანამიმდევრობა

წინამორბედი სახელმწიფოს არქივების გადაცემა იწვევს ამ სახელმწიფოს უფლების შეწყვეტას და მემკვიდრე სახელმწიფოს უფლების წარმოქმნას სახელმწიფო არქივებზე, რომლებიც გადადიან მემკვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში ამ ნაწილის მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

**მუხლი 22.** სახელმწიფო არქივების გადაცემის თარიღი



თუ დაინტერესებული სახელმწიფოები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებული, ან შესაბამისი საერთაშორისო ორგანოს მიერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული, სახელმწიფო არქივების სხვისთვის გადაცემის თარიღად ითვლება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტი.

**მუხლი 23.** სახელმწიფო არქივების უკომპენსაციოდ გადაცემა

ამ ნაწილის მუხლების დებულებათა დაცვით, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებული, ან შესაბამისი საერთაშორისო ორგანოს მიერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული, წინამორბედი სახელმწიფოს არქივების გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის ხდება უკომპენსაციოდ.

**მუხლი 24.** სამართალმემკვიდრეობის შედეგების არარსებობა მესამე სახელმწიფოს არქივების მიმართ

სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, როგორც ასეთი, არ ეხება სახელმწიფო არქივებს, რომლებიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტისათვის მდებარეობენ წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლებიც აღნიშნულ მომენტში წინამორბედი სახელმწიფოს საშინაო სამართლის თანახმად ეკუთვნის მესამე სახელმწიფოს.

**მუხლი 25.** სახელმწიფო საარქივო ფონდების მთლიანობის შენარჩუნება

ამ ნაწილში არაფერი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ნებისმიერი საკითხის რაღაცა წინასწარი გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამორბედი სახელმწიფოს საარქივო ფონდების მთლიანობის შენარჩუნების მოსაზრებით.

**მუხლი 26.** სახელმწიფო არქივების შენარჩუნება და უვნებლობა

ამ ნაწილის მუხლების გამოყენების მიზნისათვის წინამორბედი სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავიდან აიცილოს



იმ სახელმწიფო არქივების დაზიანება ან განადგურება, რომლებიც ამ დებულებათა თანახმად გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

## კარი 2

### სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის გარკვეული კატეგორიების დებულებები

**მუხლი 27.** სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემა

1. როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს ეს სახელმწიფო გადასცემს სხვა სახელმწიფოს, წინამორბედი სახელმწიფოს არქივების გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის რეგულირდება მათ შორის შეთანხმებით.

2. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში:

a) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც ტერიტორიის ნორმალური მართვის მიზნით წარმოადგენს სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტს და უნდა იმყოფებოდეს იმ სახელმწიფოს განკარგულებაში, რომელსაც გადაეცემა აღნიშნული ტერიტორია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

b) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც განსხვავდება „ა“ ქვეუბნებში აღნიშნულისაგან, განსაკუთრებულად ან უმთავრესად არის დაკავშირებული ტერიტორიასთან, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

3. წინამორბედი სახელმწიფო მემკვიდრე სახელმწიფოს გადასცემს თავის სახელმწიფო არქივებში არსებულ სარწმუნო ცნობებს, რომლებიც ეხება გადაცემული ტერიტორიის ტიტულებს ან მის საზღვრებს, ანდა რომლებიც აუცილებელია წინამორბედი სახელმწიფო არქივების იმ დოკუმენტების აზრის გასარკვევად, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს ამ მუხლის სხვა დებულებათა თანახმად.

4. წინამორბედი სახელმწიფო მემკვიდრე სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცემს ამ უკანასკნელის თხოვნით და მის ანგარიშში სათანადოდ აღდგენილ თავის სახელმწიფო არქივებს, რომ-



ლებიც დაკავშირებულია გადაცემული ტერიტორიის ინტეგრაციასთან.  
 5. მემკვიდრე სახელმწიფო წინამორბედ სახელმწიფოს გადასცემს ამ უკანასკნელის თხოვნითა და მის ანგარიშში სათანადოდ დადგენილი წინამორბედი სახელმწიფოს არქივებს, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს 1 და 2 პუნქტების შესაბამისად.

**მუხლი 28. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო**

1. როდესაც მემკვიდრე სახელმწიფო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოა:

a) იმ ტერიტორიის კუთვნილი არქივები, რომლებიც სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის ობიექტია და დამოკიდებულების პერიოდში წინამორბედი სახელმწიფოს არქივებად იყო გადაცეული, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს გადაეცემა;

b) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც იმ ტერიტორიის ნორმალური მართვის მიზნით, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, უნდა იმყოფებოდეს ამ ტერიტორიაზე, გადაეცემა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს;

c) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც განსხვავებულია „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულისაგან და განსაკუთრებულად ან უმთავრესად დაკავშირებულია ტერიტორიასთან, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

2. წინამორბედი სახელმწიფოს არქივების იმ ნაწილების გადაცემა ან სათანადო აღდგენა, რომლებიც განსხვავდება 1 პუნქტში აღნიშნულისაგან, საინტერესოა ტერიტორიისათვის, რომელიც სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, რეგულირდება შეთანხმებით წინამორბედ სახელმწიფოსა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ისე, რომ ყოველ მათგანს შეეძლოს რამდენადაც შესაძლებელია ფართოდ და სამართლიანად გამოიყენოს წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ეს ნაწილები.

3. წინამორბედი სახელმწიფო ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს გადასცემს თავის სახელმწიფო არქივებში დაცულ სარწმუნო ცნობებს, რომლებიც ეხება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს



ტერიტორიაზე არსებულ ტიტულებს ან მის საზღვრებს ანდა რემონტის სახელმწიფო სახელმწიფოს არქივებში დაცული დოკუმენტების აზრის გასარკვევად და რომლებიც გადაეცემა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ამ მუხლის სხვა დებულებათა თანახმად.

4. წინამორბედი სახელმწიფო თანამშრომლობს მემკვიდრე სახელმწიფოსთან, რათა დაბრუნებული იქნეს ნებისმიერი არქივი, რომელიც ეკუთვნის ტერიტორიას — სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის ობიექტს და დაიფანტა მისი დამოკიდებულების პერიოდში.

5. 1-4 პუნქტები გამოიყენება, როდესაც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოქმნილია ორი ან რამდენიმე დამოკიდებული ტერიტორიისაგან.

6. 1-4 პუნქტები გამოიყენება, როდესაც დამოკიდებული ტერიტორია ხდება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც განსხვავდება ამ ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოსაგან.

7. წინამორბედ სახელმწიფოსა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებები წინამორბედ სახელმწიფოს არქივებთან დაკავშირებით არ უნდა ლახავდნენ ამ სახელმწიფოთა ხალხების განვითარების უფლებებს, მათი ისტორიის შესახებ ინფორმაციისა და კულტურული საკუთრების უფლებებს.

**მუხლი 29. გაერთიანებული სახელმწიფო**

როდესაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთიანდება და ამით წარმოქმნის ერთ მემკვიდრე სახელმწიფოს, წინამორბედ სახელმწიფოთა არქივები გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

**მუხლი 30. სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის ან ნაწილების გამოყოფა**

1. როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი ან ნაწილები გამოიყოფა მისგან და ქმნიან სახელმწიფოს, თუ წინამორბედი სახელმწიფო და მემკვიდრე სახელმწიფო სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ:



a) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილია რომელიც იმ ტერიტორიის ნორმალური მართვის მიზნით, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია და უნდა იმყოფებოდეს ამ ტერიტორიაზე, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს;

b) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც განსხვავდება „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისაგან, უშუალო დამოკიდებულება აქვს ტერიტორიასთან, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს.

2. წინამორბედი სახელმწიფო მემკვიდრე სახელმწიფოს გადასცემს თავის სახელმწიფო არქივებში დაცულ სარწმუნო ცნობებს, რომლებიც ეხება მემკვიდრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ტიტულებს ან მის საზღვრებს ანდა აუცილებელია წინამორბედი სახელმწიფოს არქივებში დაცულ იმ დოკუმენტთა აზრის გასარკვევად, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს ამ მუხლის სხვა დებულებათა თანახმად.

3. წინამორბედ სახელმწიფოსა და მემკვიდრე სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებები წინამორბედ სახელმწიფოს არქივებთან დაკავშირებით არ უნდა ლახავდნენ ამ სახელმწიფოთა ბალხების განვითარების უფლებებს, მათი ისტორიის შესახებ ინფორმაციისა და კულტურული საკუთრების უფლებებს.

4. წინამორბედი სახელმწიფო და მემკვიდრე სახელმწიფო ერთ-ერთი მათგანის თხოვნით და მის ანგარიშში ანდა გაცვლის საფუძველზე ერთმანეთს გადასცემენ სათანადოდ აღდგენილ თავიანთ სახელმწიფო არქივებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი შესაბამისი ტერიტორიების ინტერესებთან.

5. 1-4 პუნქტები გამოიყენება, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი გამოიყოფა მისგან და უერთდება სხვა სახელმწიფოს.

**მუხლი 31. სახელმწიფოს გაყოფა**

1. როდესაც სახელმწიფო იყოფა, წყვეტს თავის არსებობას და წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილები ქმნიან

ორ ან რამდენიმე მემკვიდრე სახელმწიფოს, თუ შესაბამისი მემკვიდრე სახელმწიფოები სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ:

a) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, რომელიც უნდა იმყოფებოდეს მოცემული მემკვიდრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიის ნორმალური მართვის მიზნით, გადაეცემა ამ მემკვიდრე სახელმწიფოს;

b) წინამორბედი სახელმწიფოს არქივების ნაწილი, განსხვავებული „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისაგან, რომელსაც უშუალოდ ამოკიდებულება აქვს მემკვიდრე სახელმწიფოს ტერიტორიასთან, გადაეცემა ამ მემკვიდრე სახელმწიფოს.

2. წინამორბედი სახელმწიფოს არქივები, განსხვავებული 1 პუნქტში აღნიშნულისაგან, გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოებს სამართლიანი წესით, ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

3. ყოველი მემკვიდრე სახელმწიფო სხვა მემკვიდრე სახელმწიფოს ან სხვა მემკვიდრე სახელმწიფოებს გადასცემს წინამორბედი სახელმწიფოს არქივების თავის ნაწილში დაცულ სარწმუნო ცნობებს, რომლებიც ეხება ამ სხვა მემკვიდრე სახელმწიფოს ან მემკვიდრე სახელმწიფოების ტერიტორიის ტიტულებს ან საზღვრებს ანდა რომლებიც აუცილებელია წინამორბედი სახელმწიფოს არქივებში დაცული დოკუმენტების აზრის გასარკვევად და რომლებიც გადაეცემა ამ სახელმწიფოს ან ამ სახელმწიფოებს ამ მუხლის სხვა დებულებათა თანახმად.

4. შესაბამის მემკვიდრე სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმებები წინამორბედი სახელმწიფოს არქივების შესახებ არ უნდა ლახავდნენ ამ სახელმწიფოთა ხალხების განვითარების უფლებებს, მათი ისტორიის შესახებ ინფორმაციისა და კულტურული საკუთრების უფლებებს.

5. ყოველი მემკვიდრე სახელმწიფო სხვა ნებისმიერ მემკვიდრე სახელმწიფოს გადასცემს ამ სახელმწიფოს თხოვნით და მის ანგარიშში ან გაცვლის საფუძველზე წინამორბედი სახელმწიფოს არქივების თავის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია ამ მეორე მემკვიდრე სახელმწიფოს ინტერესებთან.

## ნაწილი IV

### სახელმწიფო ვალები

#### კარი 1

#### შ ე ს ა ვ ა ლ ი



#### მუხლი 32. ამ ნაწილის გამოყენების სფერო

ამ ნაწილის მუხლები გამოიყენება სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის შედგენის მიმართ სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 33. სახელმწიფო ვალი

ამ ნაწილის მუხლების მიზნისათვის „სახელმწიფო ვალი“ ნიშნავს წინამორბედი სახელმწიფოს ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას მეორე სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნებისმიერი სუბიექტის წინაშე, რომელიც წარმოიშვა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

#### მუხლი 34. სახელმწიფო ვალების გადაცემის თანამიმდევრობა

სახელმწიფო ვალების გადაცემა იწვევს წინამორბედი სახელმწიფოს ვალდებულებათა შეწყვეტას და მემკვიდრე სახელმწიფოს იმ ვალდებულებათა წარმოქმნას, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს ამ ნაწილის მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

#### მუხლი 35. სახელმწიფო ვალების გადაცემის თარიღი

თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ან სხვაგვარად არ არის გადაწყვეტილი შესაბამისი საერთაშორისო ორგანოს მიერ, წინამორბედი სახელმწიფოს ვალების გადაცემის თარიღად ითვლება სახელმწიფოთა სამართალ-მემკვიდრეობის მომენტი.

**მუხლი 36.** სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შეღწევის არარსებობა კრედიტორებისათვის



სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, როგორც ასეთი, არ ეხება კრედიტორების უფლებებსა და მოვალეობებს.

## განყოფილება 2

### დებულებები

**სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის გარკვეული კატეგორიების შესახებ**

**მუხლი 37.** სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემა

1. როდესაც სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს გადასცემს მეორე სახელმწიფოს, წინამორბედი სახელმწიფო ვალის გადაცემა მემკვიდრე სახელმწიფოსათვის რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. თუ არ არსებობს ასეთი შეთანხმება, წინამორბედი სახელმწიფოს ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე სამართლიანი წილით, კერძოდ იმ ქონების, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრე სახელმწიფოს ამ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით.

**მუხლი 38.** ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო

1. როდესაც მემკვიდრე სახელმწიფო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოთა, წინამორბედი სახელმწიფოს არავითარი ვალი არ გადადის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, თუ მათ შორის დადებული შეთანხმება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ამ დროს მხედველობაში მიიღება კავშირი წინამორბედი სახელმწიფოს იმ ვალისა, რომელიც დაკავშირებულია მის მოღვაწეობასთან ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ობიექტია, იმ ქონებასთან, უფლებებთან და ინტერესებთან, რომლებიც ამ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე გადადის.

2. 1 ჰუნქტში მითითებული შეთანხმება არ უნდა ლახავდეს ყოველი ხალხის უცილობელ უფლებას თავის სიმდიდრეულ და ბუნებრივ რესურსებზე და ამ შეთანხმების განხორციელებას არ უნდა უთხრიდეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლებს.

### **მუხლი 39. სახელმწიფოთა გაერთიანება**

როდესაც ერთიანდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფო და ამით ქმნიან ერთ მემკვიდრე სახელმწიფოს, წინამორბედი სახელმწიფოების ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე.

### **მუხლი 40. სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის ან ნაწილების გამოყოფა**

1. როდესაც სახელმწიფოს გამოეყოფა ტერიტორიის ნაწილი ან ნაწილები და ქმნიან სახელმწიფოს, ან თუ წინამორბედი სახელმწიფო და მემკვიდრე სახელმწიფო სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ, წინამორბედი სახელმწიფოს ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე სამართლიანი წილით, კერძოდ, იმ ქონების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც მემკვიდრე სახელმწიფოს გადაეცემა ამ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით.

2. 1 ჰუნქტი გამოიყენება, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი გამოეყოფა მას და შეუერთდება სხვა სახელმწიფოს.

### **მუხლი 41. სახელმწიფოს გაყოფა**

როდესაც სახელმწიფო იყოფა და წყვეტს თავის არსებობას და წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილები ქმნიან ორ ან რამდენიმე მემკვიდრე სახელმწიფოს, თუ მემკვიდრე სახელმწიფოები სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ, წინამორბედი სახელმწიფოს ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოებზე სამართლიანი წილით, კერძოდ, იმ ქონების, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც მემკვიდრე სახელმწიფოს გადაეცემა ამ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით.



**მუხლი 42. კონსულტაციები და მოლაპარაკებები**

ამ კონვენციის ორ ან რამდენიმე მონაწილეს შორის დავის შემთხვევაში კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, ნებისმიერი მათგანის თხოვნით ისინი ეცდებიან დავა გადაწყვიტონ კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

**მუხლი 43. საშემრიგებლო პროცედურა**

თუ დავა ვერ გადაწყდა ექვსი თვის განმავლობაში 42-ე მუხლში მითითებული თხოვნის დღიდან, ნებისმიერ მოდავე მხარეს შეუძლია გადასცეს იგი საშემრიგებლო პროცედურას, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციის დანართში, თუკი შესაბამისი თხოვნით მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და ამას შეატყობინებს დავის მონაწილე სხვა მხარეს ან სხვა მხარეებს.

**მუხლი 44. სასამართლო გადაწყვეტილება და არბიტრაჟი**

ნებისმიერი სახელმწიფოს ამ კონვენციაზე ან რატიფიკაციაზე, ან მასთან შეერთებაზე ხელის მოწერისას, ან ნებისმიერ მომენტში ამის შემდეგ შეუძლია დეპოზიტარისათვის შეტყობინების გზით განაცხადოს, რომ თუ დავა ვერ გადაწყდა პროცედურათა საშუალებით, რომლებიც მითითებულია 42-ე და 43-ე მუხლებში, იგი შეიძლება გადასაწყვეტად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს დავის მონაწილე ნებისმიერი მხარის წერილობითი განცხადების გზით ან არბიტრაჟს იმ პირობით, თუ მეორე მხარემ ასეთივე განცხადება გააკეთა.

**მუხლი 45. დავის გადაწყვეტა ურთიერთშეთანხმებით**

42-ე, 43-ე და 44-ე მუხლებისაგან დამოუკიდებლად, იმ შემთხვევაში, როდესაც წამოიჭრება დავა ამ კონვენციის მონაწი-

ლე ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის მისი განმარტების ან გამოყენების თაობაზე, მათ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით საფუძველზე მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს ან არბიტრაჟს, ან აირჩიონ დავის გადაწყვეტის სხვა შესაბამისი პროცედურა.

**მუხლი 46.** დავის გადაწყვეტის ძალაში მყოფი სხვა დებულებები

42-45-ე მუხლებში არაფერი ეხება ამ კონვენციის მონაწილეთა უფლებებს ან ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნებოდა ძალაში მყოფი ნებისმიერი დებულებით დავის მოგვარებასთან დაკავშირებით.

## ნაწილი VI

### დასკვნითი დებულებები

**მუხლი 47.** ხელის მოწერა

ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის ხელის მოსაწერად 1983 წლის 31 დეკემბრამდე ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, შემდეგ კი 1984 წლის 30 ივნისამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ნიუ-იორკში.

**მუხლი 48.** რატიფიკაცია

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

**მუხლი 49.** შეერთება

ეს კონვენცია ღიაა შესაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. დოკუმენტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან შეუერთდა მას მეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერთების საარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 138 საქართველოს რესპუბლიკაში კუპონების მიმოქცევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უმოკლეს ვადაში გამოაცხადოს საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასხდელო საშუალებად და შეიმუშაოს ამასთან დაკავშირებულ აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ შოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 139 საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის უმისწავლელი კარლამენტის საგამოძიებო კომისიის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შეისწავლოს საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის საკითხი.

2. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნას საქართველოს  
პარლამენტის საგამოძიებო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თემურაზ ბასილა (თავმჯდომარე)

ჭემალ ადამია

ზურაბ ანდრიაძე

ჭემალ გორგოძე

ნანა დევდარიანი

არჩილ იოსელიანი

ალექსი კობახიძე

თემურ კობალეიშვილი

ჯუმბერ კურტანიძე

გივი ლომინაძე

ვიქტორ ლორთქიფანიძე

ლევან მამალაძე

ირაკლი მელაშვილი

ზურაბ მურვანიძე

თამაზ ობგაძე

მამული უდენტი

გიზო როგავა

გურამ უსტიაშვილი

ასლან ფაღავა

გურამ ყორანაშვილი

გურამ ჩახვაძე

თამაზ ცინცაძე

გია ციხისთავი

ვახტანგ ძაბირაძე

გიორგი წითლანაძე

მევლუდ წიკლაური

ივერი ჭელიძე

გიორგი ჭინჭარაული

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### 140 „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შე- სახებ“ კანონში დამატების შემადგენელი თანხები

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-17 მუხლს დამატოს მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიების გაცემა და მათი რეგისტრაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიებს გაცემს ეროვნული ბანკი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების რეგისტრაციის საერთო-რესპუბლიკურ რეესტრს.

3. ეროვნული ბანკი რეგისტრაციაში ატარებს და ლიცენზიას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის მიზნით გადამცემელი პუნქტების გახსნაზე“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.



**141** „საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მემორანდუმის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების“ რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მემორანდუმის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიჯანიძე.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

**142** საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მემორანდუმის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა**

საქართველოს რესპუბლიკა და უკრაინა, შემდგომში მაღალ ხელშეკრულ მხარეებად წოდებულნი,

ეყრდნობიან მათ ხალხებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, კეთილი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს,

მოიხიანათ, რომ მემორანდუმის ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებს და ემსახურება სწავილობისა და უშიშროების საქმეს,

მტკიცედ აქვთ განზრახული თავიანთ ტერიტორიაზე ააშენონ დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოები,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების ერთგულნი არიან,



ესწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობიანი, დემოკრატიული და ერთიანი ევროპის აშენებაში ჰელსინკის დასკვნებით აქტის და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების დებულებათა საფუძველზე,

ცნობენ თავიანთი ურთიერთობის თვისობრივი დონის ამაღლებისა და ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზის განმტკიცების საჭიროებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას განაგრძობენ, როგორც მეგობრული სახელმწიფოები. ისინი ვალდებული არ არიან თანამიმდევრულად იხელმძღვანელონ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და არსებული საზღვრების ურღვევობის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის, დავის მშვიდობიანი მოწესრიგების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

**მუხლი 2.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები როგორც გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით თანამშრომლობენ მშვიდობის განსამტკიცებლად, მსოფლიოში სტაბილურობისა და უშიშროების გასაძლიერებლად.

ისინი ხელს უწყობენ განიარაღების პროცესის განგრძობას, კოლექტიური უშიშროების სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სამშვიდობო როლის გაძლიერებას, უშიშროებისა და თანამშრომლობის რეგიონული მექანიზმების ეფექტურობის ამაღლებას.

**მუხლი 3.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არ არიან კისრულობენ მათ შორის წამოჭრილი დავა გადაწყვეტონ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.



ისინი ძალ-ღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ საერთაშორისო პრობლემები რეგულირდებოდეს მშვიდობიანი საშუალებებით, საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე, რისთვისაც გამოიყენებენ შესაბამის მექანიზმებს, რომლებსაც ითვალისწინებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ისე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ახალი სტრუქტურები.

**მუხლი 4.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ გამოიყენებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ერთმანეთის წინააღმდეგ. არც ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს თავისი ტერიტორიის გამოყენებას მეორე მხარის წინააღმდეგ აგრესიის მოსამზადებლად და განსახორციელებლად ან სხვაგვარი ძალადობრივი მოქმედებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე აგრესიის ობიექტი გახდება, მეორე მხარე არ გაუწევს აგრესორს არავითარ სამხედრო ან სხვა სახის დახმარებას.

**მუხლი 5.** მხარეები მკიდროდ თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომელთა წევრებიც არიან, აგრეთვე მრავალმხრივ კონფერენციებსა და ფორუმებში, რათა შეუქცევადი ხასიათი მიანიჭონ ევროპასა და მთლიანად ქვეყნებს შორის ურთიერთობის პოზიტიურ ცვლილებებს, წაახალისონ ყველა სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობა.

**მუხლი 6.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პირველხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებენ საერთო-ევროპული პროცესის შემდგომ განვითარებას, განმტკიცებასა და მისი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან კონკრეტული წვლილი შეიტანონ ერთიანი ევროპული სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური, სატრანსპორტო და სხვა სივრცეების ჩამოყალიბებაში და ამით ხელი შეუწყონ ევროპის ხალხთა დაახლოებას. ამასთან ეყრდნობიან ისეთ ღირებულებებს, როგორიც არის: მშვიდობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, პოლიტიკური პლურალიზმი, სოციალური სამართლიანობა, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება.



**მუხლი 7.** მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა დათქვეს, რომ მათ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები რეგულარულად შეხვდებიან საკონსულტაციოდ.

ამ კონსულტაციების საგანი იქნება თანამედროვეობის საკვანძო პრობლემები მსოფლიოსა და ევროპაში, მათ შორის შავიზღვისპირეთში უშიშროების განმტკიცება, ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარება, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხები.

უმალესი დონის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება საქიროების შემთხვევაში. საგარეო საქმეთა მინისტრები სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც შეხვდებიან ერთმანეთს.

მხარეები სათანადო პირობებს შეუქმნიან მთავრობების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამოცდილებიან და ინფორმაციის ფართო გაზიარებას.

**მუხლი 8.** თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე მოქალაქეებს და თავის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს (შემდგომში — მოქალაქეები) მიუხედავად მათი ეროვნებისა, სქესისა, ენისა, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას აძლევს თავის კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სფეროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე იცავს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ თავისი მოქალაქეების უფლებებს, მფარველობასა და დახმარებას უწევს მათ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად.

**მუხლი 9.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ იმ მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ისევე როგორც მათ მიერ იმ სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებების შესრულება, რომელშიც

ისინი ცხოვრობენ, მშვიდობის, სამართლიანობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის არსებითი ფაქტორია.

მხარეები თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, გარანტიას აძლევენ ეფექტიანად და სრული მოცულობით განახორციელონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ისარგებლონ ამით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში.

მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას და ქმნიან პირობებს მათი შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ეროვნული უმცირესობებისათვის, რომელთა ეთნიკური სამშობლო მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს, უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ თავიანთი ეროვნული კულტურის ფასეულობებით სარგებლობა. ამ მიზნით მხარეები ხელს უწყობენ ბიბლიოთეკების შექმნას და შესაბამისად ქართულ და უკრაინულ ენებზე ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით მათ უზრუნველყოფას, წაახალისებენ მუზეუმების, თეატრებისა და სხვა დაწესებულებების გახსნას, აგრეთვე ხელს შეუწყობენ მეორე მხარის ეროვნულ კულტურულ საზოგადოებათა საქმიანობას.

**მუხლი 10.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ჯეროვან პირობებს შეუქმნიან ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიზნით ისინი ერთმანეთს ანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

მხარეები ერთმანეთს უზრუნველყოფენ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი და სხვა პირობებით, სამეთურნო, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის, აგრეთვე ყოველმხრივ წაახალისებენ კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებსა და ორივე სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის უშუალო კავშირებს.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავს შეიკავებს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ეკონომიკურ ზარალს მიიყენებს მეორე მხარეს.

**მუხლი 11.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ორივე სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების მიზნით თანამშრომლობენ ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში.

მხარეები ხელს უწყობენ უკვე არსებული კოოპერაციული კავშირების შენარჩუნებას, განვითარებასა და რაციონალურ გამოყენებას.

მხარეთა ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სფეროები მოწესრიგდება ცალკე შეთანხმებებით.

**მუხლი 12.** მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ესმით, რომ აუცილებელია ისეთი სამართლებრივი ნორმების შექმნა, რომლებიც თავიდან ააცილებს მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიებს და დაიცავს მხარეთა საკუთრების უფლებას და ცალკე შეთანხმებათა საფუძველზე გადაწყვეტენ საკითხებს, რომლებიც ეხება ერთმანეთის უფლებების ცნობას და საკუთრებითი ურთიერთობის მოგვარებას.

**მუხლი 13.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები წარმოადგენენ რა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოებს, მკიდროდ თანამშრომლობენ სტამბოლის 1992 წლის 25 ივნისის შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციის ფარგლებში.

მხარეები შემდგომშიც შეუწყობენ ხელს შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის როლისა და ეფექტიანობის გაზრდას.

**მუხლი 14.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გარემოს დაცვასა და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მოქმედებენ რა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების შესაბამისად, მხარეები საჭირო ზომებს განახორციელებენ გარემოს გატუჟყიანების თავიდან ასაცილებლად, რაციონალური და რესურსდამზოგავი ბუნებათსარგებლობის უზრუნველსაყოფად, ხელს შეუწყობენ სპეციალური ბუნებადაცვითი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, განსაკუთრებით ეკოლოგიურად დაძაბულ რაიონებში, რათა შეიქმნას ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და თანამოქმედების ყოვლისმომცველი საერთაშორისო სისტემა.



მხარეები ცალკე შეთანხმებას დადებენ ამ საკითხებში.  
**მუხლი 15.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში, წაახალისებენ პირდაპირ კავშირებს სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და საწარმოების, შესაბამისი სამინისტროებისა და განათლების მართვის ორგანოების, ცალკეული მეცნიერებისა და სპეციალისტების უშუალო კავშირებს. განახორციელებენ ერთობლივ პროგრამებსა და ნამუშევრებს, განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებებისა და მოწინავე ტექნოლოგიათა სფეროში.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ და ხელშემწყობ პირობებს უქმნიან კადრების მომზადებას, მეცნიერების, სპეციალისტების, ასპირანტებისა და სტუდენტების გაცვლას, ცნობენ ერთმანეთის ზოგად-საშუალო განათლების დიპლომებს, ეწევიან სათანადო მუშაობას, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთის უმაღლესი და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების დიპლომების, სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების ცნობასთან, აგრეთვე ხელს შეუწყობენ მათ ეროვნულ აკადემიებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების გაღრმავებას გრძელვადიან საფუძველზე. მხარეები თანამშრომლობენ ინტელექტუალური და მეცნიერული საკუთრების უფლებების დაცვის საკითხებში. მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ მეცნიერებისა და განათლების საკითხებზე.

**მუხლი 16.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ სურთ განავითარონ და გააღრმავონ კონტაქტები და კავშირები კულტურისა და ხელოვნების სფეროში. მხარეები ყოველნაირად შეუწყობენ ხელს კულტურული გაცვლის გაფართოებას, ორი ქვეყნის ხალხთა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე კულტურის მიღწევების საფუძველიან გაცნობას, მხატვრულ-ისტორიული და კულტურული ძეგლების შენარჩუნების საქმეში თანამშრომლობას. ნაცვალგების საფუძველზე წაახალისებენ კულტურულ-საინფორმაციო ცენტრების გახსნასა და საქმიანობას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ორი ხალხის ურთიერთგაჭი-  
ბისა და მეგობრობის, წეს-ჩვეულებების, სარწმუნოებრივი თავი-  
სებურებებისა და თვითმყოფადობის პატივისცემის სულისკვეთე-  
ბით ფართო ურთიერთობასა და დიალოგს განავითარებენ ქართ-  
ველ და უკრაინელ ხალხებს შორის.

ორი სახელმწიფოს ტელეგადაცემებისა და რადიოტრანსლა-  
ციების ერთობლივი პროგრამების ორგანიზაციის მიზნით მხარეე-  
ბი ხელს უწყობენ თავიანთი ქვეყნების მოქალაქეებს შორის კონ-  
ტაქტების გაფართოებას, თანამშრომლობის განვითარებას საზო-  
გადოებრივი გაერთიანებებისა და რელიგიური ორგანიზაციების,  
აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხაზით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ორი ქვეყნის პარლა-  
მენტებსა და ხელისუფლების ამომრჩეველ სხვა ორგანოებს შორის  
კონტაქტებისა და კავშირების გაღრმავებას. მხარეები ხელს შე-  
უწყობენ დამობიძგებული ქალაქების თანამშრომლობას.

**მუხლი 17.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლო-  
ბენ დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში, მათ შორის მის ორგა-  
ნიზებულ ფორმებთან, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოთაშორისი  
და რეგიონთაშორისი ხასიათი. მხარეები ითანამშრომლებენ ისეთი  
დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც არის ტერო-  
რიზმი, საჰაერო და საზღვაო მეკობრეობა, არალეგალური მიგრა-  
ცია, კორუფცია, უკანონო ფინანსური ოპერაციები, ყალბი ფულის  
მოჭრა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკა-  
ნონო ბრუნვა, უკანონო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია  
იარაღთან, ტყვია-წამალთან, ასაფეთქებელ, მომწამვლელ და რა-  
დიოაქტიურ ნივთიერებებთან, კონტრაბანდასთან, მათ შორის კულ-  
ტურული, ისტორიული, არქეოლოგიური ღირებულებების უკანონო  
გატანასთან.

მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ ამ და სხვა საკით-  
ხებზე, რომლებითაც დაინტერესებული იქნება ორივე მხარე.

**მუხლი 18.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ნორმალურ სა-  
მუშაო პირობებს შეუქმნიან და ნაცვალებების საფუძველზე ყოველ-  
ნაირი შეუწყობენ ხელს მათ ტერიტორიაზე აკრედიტებულ მეორე

მხარის დიპლომატიურ, საკონსულო, სავაჭრო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების მუშაობას.

**მუხლი 19.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები (საქართველო) შეკრულებებსა და შეთანხმებებს დადებენ თანამშრომლობის შესახებ სხვა სახელმწიფოთაშორისი ან უწყებათაშორისი ურთიერთობის სფეროში, რომლითაც დაინტერესებული იქნება ორივე მხარე.

**მუხლი 20.** ეს ხელშეკრულება არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებულ, მოქმედი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

**მუხლი 21.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ ეს ხელშეკრულება არ არის მიმართული მესამე მხარის წინააღმდეგ. ორივე მხარე თავის თანამშრომლობას განიხილავს როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესის შემდგომი განვითარების შემადგენელ და დინამიკურ ელემენტს.

**მუხლი 22.** ეს ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

**მუხლი 23.** ეს ხელშეკრულება იღება ათი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით, თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების მორიგი ვადის გასვლამდე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე, წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს, რომ სურს მისი დენონსირება.

**მუხლი 24.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

შესრულებულია ქ. კიევში 1993 წლის 13 აპრილს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და უკრაინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
სახელით

უკრაინის რესპუბლიკის  
სახელით

ედუარდ შევარდნაძე.

ლევონილ კრავჩუკი.



**143** საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **პანტაძე გიორგი**.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

**144** საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა**

საქართველოს რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა, შემდგომში მალალ ხელშეკრულ მხარეებად წოდებულნი,

ეყრდნობიან მათ ხალხებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, კეთილი ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს,

ადასტურებენ მემკვიდრეობითობას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში,

მიაჩნიათ რომ მეგობრული, კეთილმეზობლური და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს და ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ განვითარებას,

ადასტურებენ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პელსინკის დასკვნითი აქტისა და ახალი ევრო-

პისათვის პარიზის ქარტიის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების მიზნებისა და პრინციპების საფუძველზე.



აღიარებენ რეგიონსა და მსოფლიოში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე შეთანხმებულ მოქმედებათა მიზანშეწონილობას,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ააშენონ თავიანთ ტერიტორიაზე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოები,

ხელს უწყობენ ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას,

ესწრაფვიან თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას და ორი ქვეყნის ურთიერთობის ახალ საფეხურზე აყვანას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას აგებენ, როგორც მეგობარი-სახელმწიფოები. ისინი ვალდებულებას კისრულობენ თანამიმდევრულად იხელმძღვანელონ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და არსებული საზღვრების ურღვევობის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის თუ ძალით დამუქრების, მათ შორის ეკონომიკური თუ ზემოქმედების სხვა ხერხების გამოუყენებლობის, დავის მშვიდობიანი მოგვარების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

**მუხლი 2.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები როგორც გლობალური, ისე რეგიონალური მასშტაბით თანამოქმედებენ მშვიდობის განსამტკიცებლად, მსოფლიოში სტაბილურობისა და უშიშროების გასაძლიერებლად.

ისინი ხელს უწყობენ განიარაღების პროცესის განგრძობას, კოლექტიური უშიშროების სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, გაერთიანებული ერების ორგანიზა-





ციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სამშვიდობო როლის გაძლიერებას, უშიშროებისა და თანამშრომლობის რეგიონალური მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლებას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ რეგიონალური კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების მოგვარებას, ერთმანეთს უთანხმებენ პოზიციებს იმ მიზნით, რომ საჭირო შემთხვევებში განაზოციელონ კოორდინირებული თუ ერთობლივი მოქმედებანი.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომლებსაც ეს მუხლი ეხება.

**მუხლი 3.** ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე მონაწილეობას არ მიიღებს და მხარს არ დაუჭერს ისეთ ქმედებას ან ღონისძიებას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ, აღკვეთს და არ დაუშვებს იმ ტერიტორიებზე ისეთი ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნას და საქმიანობას, ცალკეული პირების ქმედებას, რომლებიც მიმართულია მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და აყენებს მას ეკონომიკურ ზიანს,

ამ საკითხზე მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დადებენ ცალკე შეთანხმებას.

**მუხლი 4.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები არ მიიღებენ მონაწილეობას რომელიმე კავშირში ან ბლოკში, რომელიც მიმართული იქნება მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ.

ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია იღებს არ დაუშვას თავისი ტერიტორიის გამოყენება მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ აგრესიის, ეკონომიკური ზეწოლის თუ სხვა ძალისმიერი მოქმედების განსაზოციელებლად.

**მუხლი 5.** თუ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის აზრით, საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ლახავს მისი უშიშროების ინტერესებს, აგრეთვე რომელიმე მხარის წინააღმდეგ აგრესიის აქტის შემთხვევაში, მაღალი

ხელშემკვრელი მხარეები ამოქმედდებიან ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს იმ მიზნით, რომ შეათანხმონ თავიანთი პოლიტიკები და განახორციელონ ღონისძიებანი შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

**მუხლი 6.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს, მათი ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად.

ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გარანტიას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებისა და საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე იცავს მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებებს, უწევს მათ მფარველობასა და მხარდაჭერას ამ ხელშეკრულების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დადებენ ხელშეკრულებას სამართლებრივი დახმარების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში და სხვა შეთანხმებებს, რომლებიც აუცილებელია მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 7.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დაცვა ისევე, როგორც მათ მიერ იმ სახელმწიფოს მიმართ მოვალეობის შესრულება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკაში მშვიდობის, სამართლიანობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის არსებითი ფაქტორია.



მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თანაბრების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, გარანტიას აძლევენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს სრულად და ეფექტურად განახორციელონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებანი, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და საკუთარი ისტორიის შესწავლის უფლება და ისარგებლონ ამით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში, აგრეთვე თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი თუ რელიგიური თავისთავადობა.

**მუხლი 8.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის განვითარებას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების, ტერიტორიული (მუნიციპალური) თვითმმართველობის ორგანოების, ბანკებისა და საფინანსო სისტემის, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალურ მეწარმეთა დონეებზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და გააფორმებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის, აგრეთვე ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დროულად შეატყობინებენ ერთმანეთს ეკონომიკის დარგში იმ გადაწყვეტილებების თაობაზე, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეორე მხარეს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

**მუხლი 9.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ტვირთის შეუფერხებელ ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საზღვაო და საჰაერო პორტებში, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე და მილსადენებით.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ თანამშრომლონ, განავითარონ და სრულყოონ ორმხრივი კომუნიკაციები: საპაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი და მიიღებენ ზომებს თავიანთ ტერიტორიაზე მგზავრებისა და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ხელს შეუწყობენ მილსადენების შეუფერხებელ მუშაობას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეება დადებენ ცალკე შეთანხმებას ამ საკითხებში თანამშრომლობის მიზნით.

**მუხლი 10.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ურთიერთობები განახორციელონ ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე და თავი შეიკავონ ქმედებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეორე მხარეს.

ამ მიზნით ისინი დადებენ შესაბამის შეთანხმებებს.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ინფორმაციას ცვლიან ეკონომიკური რეფორმების სფეროში, სტრუქტურული, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, ფასების, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ჩათვლით.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთმოქმედებენ სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა ორგანიზაციებში, უწევენ რა ერთმანეთს დახმარებას იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, შეთანხმებებსა და კონვენციებში მონაწილეობასა და გაწევრიანებაში, რომლის წევრი არ არის ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე.

**მუხლი 11.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზუნველყოფენ ხელსაყრელ ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ პირობებს მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების სამეწარმეო და სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის, ინვენტიციების სტიმულირებისა და ურთიერთდაცვის ჩათვლით. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებს, საწარმოებს, ფირმებსა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა სუბიექტებს შორის სხვადასხვა ფორმის კოოპერაციასა და პირდაპირ კავშირებს.



ისინი დადებენ ცალკე შეთანხმებას ორმაგი დაბეგვრის ვიდან აცილების მიზნით.

**მუხლი 12.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას სეისმოლოგიის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროებში. მოქმედებენ რა თითოეულმა მათგანისათვის ძალაში შესული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების შესაბამისად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის, გარემოს გაქუჩყიანების თავიდან აცილებისა და რაციონალური და რესურსდამზოგავი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფისათვის, ხელს შეუწყობენ სპეციალური ბუნებათდაცავი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, განსაკუთრებით ეკოლოგიურად დაძაბულ რაიონებში, ესწრაფვიან შეიქმნას ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ურთიერთქმედების ყოვლისმომცველი საერთაშორისო სისტემა.

**მუხლი 13.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში, წინახალისებენ სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების უშუალო კავშირურობას, ერთობლივი პროგრამებისა და ნამუშევრების განხორციელებას, განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებებით და მოწინავე ტექნოლოგიების დარგში.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ და ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კადრების მომზადების, მეცნიერების სპეციალისტების, ასპირანტებისა და სტუდენტების გაცვლის საქმეში, ცნობენ ერთმანეთის განათლების დიპლომებს, სამეცნიერო წოდებებსა და ხარისხს, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დადებენ ცალკე შეთანხმებებს მეცნიერებისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე.

**მუხლი 14.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ თანამშრომლობასა და კონტაქტებს კულტურის, ხელოვნების, ტურიზმისა და სპორტის დარგში, ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას. ისინი დადებენ ცალკე შეთანხმებებს ამ საკითხებზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ ლოს რესპუბლიკაში სომხური ენისა და სომხეთის რესპუბლიკაში ქართული ენის შესწავლასა და გავრცელებას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ახორციელებენ ამ დარგებში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციების და პირების თანამშრომლობას ერთობლივი პროექტების რეალიზაციაში, კულტურული, სამეცნიერო და სხვა ფონდებისა და ასოციაციების საქმიანობაში.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დადებენ ცალკე შეთანხმებას ერთმანეთის ტერიტორიაზე ორი ქვეყნის კულტურული ცენტრების გახსნის შესახებ.

**მუხლი 15.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას თითოეულ ამ ქვეყანაში სამართლებრივი აქტების შემუშავების, მიღებისა და გამოყენების შესახებ და საერთო ძალისხმევით მონაწილეობენ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში.

**მუხლი 16.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, აქტიურად თანამშრომლობენ ორგანიზებულ, მათ შორის საერთაშორისო დამნაშავეობასთან და ტერორიზმთან, აგრეთვე იმ უკანონო აქტებთან ბრძოლის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციისა და სხვა სახის ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ, მიქვლების აყვანის, კონტრაბანდის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გადაზიდვის, კულტურულ ფასეულობათა უკანონო გატანის წინააღმდეგ, აგრეთვე სხვა საკითხებში, რომლებიც ორმხრივ ინტერესებს წარმოადგენენ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებებს ამ და სხვა ანალოგიურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.

**მუხლი 17.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ორი სახელმწიფოს პარლამენტის და



პარლამენტარების კონტაქტებისა და თანამშრომლობის განხორციელება.

**მუხლი 18.** მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს შორის დადებენ სხვა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც საჭირო იქნება ამ ხელშეკრულების დებულებათა განხორციელებისათვის.

**მუხლი 19.** ეს ხელშეკრულება არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან.

**მუხლი 20.** ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით მაღალ ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ აწყობენ კონსულტაციებს ერთმანეთს შორის და საჭიროების შემთხვევაში შექმნიან შესაბამის კომისიებს.

დავა ამ ხელშეკრულების შესრულებისა და განმარტების გარშემო გადაიჭრება მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

**მუხლი 21.** ეს ხელშეკრულება სარატიფიკაციო, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგება ქ. თბილისში.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

**მუხლი 22.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

**მუხლი 23.** ეს ხელშეკრულება იდება ათი წლის ვადით.

მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან მორიგი ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე არა უგვიანეს ექვსი თვისა მაღალი ხელშემკვრელი მხარეებიდან რომელიმე წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადებს, რომ სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება.



დაიღო ქ. ერევანში 1993 წლის 19 მაისს ორ ეგზეპლარულს  
 თითოეული ქართულ და სომხურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს  
 თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
 სახელით  
 იღუარდ შვიარდნაძე.

სომხეთის რესპუბლიკის  
 სახელით  
 ლევონ ტარკვეტროსიანი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**145** პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენ-  
 ტის წევრის ადგილმონაცვლის უზღვევამოსილების  
 ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილი იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული  
 პარლამენტის წევრის პანტელეიმონ გიორგაძის ადგილმონაცვლის  
 ზურაბ ქველაძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიშაძე.

თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**146** გიორგი ზუმბაძისათვის პარლამენტის წევრის უზ-  
 ლვევამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს გიორგი ზუმბაძეს პარლამენტის წევრის უფლება-  
 მოსილება რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და  
 სრულუფლებიან დესპანად დანიშენასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიშაძე.

თბილისი, 1993 წლის 22 ივნისი.



# 147 „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ. № 5, მუხ. 66) მე-3 მუხლის „ა“ პუნქტში ჩიტყვები „სამი თვის ვადაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ექვსი თვის ვადაში“. ამავე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ოთხი თვის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს“. ამის შესაბამისად მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ ექვსი თვის ვადაში არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე“.

2. ამავე კანონის 45-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ან ვერ მიიღო მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები“ და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 45. საპატიო მიზეზით გადაცილებული ვადის აღდგენა თუ პირმა ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, მას გადაცილებული ვადა აღუდგება კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

3. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ილუარდ შავარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერის მოადგილე

პახტანგ რჩაულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 24 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**148** პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის დავით ზელიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის გიორგი ზუმბაძის ადგილმონაცვლის დავით ჯელიძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიზაძე.

თბილისი, 1993 წლის 29 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**149** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოს შორის საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის შედეგების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დადებითად შეფასდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბელგიაში ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის შედეგები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიზაძე.

თბილისი, 1993 წლის 29 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**150** პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის კამო ქართველი-შვილის უფლებამოსილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არ იქნეს ცნობილი პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ნოდარ გიორგაძის ადგილმონაცვლის კამო ქართველი-შვილის უფლებამოსილება მისი თანამდებობის (ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი) საპარლამენტო სტატუსთან შეუსაბამობის გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 29 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**151** საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის უმადგანლოგაჟი ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

პარლამენტის წევრი ზურაბ ქველაძე არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 29 ივნისი.

სახელმწიფოები, ამ კონვენციის მხარეები,  
აღნიშნავენ, რომ ყველა ქვეყნის ხალხები ოდითგანვე ცნობენ  
დიპლომატიური აგენტების სტატუსს,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზა-  
ციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს — სახელმწიფოთა სუ-  
ვერენულ თანასწორობას, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშ-  
როების მხარდაჭერას და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურ-  
თიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობას,

დარწმუნებული არიან, რომ დიპლომატიური ურთიერთობის,  
პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ საერთაშორისო კონ-  
ვენციის დადება ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა მეგობრული ურ-  
თიერთობის განვითარებას მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი  
წყობილების განსხვავების მიუხედავად,

შეგნებული აქვთ, რომ ასეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები  
ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა მხრივ გამორჩენის მიზნით, არამედ  
იმისათვის, რომ ნაყოფიერად აღასრულონ დიპლომატიურ წარ-  
მომადგენლობათა, როგორც სახელმწიფოთა წარმომადგენელი ორ-  
განოების, ფუნქციები,

ადასტურებენ, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის  
ნორმები კვლავაც დაარეგულირებენ საკითხებს, რომლებსაც უშუა-  
ლოდ არ ითვალისწინებს ამ კონვენციის დებულებანი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

ამ კონვენციაში ნახმარი ტერმინები ნიშნავს:

a) „წარმომადგენლობის მეთაური“ არის პირი, რომელსაც მა-  
კრედიტებელი სახელმწიფო ავალებს იმოქმედოს ასეთმა;

b) „წარმომადგენლობის თანამშრომლები“ არიან წარმომად-  
გენლობის მეთაური და წარმომადგენლობის პერსონალის წევრები;



ც) „წარმომადგენლობის პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და მომსახურე პერსონალის წევრები;

დ) „დიპლომატიური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატის რანგი;

ე) „დიპლომატიური აგენტი“ არის წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი;

ვ) „ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევენ წარმომადგენლობას;

გ) „მომსახურე პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც წარმომადგენლობას ემსახურებიან;

ზ) „კერძო შინამუშაი“ არის პირი, რომელიც წარმომადგენლობის თანამშრომლის შინამუშაის მოვალეობას ასრულებს და მთავრადიტივებელი სახელმწიფოს მოსამსახურეს არ წარმოადგენს;

ი) „წარმომადგენლობის კარ-მიღამო“ ნიშნავს შენობებს ან შენობათა ნაწილებს, რომლებსაც წარმომადგენლობის მიზნებისათვის იყენებენ, მათ შორის წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენციას, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის მათი საკუთრების უფლება, მათ შორის ამ შენობის თუ შენობის ნაწილის მომსახურე მიწის ნაკვეთი.

**მუხლი 2**

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფუძნება ხდება ურთიერთშეთანხმებით.

**მუხლი 3**

1. დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ფუნქციებია, კერძოდ:

ა) მთავრადიტივებელი სახელმწიფოს წარმომადგენლობა აღბილსამყოფელ სახელმწიფოში;

b) მაკრედიტებელი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფო შრომისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში;

c) მოლაპარაკება ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მთავრობასთან;

d) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირობებისა და ამგებების გამორკვევა ყოველგვარი კანონიერი საშუალებებით და მაკრედიტებელი სახელმწიფოს მთავრობისათვის მათი შეტყობინება;

e) მაკრედიტებელი სახელმწიფოს და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის წახალისება და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობის განვითარება.

2. ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი დაბრკოლებას უქმნიდეს დიპლომატიურ წარმომადგენლობას საკონსულო ფუნქციების შესრულებაში.

#### მუხლი 4

ადგილსამყოფელი სა

1. მაკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო დათანხმდა იმ პირს, რომლის აკრედიტებასაც აპირებს, ამ სახელმწიფოში წარმომადგენლობის მეთაურად.

2. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებული არ არის ამცნოს მაკრედიტებელ სახელმწიფოს თანხმობაზე უარის თქმის მიზეზი.

#### მუხლი 5

1. მაკრედიტებელ სახელმწიფოს, შესაბამისი ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთვის სათანადო შეტყობინების შემდეგ, შეუძლია წარმომადგენლობის მეთაური, ან დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი, გარემოებათა მიხედვით, დანიშნოს ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში, თუ რომელიმე ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება.

2. თუ მაკრედიტებელი სახელმწიფო წარმომადგენლობის მეთაურს ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში ნიშნავს, შეუძლია ყოველ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობის მეთაურს მუდმივი ადგილსამყოფელი არა აქვს, დააფუძნოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან დროებითი საქმეთა რწმუნებულები.

3. წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი შეიძლება მოქმედებდეს როგორც მაკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

### მუხლი 6

ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შეუძლიათ ერთი და იგივე პირი დანიშნონ სხვა სახელმწიფოში წარმომადგენლობის მეთაურად, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება.

### მუხლი 7

მე-5, მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მაკრედიტებელ სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია დანიშნოს წარმომადგენლობის პერსონალის წევრები. რაც შეეხება სამხედრო, საზღვაო თუ საავიაციო ატაშეს, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ მათი ვინაობა წინასწარ გააცნონ მას თანხმობის მისაღებად.

### მუხლი 8

1. წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრები, პრინციპული თვალსაზრისით, მაკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქენი უნდა იყვნენ.

2. წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრები ვერ დაინიშნებიან იმათაგან, ვინც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, თუ არ იქნა ამ სახელმწიფოს თანხმობა, ამავე დროს ეს თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

3. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია იგივე უფლება დაიტოვოს მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომელსაც იმავდროულად მთავრადიტიბელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან.

### მუხლი 9

1. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად, ამცნოს მთავრადიტიბელ სახელმწიფოს, რომ წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის რომელიმე წევრი *persona non grata*-ა, ან წარმომადგენლობის პერსონალის ნებისმიერი სხვა წევრი მისთვის მიუღებელია. მაშინ მთავრადიტიბელი სახელმწიფო მოვალეა შესაბამისად გაიწვიოს აღნიშნული პირი ან შეწყვიტოს მისი ფუნქციები წარმომადგენლობაში. ესა თუ ის პირი, შეიძლება *non grata* ან მიუღებლად გამოცხადდეს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლამდე.

2. თუ მთავრადიტიბელი სახელმწიფო უარს იტყვის შეასრულოს ან გონივრულ ვადაში არ შეასრულებს თავის მოვალეობას, რომელსაც ითვალისწინებს ამ მუხლის პირველი პუნქტი, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია არ ცნოს აღნიშნული პირი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

### მუხლი 10

1. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც არსებობს მორიგება, უნდა ემცნოს:

a) წარმომადგენლობის თანამშრომელთა დანიშვნა, მათი ჩასვლა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოდან სამუდამო წასვლა ან წარმომადგენლობაში მათი ფუნქციების შეწყვეტა;

b) წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრის ჩამოსვლა ან სამუდამო წასვლა, და სათანადო შემთხვევაში ისიც, რომ ესა თუ ის პირი წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრი ხდება ან აღარ არის მისი ოჯახის წევრი;





ც) იმ კერძო შინამუშაკების ჩასვლა და საბოლოო წასვლა, რომლებიც ამ პუნქტის ა ქვეპუნქტში მოხსენიებულ პირებს მსახურობენ, და სათანადო შემთხვევებში — ასეთ პირებთან მათი სამსახურის შეწყვეტა;

დ) იმ პირთა დაქირავება და დათხოვნა, რომლებიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ცხოვრობენ როგორც წარმომადგენლობის თანამშრომლები ან შინამუშაკები და აქვთ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება.

2. ჩასვლის და საბოლოო წასვლის შეტყობინება, შეძლებისდაგვარად, ასევე წინასწარ უნდა ხდებოდეს.

**მუხლი 11**

1. თუ წარმომადგენლობის პერსონალის რაოდენობის თაობაზე კონკრეტული შეთანხმება არა აქვთ, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს წარმომადგენლობის პერსონალის რაოდენობა იმ ფარგლებში, რომლებიც მას კონიერულად და ნორმალურად მიაჩნია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული გარემოებების, პირობების და მოცემული წარმომადგენლობის მოთხოვნილების შესაბამისად.

2. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე, ამავე საფუძველზე და უდისკრიმინაციოდ, უარი თქვას რომელიმე გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირთა მიღებაზე.

**მუხლი 12**

მაკრედიტებელ სახელმწიფოს, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წინასწარი, მკაფიოდ გამოთქმული თანხმობის გარეშე, არ შეუძლია თვით წარმომადგენლობის ბინადრობის გარდა სხვა დასახლებულ პუნქტებში გახსნას კანცელარიები, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობის ნაწილს შეადგენენ.

**მუხლი 13**

1. ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ერთგვაროვნად უნდა გამოიყენებოდეს,

წარმომადგენლობის მეთაური თავისი ფუნქციების შემსრულებლად ჩაითვლება ან თავისი რწმუნებათა სიგელების მომენტიდან, ან თავისი ჩამოსვლის შეტყობინებისა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, თუ შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა სამინისტროსათვის რწმუნებათა სიგელების დამოწმებული ასლების წარდგენის მომენტიდან.

2. რწმუნებათა სიგელების გადაცემის ან მათი დამოწმებული ასლების წარდგენის რიგითობას განსაზღვრავს წარმომადგენლობის მეთაურის ჩასვლის თარიღი და საათი.

#### მუხლი 14

1. წარმომადგენლობათა მეთაურები განიყოფებიან სამ კლასად, სახელდობრ:

ა) ელჩებისა და ნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებული არიან სახელმწიფოთა მეთაურებთან, და ექვივალენტური რანგის სხვა წარმომადგენლობათა მეთაურები;

ბ) დესპანებისა და ინტერნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებული არიან მთავრობის მეთაურებთან;

ც) საქმეთა რწმუნებულები, რომლებიც აკრედიტებული არიან საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

2. უფროს-უმცროსობისა და გათვალისწინებული ეტიკეტის გარდა არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს წარმომადგენლობის მეთაურთა მიმართ დამოკიდებულებაში იმის გამო, რომ ისინი ამა თუ იმ კლასს განეკუთვნებიან.

#### მუხლი 15

კლასს, რომელსაც უნდა მიეკუთვნონ წარმომადგენლობათა მეთაურები, განსაზღვრავს სახელმწიფოთა შეთანხმება.

#### მუხლი 16

1. შესაბამისი კლასის წარმომადგენლობათა მეთაურების უფროს-უმცროსობას განსაზღვრავს თარიღი და საათი, როცა ისინი

შეუდგნენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას მე-13 მუხლის თანახმად.

2. წარმომადგენლობის მეთაურის რწმუნებათა სიგელებში შეტანილი ცვლილებები, რომლებსაც თან არ სდევს კლასის შეცვლა, გავლენას არ ახდენს მის უფროს-უმცროსობაზე.

3. ეს მუხლი არ ჩეღყოფს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დამკვიდრებულ პრაქტიკას ვატიკანის წარმომადგენლის უფროს-უმცროსობის მიმართ.

### მუხლი 17

წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრთა უფროს-უმცროსობას წარმომადგენლობის მეთაური ამცნობს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც არსებობს მორიგება.

### მუხლი 18

წარმომადგენლობის მეთაურის მიღებისას თითოეულ სახელმწიფოში დამკვიდრებული წესი ერთნაირი უნდა იყოს ყოველი კლასის მიმართ.

### მუხლი 19

1. თუ წარმომადგენლობის მეთაურის თანამდებობა ვაკანტურია, ან წარმომადგენლობის მეთაური ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია დროებითი საქმეთა რწმუნებული, დროებითი საქმეთა რწმუნებულის გვარს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც არსებობს მორიგება, ატყობინებს ან წარმომადგენლობის მეთაური, ან, თუ მას არ ძალუძს ამის გაკეთება, მთავრადიტიბელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2. როცა წარმომადგენლობის არც ერთი დიპლომატიური თანამშრომელი არ იმყოფება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, მათ

კრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს თანხმობით, წარმომადგენლობის მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეთა გაძღოლისათვის პასუხისმგებლად დანიშნოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრი.

### მუხლი 20

წარმომადგენლობას და მის მეთაურს უფლება აქვთ მიაკრედიტებელი სახელმწიფოს დროშა და ემბლემა გამოჰფინონ წარმომადგენლობის შენობებზე, მათ შორის წარმომადგენლობის რეზიდენციაზე, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებზე.

### მუხლი 21

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა ხელი შეუწყოს მიაკრედიტებელ სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე, თავისი კანონების შესაბამისად, წარმომადგენლობისთვის საჭირო შენობების შექმნაში, ან დაეხმაროს რაიმე სხვა გზით შენობათა მიღებაში.

2. საჭიროების შემთხვევაში იგი აგრეთვე მოვალეა დაეხმაროს წარმომადგენლობებს თანამშრომლებისათვის საჭირო შესაფერისი ბინების მიღებაში.

### მუხლი 22

1. წარმომადგენლობის ნაგებობანი ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთ უფლება არა აქვთ შევიდნენ ამ შენობებში, თუ არ ექნათ წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობა.

2. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საგანგებოდ ევალება ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დაიცვას წარმომადგენლობის შენობები ყოველგვარი შეჭრისა თუ დაზარალებისაგან და არ დაუშვას წარმომადგენლობის სიმშვიდის რაიმე დარღვევა ან მისი ღირსების შელახვა.

3. წარმომადგენლობის შენობებს, ავეჯს და სხვა იქ არსებულ ქონებას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებს მინიჭებული აქვს



იმუნიტეტი და არ შეიძლება მათი გაჩხრეკა, რეკვიზიცია, ყადაღის დადება და სააღმსრულებლო მოქმედება.

**მუხლი 23**

1. მააკრედიტებელი სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდებიან ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული თუ მუნიციპალური გადასახადებისაგან, წარმომადგენლობის საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობებისათვის მოსაკრებლებისა თუ ბაქსისაგან, რომლებიც კონკრეტული სახეობის მომსახურების გადასახდელია.

2. სახაზინო შეუვალობა, რომელზეც ლაპარაკია ამ მუხლში, არ ვრცელდება იმ გადასახადებზე, მოსაკრებლებსა და ბაჟზე, რომლებიც, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონების თანახმად, უნდა გადაიხადონ იმათ, ვინც კონტრაქტებს დებს მააკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან წარმომადგენლობის მეთაურთან.

**მუხლი 24**

წარმომადგენლობის არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია ნებისმიერ დროს და ადგილსამყოფელის მიუხედავად.

**მუხლი 25**

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყოველგვარი პირობები უნდა შეუქმნას წარმომადგენლობას თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

**მუხლი 26**

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლის თავისუფალი მიმოსვლა, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება მის კანონებს და წესებს ზონების შესახებ, სადაც შესვლა აკრძალულია ან რეგულირდება სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით.

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა ნება დართოს და დაიცვას წარმომადგენლობის თავისუფალი ურთიერთობა ყოველგვარი ოფიციალური მიზნებით. მაკრედიტებელი სახელმწიფოს მთავრობასთან, სხვა წარმომადგენლობებთან და საკონსულოებთან ურთიერთობისათვის, სადაც უნდა იყვნენ ისინი, წარმომადგენლობას შეუძლია გამოიყენოს ყველა მოსახერხებელი საშუალება, მათ შორის დიპლომატიური კურიერები, კოდირებული თუ დაშიფრული დეპეშები. ამასთანავე წარმომადგენლობას რადიოგადამცემის დადგმა და ექსპლუატირება შეუძლია მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით.

2. წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. ოფიციალურ კორესპონდენციად იგულისხმება მთელი ის კორესპონდენცია, რომელიც წარმომადგენლობას და მის ფუნქციებს ეხება.

3. დიპლომატიური ფოსტის გახსნა ან შეყოვნება არ შეიძლება.

4. დიპლომატიური ფოსტის ყველა დასტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მათს ხასიათს და მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისათვის.

5. დიპლომატიურ კურიერს, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო, მისი პიროვნება ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება რაიმე ფორმით.

6. მაკრედიტებელ სახელმწიფოს ან წარმომადგენლობას შეუძლიათ ad hoc დანიშნონ სპეციალური დიპლომატიური კურიერი. ასეთ შემთხვევაში ასევე გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებანი, ოღონდ იმ გამონაკლისით, რომ მასში მოხსენიებული იმუნიტეტები წყდება მაშინვე, როგორც კი ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ ჩააბარებს დავალებულ დიპლომატიურ ფოსტას.



7. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება მიენდოს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს, რომელიც მიფრინავს აეროპორტში, სადაც ჩაფრენა ნებადართულია. მეთაურს თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი ფოსტის დასტების რეცხვის მითითებით, მაგრამ იგი დიპლომატიურ კურიერად არ ჩაითვლება. წარმომადგენლობას შეუძლია აეროპორტში გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩაიბარებს თვითმფრინავის მეთაურისაგან დიპლომატიურ ფოსტას.

**მუხლი 28**

გასამრჯელო და მოსაკრებლები, რომლებსაც წარმომადგენლობა იღებს თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

**მუხლი 29**

დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ჯეროვანი პატივისცემით ექცეოდეს მას და ყველაფერს ღონობდეს იმისათვის, რომ თავიდან ააცილოს მისი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

**მუხლი 30**

1. დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუვალი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობები.
2. მისი ქალაქები, კორესპონდენციები, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული გამონაკლისის გარდა, მისი ქონება ასევე ხელშეუვალია.

**მუხლი 31**

1. დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი მას აქვს



აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

a) აღძრულია სანივთო სარჩელი, რომელიც შეეხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, თუ იგი მთავრადიტიბელი სახელმწიფოს სახელით არ ფლობს ამ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის;

b) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება მემკვიდრეობას, რომლის მიმართაც დიპლომატიური აგენტი გვევლინება ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმღებად, როგორც კერძო პირი, და არა მთავრადიტიბელი სახელმწიფოს სახელით;

c) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგვარ პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ეწევა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

2. დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება, როგორც მოწმე.

3. დიპლომატიური აგენტის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი სააღმსრულებლო ღონისძიებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის a, b და c ქვეპუნქტებს, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი არ დაარღვევს მისი პიროვნების ან მისი რეზიდენციის ხელშეუხებლობას.

4. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მთავრადიტიბელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

**მუხლი 32**

1. იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტების და იმ პირების იმუნიტეტზე, რომლებსაც იმუნიტეტი მინიჭებული აქვთ 37-ე მუხლის თანახმად, შეუძლია უარი თქვას მთავრადიტიბელმა სახელმწიფომ.

2. უარი ყოველთვის გარკვეულად უნდა იყოს გამოხატული.





3. თუ დიპლომატიური აგენტი ან პირი, რომელსაც იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტი აქვს მინიჭებული 37-ე მუხლის თანახმად, საქმეს აღძრავს, — მას უფლება აღარა აქვს დაიმოწმოს იურისდიქციის იმუნიტეტი შემხვედრი სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშრებული ძირითად სარჩელთან.

4. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მიმართ იურისდიქციის იმუნიტეტზე უარის თქმა არ ნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ იმუნიტეტზე უარის თქმას, რისთვისაც საჭიროა საგანგებო უარი.

**მუხლი 33**

1. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულების შესრულების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქმედი დადგენილებანი სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე არ ვრცელდება დიპლომატიურ აგენტზე იმ მომსახურების მიმართ, რომელსაც იგი უწევს მთავრადიტიბელ სახელმწიფოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეუვალობა ვრცელდება შინამუშაეებზეც, რომლებიც მხოლოდ დიპლომატიურ აგენტს ემსახურებიან, თუ

a) ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ;

b) მათზე ვრცელდება დადგენილებანი სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც მოქმედებს მთავრადიტიბელ სახელმწიფოში ან მესამე სახელმწიფოში.

3. დიპლომატიური აგენტი, რომელიც ქირობს პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეუვალობა, უნდა ასრულებდეს ვალდებულებას, რომლებსაც სამუშაოს მიმცემთ აკისრებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებანი სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

4. ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეუვალობა დაბრკოლებას არ უქმნის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ნებაყოფლობით მონა-



წილეობას, თუ ასეთი მონაწილეობა დასაშვებად შიამნეჭელმწიფოს.

5. ამ მუხლის დებულებანი არ ლახავს წინათ დადებულ ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და დაბრკოლებას არ უქმნის ასეთ შეთანხმებათა დადებას მომავალში.

**მუხლი 34**

დიპლომატიური აგენტი თავისუფალია ყველა პირადი და ქონებრივი, სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა:

- a) არაპირდაპირი გადასახადებისა, რომლებიც შედის საქონლის ან მომსახურების ფასში;
- b) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კერძო უძრავი ქონების მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, თუ იგი მას არ ფლობს მთავრადიტიბელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის;
- c) სამემკვიდრეო გადასახადებისა და ბაჟისა, რომელსაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო ახდევინებს 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეუვალობით.
- d) იმ კერძო შემოსავლის მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, რომლის წყარო ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია, აგრეთვე ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კომერციულ საწარმოებში ჩადებულ კაპიტალდაბანდებაზე გადასახადებისა;
- e) მოსაკრებლებისა, რომლებსაც ახდევინებენ კონკრეტული სახეობის მომსახურებისათვის;
- f) სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეგისტრო ბაჟისა, იპოთეკური მოსაკრებლებისა და საგერბო მოსაკრებლისა, უძრავი ქონების მიმართ 23-ე მუხლით გათვალისწინებული შეუვალობით.

**მუხლი 35**

ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა დიპლომატიური აგენტები გაათავისუფლოს ყოველგვარი შრომითი და სახელმწიფო

ბეგარისაგან, მათი ხასიათის მიუხედავად, აგრეთვე სამხედრო ბეგარისაგან, როგორც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და სხვა ხარისხების ქარის სადგომად გადაცემა.

### მუხლი 36

1. ადგილსამყოფელი სახელმწიფო იქ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, ნებას იძლევა შემოზიდონ და ათავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახადებისაგან და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურებისა მოსაკრებლებისა:

a) საგნები, რომლებიც ოფიციალური გამოყენებისთვის სჭირდება წარმომადგენლობას;

b) საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის სჭირდება დიპლომატიურ აგენტს ან მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნები.

2. დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგი თავისუფლდება შემოწმებისაგან, თუ არის სერიოზული ეჭვი იმისა, რომ იგი შეიცავს საგნებს, რომლებზეც არ ვრცელდება შეუვალობა, რომელიც მოხსენიებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში, ან საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონით, ან რეგულირდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საკარანტინო წესებით. ასეთი შემოწმება უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

### მუხლი 37

1. დიპლომატიურ აგენტთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან, 29-35-ე მუხლებში აღნიშნული პრავილეგიები და იმუნიტეტები აქვთ.

2. წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან და მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, 29-35-ე მუხლებში აღნიშნული



პრივილეგიები და იმუნიტეტები აქვთ, იმ გამონაკლისით, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტი, რომელიც აღნიშნულია 31-ე მუხლის პირველ პუნქტში, არ ვრცელდება მოქმედებაზე, რომელიც მათი მოვალეობის შესრულების დროს არ არის ჩადენილი. პირველი მოთხოვნების საცხოვრებელი საგნების მიმართ მათ აგრეთვე აქვთ პრივილეგიები, რომლებიც აღნიშნულია 36-ე მუხლის პირველ პუნქტში.

3. წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრებს, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან და მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, იმუნიტეტი აქვთ ისეთი მოქმედების მიმართ, რომელსაც ჩაიდენენ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს, და თავისუფლდებიან სამსახურში მიღებული შემოსავლის გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან, მათზე აგრეთვე ვრცელდება განთავისუფლება, რომელიც მოხსენიებულია 33-ე მუხლში.

4. წარმომადგენლობის თანამშრომელთა შინამუშავეები, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, თავისუფლდებიან სამსახურში მიღებული შემოსავლის გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან. სხვა მხრივ მათ შეუძლიათ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით ისარგებლონ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებად შიანია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს. მაგრამ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ პირთა მიმართ თავის იურისდიქციას უნდა ახორციელებდეს ისე, რომ უწყსოდ არ ერეოდეს წარმომადგენლობის ფუნქციების შესრულებაში.

### მუხლი 38

1. დამატებითი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების გარდა, რომლებიც შეიძლება მიანიჭოს ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, დიპლომატიური აგენტი, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა ან მუდმივად ცხოვრობს იქ, სარგებლობს მხოლოდ იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტით და იმ ოფიციალური მოქმე-

დების მიმართ ხელშეუხებლობით, რომელსაც ჩაიდენს ფუნქციების შესრულებისას.

2. წარმომადგენლობის პერსონალის სხვა წევრები და შინამუშაკები, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან და მუდმივად ცხოვრობენ იქ, პრივილეგიებით და იმუნიტეტებით სარგებლობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებად მიაჩნია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს. მაგრამ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ პირთა მიმართ თავის იურისდიქციას უნდა ახორციელებდეს ისე, რომ უწესოდ არ ერეოდეს წარმომადგენლობის ფუნქციების შესრულებაში.

### მუხლი 39

1. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლების მქონე ყოველი პირი სარგებლობს ამ უფლებით თავისი პოსტის დასაკავებლად ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლის მომენტიდან, ან თუ იგი უკვე იმყოფება ამ ტერიტორიაზე იმ მომენტიდან, როცა მისი დანიშვნის თაობაზე აცნობებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც დადებულია მორიგება.

2. თუ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მოსარგებლე პირის ფუნქციები მთავრდება, ეს პრივილეგიები და იმუნიტეტები ნორმალურად წყდება იმ მომენტიდან, როცა იგი ქვეყნიდან მიდის, ან ამის გასაკეთებლად საჭირო გონიერული ვადის გასვლისთანავე, თუმცა გრძელდება ამ მომენტამდე შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაშიც კი. მაგრამ იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებსაც სჩადის ასეთი პირი წარმომადგენლობის თანამშრომლობის ფუნქციების შესრულებისას, იმუნიტეტი გრძელდება.

3. წარმომადგენლობის თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები მათთვის მინიჭებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ ადგილსამყოფელი ქვეყნის დასატოვებლად საჭირო გონიერული ვადის გასვლამდე.

4. წარმომადგენლობის იმ თანამშრომლის, რომელიც არ იყო ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე ან იქ მუდმივად არ

ცხოვრობდა, ან მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრებს გარდაცვალების შემთხვევაში, ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ უნდა დართოს გარდაცვლილის მოძრავი ქონების გატანის ნება, იმ ქონების გარდა, რომელიც შექმნილია ამ ქვეყანაში და რომლის გატანა აკრძალული იყო მისი გარდაცვალების დროისათვის. სამემკვიდრეო გადასახადისა და ბაჟისაგან თავისუფლდება მოძრავი ქონება, რომლის არსებობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ ამ ქვეყანაში გარდაცვლილი იმყოფებოდა როგორც წარმომადგენლობის თანამშრომელი ან წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრი.

#### მუხლი 40

1. თუ დიპლომატიური აგენტი მგზავრობს მესამე საიელმწიფოს ტერიტორიის გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუ ასეთი რამ საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება თავისი პოსტის დასაკავებლად ან ბრუნდება ამ პოსტზე ან თავის ქვეყანაში, ეს მესამე სახელმწიფო მას ანიჭებს ხელშეუხებლობას და ისეთ სხვა იმუნიტეტებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი მგზავრობის ან უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ეს ეხება აგრეთვე მისი ოჯახის ყველა წევრს, ვინც პრევილევებით ან იმუნიტეტებით სარგებლობს და თან ახლავს დიპლომატიურ აგენტს ან ცალკე მგზავრობს, რათა შეუერთდეს მას ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

2. ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში, მესამე სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მათს ტერიტორიაზე წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური ან მომსახურე პერსონალის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა გავლას.

3. მესამე სახელმწიფოებმა ტრანზიტად გამავალ ოფიციალურ კორესპონდენციებს და სხვა ოფიციალურ ცნობებს, მათ შორის კოდირებულ და დაშიფრულ დეპეშებს უნდა მიანიჭონ იგივე თავისუფლება და დაცვა, როგორსაც ანიჭებს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. მათ უნდა მიანიჭონ დიპლომატიურ კურიერებს, რომლებსაც მიეცათ ვიზა, თუ ასეთი რამ საჭიროა, და ტრანზიტად გა-

მაველ დიპლომატიურ ფოსტას ისეთივე ხელშეუხებლობა და დაცემული როგორსაც ვალდებულია ანიჭებდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფო.

4. ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებით გათვალისწინებული მესამე სახელმწიფოთა ვალდებულებანი ეხება აგრეთვე ამ პუნქტებში ნახსენებ პირებს და ოფიციალურ ცნობებსა და დიპლომატიურ ფოსტას, რომელთა არსებობა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეულია გარდაუვალი გარემოებებით.

#### მუხლი 41

1. თავიანთი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეულახავად, ყველა პირი, ვინც ასეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია პატივი სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს. ისინი აგრეთვე ვალდებული არიან არ ერეოდნენ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

2. მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ წარმომადგენლობისათვის მინდობილი მთელი ოფიციალური საქმიანობა ადგილსამყოფელი ქვეყნის მიმართ ხორციელდება უშუალოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობით ან ამ სამინისტროს მეშვეობით, ან სხვა სამინისტროსთან ურთიერთობით, რომელთანაც არსებობს მორიგება, ან ამ სხვა სამინისტროს მეშვეობით.

3. წარმომადგენლობის კარ-მიდამო არ უნდა იქნეს გამოყენებული წარმომადგენლობის იმ ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით ან ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ან მაკრედიტებელ სახელმწიფოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მოქმედი რაიმე სპეციალური შეთანხმებებით.

#### მუხლი 42

1. დიპლომატიური აგენტი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არ უნდა ეწეოდეს პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობას პირადი გამორჩენის მიზნით.

დიპლომატიური აგენტის ფუნქციები წყდება, კერძოდ, როცა

- a) მაკრედიტებელი სახელმწიფო ადგილსამყოფელ სახელმწიფოს აცნობებს, რომ წყდება დიპლომატიური აგენტის ფუნქციები;

- b) ადგილსამყოფელი სახელმწიფო მაკრედიტებელ სახელმწიფოს აცნობებს, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იგი უარს ამბობს დიპლომატიური აგენტის წარმომადგენლობის თანამშრომლად ცნობაზე.

#### მუხლი 44

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ხელი უნდა შეუწყოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირთა, რომლებიც არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების, მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამგზავრებას. მან, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მისცეს სატრანსპორტო საშუალებანი გასამგზავრებლად და ქონების გადასატანად.

#### მუხლი 45

ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ანდა წარმომადგენლობის საბოლოო ან დროებითი გაწვევის შემთხვევაში:

- a) ადგილსამყოფელი სახელმწიფო, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, მის ქონებასა და არქივებს.

- b) მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, ქონებისა და არქივების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის;





ც) მააკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის.

**მუხლი 46**

მააკრედიტებელ სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობით და მესამე სახელმწიფოს თხოვნით, რომელიც წარმოდგენილი არ არის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, შეუძლია თავის თავზე აიღოს ამ მესამე სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დროებითი დაცვა.

**მუხლი 47**

1. ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებისას ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ უნდა ახორციელებდეს დისკრიმინაციას სახელმწიფოებს შორის.

2. მაგრამ არ ჩაითვლება, რომ ადგილი აქვს დისკრიმინაციას,

a) თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ კონვენციის რომელიმე დებულებას შეზღუდულად იყენებს იმის გამო, რომ ამ დებულებას ასევე შეზღუდულად იყენებენ მისი წარმომადგენლობის მიმართ მააკრედიტებელ სახელმწიფოში;

b) თუ ჩვეულებისამებრ ან შეთანხმებით სახელმწიფოები ერთმანეთს ანიჭებენ უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ამ კონვენციის დებულებები ითვალისწინებს.

**მუხლი 48**

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის ან სპეციალიზებული დაწესებულებებისათვის, საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდიუმის მონაწილე სახელმწიფოებისათვის, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მოწვეულია კონვენციაში მონაწილეობისათვის: 1961 წლის 31 ოქტომბრამდე —

ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, ხოლო  
შემდეგ, 1962 წლის 31 მარტამდე, ნიუ-იორკში გაერთიანებული  
ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში.

#### მუხლი 49

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო  
სიგელები შესანახად უნდა ჩაბარდეს გაერთიანებული ერების ორ-  
განიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 50

ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს ყოველი სახელმწიფო,  
რომელიც 48-ე მუხლში ჩამოთვლილ ოთხ კატეგორიათაგან ერთ-  
ერთს მიეკუთვნება. შეერთების აქტები შესანახად უნდა ჩაბარდეს  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

#### მუხლი 51

1. ეს კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს მას შემდეგ,  
რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს  
შესანახად ჩაბარდება ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელი ან  
შეერთების აქტი.

2. ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც კონვენციის რა-  
ტიფიცირებას მოახდენს ან შეუერთდება მას ოცდამეორე სარა-  
ტიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემის  
შემდეგ, კონვენცია ძალაში შევა ამ სახელმწიფოს მიერ სარატი-  
ფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად გადაცემიდან  
ოცდამეათე დღეს.

#### მუხლი 52

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს  
ნი ყველა სახელმწიფოს, რომლებიც 48-ე მუხლში ჩამოთვლილ  
ოთხ კატეგორიათაგან ერთ-ერთს მიეკუთვნებიან, აცნობებს:



a) 48-ე, 49-ე და 50-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის სტრუქტურისა და შესანახად სარატიფიკაციო სიგელების ან შერეობის აქტების გადაცემის თაობაზე.

b) 51-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე.

**მუხლი 53**

ამ კონვენციის დედანი, რომლის ტექსტები რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად აუთენტურია, შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მის დამოწმებულ პირებს გაუგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომლებიც 48-ე მუხლში ჩამოთვლილ ოთხ კატეგორიათაგან ერთ-ერთს მიეკუთვნებიან.

რის დასტურადაც სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელის მომწერებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

დადებულია ვენაში ათას ცხრაას სამოცდაერთი წლის თვრამეტ აპრილს.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
გენერალურ მდივანს

ბატონ ბუტროს გალის

რუსეთის პრეზიდენტს

ბატონ ბორის ელცინს

რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს

საქართველოს პარლამენტი მოგმართავთ იმის თაობაზე, რომ აფხაზთა მხრიდან უკვე მერამდენედ დაირღვა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ბოლო დღეებში ასეთ ფაქტებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი, ხოლო 24 ივნისს სოხუმი ბარბაროსულად დაიბომბა. არის მსხვერპლი, დიდი მატერიალური ზარალი.

რუსეთ-საქართველოს მიმდინარე წლის 14 მაისის (ისევე როგორც 1992 წლის 3 სექტემბრის) შეთანხმების თანახმად რუსეთის მხარე პასუხისმგებელია ამ დოკუმენტებში დაფიქსირებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საქართველოს მხარე ყველაფერს აკეთებს 14 მაისის შეთანხმების ყველა პუნქტის დაცვისათვის, პრობლემის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართული მხარის განუხრელი მცდელობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის არაერთხელ ჩაიშალა აფხაზ სეპარატისტთა მიზეზით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, რუსეთის მხარე მოვალეა სათანადო რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ვითარებაზე, განუხრელად შეასრულოს ის ვალდებულება, რომ არ დაუშვას მოვლენათა მოსალოდნელი კატასტროფული განვითარება, ამასთან, შექმნილი ვითარების ფონზე უკიდურეს შემთხვევაში იწვევს რუსეთის ზოგიერთი რეაქციონერი თანამდებობის პირის უპასუხისმგებლო განცხადებები. საქართველოს საშინაო მოწყობის საქმეში უპრეცედენტო ჩარევის მათი მოთხოვნები, სხვა



საქართველოს  
პარლამენტი

ანალოგიური ქმედებები სეპარატისტთა სტიმულირებისა და რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ჩაშლისაკენ არის მიმართული.

საქართველოს პარლამენტი მოგმართავთ მოთხოვნით უმოკლეს ვადაში განახორციელოთ ყველა აუცილებელი ღონისძიება რუსეთის მიერ აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვადად.

თბილისი, 1993 წლის 24 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს  
მეთაურის მოხსენება საქართველოს პარლამენტის  
1993 წლის 29 ივნისის სხდომაზე

**ნატოში და ბელგიის სამეფოში საქართველოს  
რეპრეზენტაციის ოფიციალური დაღივების  
ვიზიტების შესახებ**

(1993 წლის 23-26 ივნისი)

**ვიზიტის მნიშვნელობა, მისი მიზნები და ამოცანები**

1. საქართველო საერთაშორისო ცხოვრებაში ცდილობს გაატაროს დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა. ამ თვალსაზრისით, ცალკეულ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის დამყარების გარდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას. მით უმეტეს, რომ დღეს ეს ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ ისინი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებასა და მშვიდობისდამცავი ოპერაციების ჩატარებაში, ვინაიდან დღეს ცხადია, რომ მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი და თუნდაც მრავალმხრივი ურთიერთობის მეშვეობით ამ პრობ-

ლემების მოგვარება ჭირს. ამ მხრივ ნატოში ვიზიტს ეფუძნება ორგანიზაციასთან კონტაქტების გაღრმავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

2. მიუხედავად „ცივი ომის“ დამთავრებისა, რასაც დასავლეთ-აღმოსავლეთის ბიპოლარული დაპირისპირების დასრულება მოჰყვა, ჯერჯერობით უსაფრთხო და სტაბილურ ევროპაზე ლაპარაკი ნაადრევია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეკონომიკური სიძნელები და სოციალური დაძაბულობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მეორე მხრივ კი ამ ქვეყნებში აგრესიული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის გამოვლინებანი, რომლებსაც იმპერიული ძალები ამღევენ იმპულსებს, არანაკლებ საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას, ვიდრე თავის დროზე დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა.

3. ამ პირობებში ნატოს არ დაუკარგავს თავისი უნიკალური მნიშვნელობა და კვლავ რჩება ევროპასა და მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელოვან გარანტად. მეტიც, დღეს თანამედროვე პოლიტიკური რეალების გათვალისწინებით მიმდინარეობს მისი პოლიტიკური კომპეტენციის ახლებური შეფასებისა და გაფართოების პროცესი, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობანი საერთო-ევროპული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ ძალისხმევის მხარდასაჭერად, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა მიმართავს ევროპაში რეგიონალური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით.

4. ვიზიტის შინაარსი. ვიზიტის პროგრამაში შედიოდა შეხვედრა და მოლაპარაკება ნატოს გენერალურ მდივანთან ბატონ მანფრედ ვერნერთან, სიტყვის წარმოთქმა ნატოს პოლიტიკური საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე და შეხვედრა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან გენერალ ჯონ მაღნახ შალიკაშვილთან.

5. თანამედროვე მსოფლიოში ნატოს ახალ როლზე საუბრობს ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვერნერმა აღნიშნა, რომ ნატომ უკვე შესთავაზა თავისი დახმარება გაეროს

და ევროთათბირს, და ამ ორგანიზაციებიდან შესაბამისი მანდატის მიღების შემთხვევაში ნატო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ევროპის მშვიდობის დამცავ ოპერაციებში, მაგრამ ჯერჯერობით ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ ბალკანეთის კრიზისს და ნაკლებია ყურადღება კავკასიისადმი.

6. საქართველოს დელეგაციამ ნატოს ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ სივრცეში და კერძოდ კავკასიაში, ამ უმწვავესი კონფლიქტური და კრიზისული მოვლენებით აღსავსე რეგიონში მიმდინარე პროცესებს. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნატოს ხელმძღვანელობამ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია და შეფასება პირველი პირიდან მოისმინა, აღინიშნა, რომ კავკასიური კონფლიქტების ესკალაციის შემთხვევაში მოსალოდნელი კატასტროფის მასშტაბი და შედეგები ძნელი წარმოსადგენი იქნება არა მხოლოდ ამ რეგიონისათვის, არამედ მთელი ევროპის უსაფრთხოებისათვის.

სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ საერთაშორისო მანამეგობრობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ რეგიონს, ვინაიდან დაუშვებელია, რომ კავკასიაში მშვიდობის დამყარება ერთი რომელიმე ქვეყნის მონოპოლია გახდეს.

7. ვიზიტის შედეგები. იგრძნობოდა, რომ ნატოს ხელმძღვანელობას კარგად ესმის საქართველოს პრობლემები. საჭიროა დაიწყოს ძიება იმ კონკრეტული ფორმებისა, რომლებითაც ნატო მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში. მანამდე კი ნატოს ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქმა უფრო აქტიური კონტაქტები დაამყაროს საქართველოსთან. კერძოდ, ნატო მზად არის დაგვეხმაროს ქართული სამხედრო კადრების მომზადებაში დასავლეთის სამხედრო ცენტრებში, გამოგზავნოს სამხედრო ექსპერტთა და მრჩეველთა ჯგუფები საქართველოში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების ფართო სპექტრზე კონსულტაციებისათვის (მათ შორის სამხედრო

დოქტრინის შემუშავების, შეიარაღებული ძალების სტრატეგის განსაზღვრის და სხვა საკითხებში დასახმარებლად საქართველოს წარმომადგენელნი უფრო ხშირად უნდა მონაწილეობდნენ არა მარტო ნატოს და ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ოფიციალურ შეხვედრებში, არამედ ამ ორგანიზაციების ეგიდით მიმდინარე სხვა ღონისძიებებშიც, მაგალითად, კონფერენციებში, სემინარებში და ა. შ. ყველა ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე წარმოვაჩინოთ საქართველოში მიმდინარე პროცესების ჩვენეული ხედვა. ნატო მზად არის დააფინანსოს ამ ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა. სხვათა შორის, ვიზიტის დროს შევეთანხმდით, რომ შემოდგომაზე თბილისში გაიმართოს საერთაშორისო სემინარი, ამ სემინარის მუშაობაში, რომლის თემაც იქნება „მცირე სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროების პრობლემები“, მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა ნატოს მრავალმა მაღალი თანამდებობის პირმა და ექსპერტმა. ამ სემინარს, თუ იგი რიგიანად იქნება ორგანიზებული, სამეცნიეროსთან ერთად უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება საქართველოსთვის.

ვილაპარაკეთ ნატოს და საქართველოს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. ეს წინადადება არ უარუყვიათ.

## ბ ე ლ გ ი ა

ნატოში შეხვედრების შემდეგ შევხვდით ბელგიის სამეფოს ბელმძღვანელობას. ბელგია საქართველოსათვის პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისმა ეკონომიკური განვითარების დონემ არ შეიძლება ალტაცება არ გამოიწვიოს. ბელგია დღეს ევროპის თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრია, ამიტომ ამ ქვეყანასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებას, მისი გამოცდილების გაზიარებას ჩვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. შევხვდით ბელგიის მეფეს ბოდუენს, პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. მივიღეთ ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაცია, რომელშიც აისახა ორი სახელმწიფოს ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრინციპები;





ხელი მოვაწერეთ აგრეთვე ხელშეკრულებას ერთმანეთის ინტერესებისა და კაპიტალდაბანდებათა დაცვის შესახებ; შევთანხმდით, რომ მომავალში უნდა გაღრმავდეს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა.

პირველი ივლისიდან ბელგია ევროგაერთიანების თავმჯდომარე გახდება და მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საქართველოსთვის.

ზოგიერთი ასეთი თხოვნა უკვე გადაეცათ პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს.

**გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის შესახებ**

ვიზიტის მნიშვნელობა, მისი მიზნები და ამოცანები

საქართველოსთვის:

1. ევროპაში დარღვეულმა ძალთა წონასწორობამ კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეუქმნა ამ კონტინენტს. ევროპაში უსაფრთხოების სისტემა ვერ შეიქმნება, თუ დასავლეთმა მკაფიოდ არ ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, თუ მათ რეალური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტიები არ შეუქმნა.

ვინაიდან საქართველოს დღევანდელი პრობლემებიდან უმთავრესია სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სიძნელებები, განუზომლად იზრდება მნიშვნელობა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა, როგორც ნატო, და ისეთი ქვეყნისა, როგორც გერმანია.

საქართველოს ინტერესები ნათელია — გერმანიასთან მტკიცე კავშირი არა მარტო აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის, არამედ უსაფრთხოების ერთგვარი გარანტიაცაა. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ქართველი კაცისათვის გერმანია გაიგივებული იყო ევროპასთან, დასავლეთთან.

2. საქართველო, როგორც ევრაზიის საზღვარზე მდებარე ქვეყანა ხელშეიფო, აქტიურ პროპაგანდას უწევს ევრაზიულ დერეფანს, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთიანი საკომუნიკაციო და ტვირთბრუნვის ორგანიზმი, რომელიც რაინ-მაინ-დუნაის არხების სისტემას კავკასიაზე (ფოთი-ბაქოს მაგისტრალი) გავლით დააკავშირებს შავი და კასპიის ზღვის რეგიონებთან, ჩინეთთან, ირანთან, სპარსეთის ყურესთან. ფოთი-ბაქოს მაგისტრალის გამო საქართველო ამ სისტემის ცენტრალური რგოლია (აზერბაიჯანთან ერთად) და ამდენად მისი ინტერესებიც ნათელია — ჩვენ მკვიდრ საფუძველს ვუქმნით ევრაზიის სივრცეში ჩვენი ადგილის განსაზღვრას.

ამ იდეის რეალიზაციისათვის მუშაობაში დიდ როლს შეასრულებენ თურქეთი, უკრაინა, ბულგარეთი; ინტერესს იჩენს საბერძნეთი.

3. საქართველომ თავისი დიპლომატიური აქტიურობით შეძლო დაემყარებინა ორმხრივ ურთიერთობებში ის საჭირო ბალანსი, რომელმაც საბოლოო ჯამში ჩვენი ქვეყნის, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის, ფუნქცია უნდა განსაზღვროს.

გლაპარაკობთ რა ევრაზიის სივრცეზე, ჩვენ განსაკუთრებული პირობები უნდა შევქმნათ ისეთ ქვეყნებთან კოოპერირებისათვის, როგორცაა თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი. ცნობილია პრეზიდენტ ნ. ნაზარბაევის წინადადებები ევრაზიის სივრცის შესახებ. მე მინდა გამოვხატო ამ იდეების აქტიური მხარდაჭერა.

დერეფნის მშენებლობა არაფრით არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. უნდა დავიწყოთ დიალოგი.

გერმანიაში ვიზიტი გაგრძელება ჩვენი პოლიტიკის დასავლური მიმართულებისა, რომელსაც დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ უკრაინაში ხელმოწერილი ხელშეკრულებებით. გერმანიასთან თანსწორუფლებიანი, პარტნიორული ურთიერთობის დამყარება აამაღლებს საქართველოს ავტორიტეტს მსოფლიოს თვალში.

4. დიდია გერმანიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობა ეკონომიკური დახმარების მიღების, გამოცდილებისა

და ტექნოლოგიის გადმოღების, ერთობლივი საწარმოების დაფუძნების და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხებია გერმანიის დახმარებით საქართველოს ერთიანი ეკონომიკური მოდელის შექმნა და სწორი საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

გერმანიისათვის:

1. საქართველოსთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, კავკასიის რეგიონში მასზე დაყრდნობა საშუალებას აძლევს გერმანიას უფრო მკვეთრად წარმოაჩინოს თავისი მზარდი როლი მსოფლიოში. ბონში საუბრების დროს გამოიკვეთა გერმანიის, როგორც დასავლეთის პოლიტიკის გამტარებლის როლი ჩვენი მეზობელი ქვეყნებისადმი მიმართებაში, ამდენად გაჩნდა გერმანული ინტერესი (რომელსაც დაეფუძნება დასავლეთის ინტერესი). საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მოსახერხებელი ხიდი და დასაყრდენია აღმოსავლეთისაკენ (ირანი, ცენტრალური აზია, ჩინეთი).

2. ნედლეულის ბაზრებისთვის და საქონლის გასაღებისთვის მსოფლიოში მიმდინარე მსაფრთხი კონკურენტული ბრძოლის პირობებში გაერთიანებული გერმანიის ეკონომიკას უკეთესი საშუალება ეძლევა მოიპოვოს გარკვეული პოზიციები მთელ კავკასიაში და უფრო ვრცელ რეგიონში. ეს მოვლენა სავსებით შეესაბამება ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, იგივე ითქმის ჩვენი მეზობლების (ახლო თუ შორეული) ინტერესებზეც. საერთოდ კი, როცა ინტერესების ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ინტეგრაციული პროცესები სახელმწიფოთა შორის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დღევანდელი მსოფლიო.

3. გერმანიას მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტულ ბრძოლაში დიდი მოგება შეიძლება მოუტანოს სატრანსპორტო კომუნიკაციურმა არტერიამ, ე. წ. ევროპა-აზიის დერეფანმა, რომელზეც არაერთხელ ვილაპარაკე. ამ პროექტის განხორციელება სასარგებლოა ყველა მხარისთვის, ვინაიდან რეგიონი გადაიქცევა არა მარ-



ტო მსოფლიო სამეურნეო თანამშრომლობის, არამეცნიერული  
ბისა და სტაბილურობის ზონადაც.

### ვიზიტის მიმდინარეობა

ვიზიტის პროგრამაში იყო შეხვედრები და მოლაპარაკებანი გერმანიის ლიდერებთან. წამყვანი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. შეხვედით გერმანიის პრეზიდენტს ვაიცზეკერს, კანცლერ კოლს, საგარეო საქმეთა მინისტრს კინკელს, ბუნდესტაგის პრეზიდენტს, ფრაქციების ლიდერებს, ბერლინის ბურგომისტრს, ჰანს დიტრიხ გენშერს და სხვებს.

გერმანიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, რომ მზად არიან საქართველოსთან სრულფასოვანი და მჭიდრო თრმხრივი ურთიერთობა დაამყაონ. აღინიშნა, რომ გერმანია კარგად ერკვევა იმ პროცესებში, რომლებიც საქართველოში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარეობს და კარგად ხედავს შფოთიანობისა და ეთნოკონფლიქტების მთავარ მიზეზებს.

ზაზი გაესვა საქართველოს ინტერესებს გაეროში გერმანიის როლის გაზრდასთან დაკავშირებით. გერმანიის გააქტიურება მსოფლიო პოლიტიკაში უკვე აუცილებელი პირობაა რეგიონალური და კოლექტიური უსაფრთხოების პროცესების ჩამოყალიბებასა და განმტკიცების საქმეში.

მოლაპარაკების უდიდესი ნაწილი დაეთმო ეკონომიკურ ურთიერთობას. შეხვედრებზე, რომლებიც „დოიჩე ბანკმა“, „სიმენსმა“ და გერმანიის მრეწველობის აღმოსავლეთის კომიტეტმა მოაწყეს, აღინიშნა, რომ კარგად ესმით ჩვენი პრობლემები და მზად არიან მაქსიმალურად დაგვეხმარონ ჩვენი ეკონომიკის განვითარების საქმეში. კანცლერმა კოლმა მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სტაბილიზაციას არ განიხილავენ, როგორც ინვესტიციების ერთადერთ პირობას, მექანიკურად არ უდგებიან ამ ფაქტორს, თვლიან, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა სტაბილურობის პირობადაა.



უნდა ითქვას, რომ ვიზიტი ჩინებულად იყო მომზადებული. ოფიციალური შეხვედრების დროს გერმანულ მხარეს სრული წახედვა მოდგენა ჰქონდა ჩვენს დღევანდელ შესაძლებლობებზე და პერსპექტივებზე, ამიტომ ამომწურავი და ამავე დროს ჩვენთვის სასარგებლო პასუხები მივიღეთ ყველა იმ წინადადებაზე, რომლებიც წინასწარ გვქონდა მომზადებული გერმანული მხარისათვის.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ გერმანია, მისი ლიდერები ნამდვილად, თანასწორუფლებიან თანამშრომლობას ესწრაფვიან, რაინტერესებული არიან ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნით და გულწრფელად შეუწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყნად ჩამოყალიბების საქმეს.

### ვიზიტის შედეგები

ვიზიტის შედეგად ხელი მოვაწერეთ დოკუმენტებს, რომელთაგან ერთი პოლიტიკური დოკუმენტია, კერძოდ, ერთობლივი განცხადებაა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის საფუძვლებზე. დადებულია აგრეთვე შეთანხმებები ეკონომიკასა და ჰუმანიტარულ ბლოკებში.

ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქართულ-გერმანული ურთიერთობის ტრადიციების შესაბამისად გაფართოვდება ურთიერთობა ყველა სფეროში, რაც იძლევა იმ საჭირო სამართლებრივ ბაზას, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა ამ სიტყვის ძალზე ფართო მნიშვნელობით.

ვიზიტმა დასაბამი მისცა მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესს. სექტემბერში განზრახულია საქართველოში ჩამოვიდეს გერმანიის ეკონომიკური სამინისტროს საექსპერტო ჯგუფი, რომელიც დაგვეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამების ჩამოყალიბებაში. გერმანიის მთავრობამ უკვე გამოყოფს 3 სახის კრედიტი: 1. 30 მილიონი მარკა — სადღეისოდ აუცილებელ ტექნოლოგიათა შესაძენად სოფლის მეურნეობაში; 2. 20 მილიონი მარკა გამოყოფილია სურსათის

შესაძენად, რომელსაც გერმანელები ჩვენი ნუსხის მიხედვით თვითონ შეისყიდიან; 3. 4 მილიონი მარკა გამოყოფილია სპეციალტაციო საქმიანობისათვის და სპეციალისტთა მოსამსახურებლად. გარდა ამისა, გერმანიის აქტიური მხარდაჭერით (მისი წილი ამ გაერთიანებაში 70 პროცენტს უდრის), ევროგაერთიანებიდან წამოვა დახმარება დაახლოებით 70 მილიონი ეკიუს ოდენობით.

ცალკე სასაუბრო თემაა ინვესტიციების საკითხი. ფირმა „სიმენსმა“, რომელმაც უკვე გააფორმა ტელეშეკრულება საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსთან 50 მილიონი მარკის მოცულობით ტელესაკომუნიკაციო სისტემების შესაქმნელად, ცალკე თანხა — 500 მილიონი მარკა გამოგვიყო პროექტების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, სხვადასხვა ბანკები, ფირმები სამთავრობო გარანტიებით გამოყოფენ საკმაო რაოდენობით კრედიტებს (ლაპარაკი იყო ერთი მილიარდი მარკის ინვესტიციებზე).

გერმანელ მრეწველებთან შეთანხმებით შემუშავდა იმ მექანიზმის პროექტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ინვესტიციების ზუსტი და ეფექტიანი გამოყენება. სახელმწიფოს მეთაურთან ჩამოყალიბდება ექსპერტთა ჯგუფი ქართველი და გერმანელი სპეციალისტების შემადგენლობით. მათი მონაწილეობით უნდა შეიქმნას როგორც ინვესტიციებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა, ასევე საქართველოს ერთიანი ეკონომიკური მოდელის კონცეფცია. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკის სტრატეგია გაითვალისწინებს მდიდარ გერმანულ გამოცდილებას, ე. ი. ჩამური სისტემა გერმანული მოდელის მიხედვით იმუშავებს.

ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ავითვისებთ სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეწყობას.

გერმანიაში ვიზიტს ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. ის დონე, რომელზეც მიიღეს საქართველოს დელეგაცია და ის გაშუქება, რომელიც თან მოჰყვა ამ ვიზიტს გერმანიის და მთელი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ხელს უწყობს საქართველოს ავტორიტეტის ზრდას



მსოფლიოში და დადებითი გავლენა უნდა იქონიოს მსოფლიოს  
სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზეც. ყველაფერმა ამან ხელი უნდა  
შეუწყოს ჩვენი თვითდამკვიდრებისა და ჩვენი საკუთარი ხელ-  
წერის შექმნას მსოფლიო პოლიტიკაში.

---